„ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი“

განმათავისუფლებელი

დამოუკიდებელი ეროვნული გაზეთი 2014 წ. დეკემბერი * №43 * ფასი 1 ლარი

გამოდის 2003 წლის დეკემბრიდან

გირშის ეკლესია, VI საუკუნე

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობა – ირაკლი შონიას ჟურნალისტური გამოძიება

გვ. 3-5

ქართულის გაკვეთილები

გვ. 8,12

სატრანსპორტო მაგისტრალები - რუსეთის ახალი სტრატეგია საქართველოს სრული ოკუპაციისათვის?

ლეილა ცომაია

„სახელმწიფოს იდეალისტები და პატრიოტები აშენებენ. ვაჭრუკანების, მსტოვრებისა და კარიერისტების აშენებული ქვეყანა არავის უნახავს!“ კარლ გუსტავ მანერჰაიმი

24 ნოემბერს, სოჭში პუტინსა და ხაჯინბას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას დე-ფაქტო „აფხაზეთსა და რუსეთს შორის ინტეგრაციისა და მოკავშირეობის შესახებ“, საქართველოს მთავრობის მხრიდან არაადექვატური, არასაკმარისი პროტესტი მოჰყვა. განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც პუტინმა ხაჯინბას აფსუეს აღუთქვა საქართველოს რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის ამოქმედებისა და საქართველოს გავლით მოსკოვი-ერევნის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის შესაძლებლობა. მანამდე კი რუსეთმა უკვე ზაფხულში დაიწყო და ინტენსიურად მიმდინარეობს ავარო-კახეთის საავტომობილო გზის (მაგისტრალის) მშენებლობა დაღესტნის მხრიდან, რომელიც უნდა მოვიდეს ყვარლის რაიონის სოფელ საცხენეს რუსეთ-საქართველოს საზღვართან. ეს რუსეთის იმპერიის, როკის გვირაბის მსგავსი, XXI საუკუნის სახმელეთო სამხედრო სტრატეგიული მაგისტრალია. მართალია, საქართველოს მთავრობა ვერ დაუშლის და ვერც აუკრძალავს რუსეთს თავის ტერიტორიაზე, თუნდაც სამხედრო გზების მშენებლობას, მაგრამ მისგან მომდინარე აგრესიულ საფრთხეებზე კი ნამდვილად ენერგიულად ხმამაღლა უნდა მიაპყრობდეს მოკავშირე ქვეყნების ყურადღებას ყველა დონის შეხვედრებზე, რაც არ ხდება, არამედ ღარიბაშვილის მთავრობა მხოლოდ ჟურნალისტებთან გაკეთებული სუსტი უარყოფითი კომენტარებით შე-

გაგრძელება გვ. 2

დასაწყისი გვ. 1

მოიფარგლება.

ზემოაღნიშნული სარკინიგზო მონაკვეთის აღდგენა, ადვილად სავარაუდოა, რომ საოკუპაციო ხაზის მდინარე ფსოუდან მდინარე ენგურამდე გადმოწევის აუცილებლობას წარმოქმნის, რაც „მცოცავი ანექსიის“ პროცესის, აწ უკვე აფხაზეთის ტერიტორიიდან დაწყებას მოასწავებს. ამ ხელშეკრულების დადება 4 დეკემბრის სპეციალური განცხადებით გააპროტესტა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II, რომელმაც აღნიშნა, რომ „ ამ ხელშეკრულებით უგულებელყოფილ იქნა საერთაშორისო სამართლით საყოველთაოდ აღიარებული პრინციპი, რომლის მიხედვითაც მსგავსი გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ნება ადგილობრივი ძირძველი მოსახლეობისა“, ანუ ქართველებისა.

„შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში“ სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი კი სოჭში გაფორმებულ ხელშეკრულებას საქართველოს მთავრობის „წარმატებული პოლიტიკის შედეგად“ აფასებს. ამგვარად ამოყირავებული პოლიტიკური აზროვნებისა და ანტისახელმწიფოებრივი განცხადებების მიუხედავად, პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი, რომელიც მინისტრების აქტიური ცვლილებებით გამოირჩევა, პაატა ზაქარეიშვილის შეცვლას აშკარად, არც გეგმავს. თუმცა, სტუდენტები ხმაურიანი საპროტესტო აქციებით უკვე მოითხოვენ კაპიტულანტ ზაქარეიშვილის მინისტრობიდან გადაყენებას. სტუდენტები, აგრეთვე აპროტესტებენ ავარო-კახეთის საავტომობილო გზის მშენებლობასაც.

სასიამოვნოა, რომ რუსეთ-აფხაზეთის ეს ხელშეკრულება, როგორც საქართველოსა და ზოგადად კავკასიის ანექსიის განგრძობის ფაქტი, სპეციალური განცხადებით დაგმო, აგრეთვე სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლესი რელიგიური სამმართველოს თავმ-

ჯდომარემ მირთაღი ასადოვმაც.

რუსეთთან ინტეგრაციის წინააღმდეგ აქტიური საპროტესტო პერმანენტული გამოსვლები მოაწყვეს თვით აფსუებმაც, ორგანიზაცია „ამცახარამ“, რომლებიც თვლიან, რომ ამ ხელშეკრულებით წერტილი დაესმება აფხაზეთის დამოუკიდებლობას. ხაჯინბას სპეც-სამსახურებმა, დაშინებისა და რეპრესიების გზით, საბოლოოდ აღკვეთეს ოპოზიციის ეს საპროტესტო გამოსვლები სოხუმში.

რუსეთის მხრიდან მსგავსი „სადამსჯელო ღონისძიება“ საქართველოს სახელმწიფოს ევროკავშირისა და ნატოსკენ უცვლელი პოლიტიკური გეზის წილ, მოსალოდნელი იყო, მაგრამ მთავარია საქართველომ არ შეასუსტოს თავისი ურყევი ნება და არ დაიხიოს ამ გზიდან. ჯერჯერობით ღარიბაშვილის მთავრობა ადექვატურია ქართველი ხალხის აბსოლუტური უმრავლესობის პოლიტიკური ნების მიმართ და საჯაროდაც ადასტურებს ამ გზის უცვლელობას, მაგრამ საჭირო და აუცილებელია საერთაშორისო ასპარეზზედ პოლიტიკური ტერმინოლოგიების, სტატუს-ქვოს - საქართველოს ისტორიის შესატყვის-შესაბამისი ხმარება; მაგალითად, მთავრობის ეშელონმა სრულად უნდა ამოიღოს თავიანთი პოლიტიკური ლექსიკონიდან ისეთი ხელოვნური წარმონაქმნები, როგორიცაა „სამხრეთ ოსეთი“ და „ეთნო-კონფლიქტები“, რომლებიც იმპორტირებულია რუსეთის სპეცსამსახურებიდან და მიზნობრივად დანერგილია ჩვენში, რითაც რუსეთი ახდენს (და ჩვენც გაუცნობიერებლად ვუწყობთ ხელს) ოკუპაცია-ანექსიის შენიღბვას ამ პროპაგანდისტულად მცდარი და გამრუდებული ტერმინოლოგიებით, რასაც სათავე დაუდო შევარდნაძე-საკაშვილის ხელისუფლებამ. ჩვენ ამ პრობლემაზე თითქმის პერმანენტულად, დაჟინებით ვამახვილებთ ყურადღებას ჩვენს პუბლიკაციებში, მისი მნიშვნელობისა თუ საფრთხეებიდან გამომდინარე; ეს ტერმინოლოგიები პირდაპირ ებმის ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის პრობლემას, ტერიტორიების აღდგენა კი ჩვენი ქვეყნის უპირველესი ამოცანა უნდა გახდეს.

ზემოხსენებული ანტისახელმწიფოებრივი ტერმინოლოგიები სრულად უნდა აღმოიფხვრას ჩვენი პოლიტიკური ელიტის ლექსიკონებიდან და ოფიციალური წერილობითი დოკუმენტებიდანაც!

მხოლოდ ამგვარი გააზრებული კომპლექსური სვლებით შევძლებთ წინსვლას ტერიტორიებისა და დევნილების დაბრუნების საკითხში და ინტეგრაციას ევრო-ატლანტიკურ ალიანსშიც.

საქართველოს პრეზიდენტმა მარგველაშვილმა, პოლონეთში ვიზიტის დროს, პოლონელ ექსპერტებთან საერთაშორისო ურთიერთობათა ცენტრში გამართულ შეხვედრაზე ხმამაღლა დაადასტურა ბიძინა ივანიშვილის გავლენა ქართულ პოლიტიკაზე და იქედან მოუწოდა ივანიშვილს, რომ მან არ უნდა უარყოს ეს. თუმცა, საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის წარმომადგენლები ჯიუტად უარყოფენ ივანიშვილის ჩართულობას ქართულ პოლიტიკასა და მთავრობის მუშაობაშიც. ივანიშვილის პროფანული თუ მიზანმიმართული ანტისახელმწიფოებრივი პოლიტიკის შედეგის დადგომად უნდა განვიხილოთ აფხაზეთ-სომხეთის რკინიგზის შესაძლო ამოქმედების საკითხი, რომლის პირობა სომხეთში ვიზიტისას დადო ივანიშვილმა თავისი პრემიერობის დროს. არც ერთი საკადრო საკითხი, რომელიც ხორციელდება ღარიბაშვილის მიერ, არ წყდება ივანიშვილის პირდაპირი მითითების გარეშე. უკვე საგრძნობია ნინო ბურჯანაძის პოლიტიკური გარემოცვის დანიშვნები მინისტრების მოადგილეებად. არავინ იცის, თუ რას დაუპირისპირებს ღარიბაშვილის მთავრობა აფხაზეთ-ერევნის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის ნებას, ან დაუპირისპირებს კი, თუ რუსეთმა ხელაღებით დაიწყო რკინიგზის რელსების დაგება? ასეთ შემთხვევაში ერთადერთ იმედად მხოლოდ ქართველი ხალხის ერთიანი პროტესტი რჩება, რომ რუსეთმა, აწ უკვე სატრანსპორტო მაგისტრალებით ვერ შეძლოს საქართველოს სრული ოკუპაცია-ანექსია. ამ შემთხვევაში კი მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მთავრობა არ გაემიჯნოს და არ დაუპირისპირდეს საკუთარ ხალხს.

ხელისუფლება პენსიებს 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მიჯნაზე ზრდის და ისიც, მიზერულად...

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს გადაწყვეტილებით, ყველა კატეგორიის პენსიონერს პენსია, მომავალი, 2015 წლის 1 სექტემბრიდან, 10 ლარით გაეზრდება. მინისტრ ნოდარ ხადურის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტისა და პენსიების გაზრდის ინიციატივა პარლამენტმა უკვე დაამტკიცა; თითქმის ერთი წლის შემდეგ პენსიების 10 ლარით გაზრდა, ფასების ასტრონომიულად მატების პირობებში, 0-ლის ტოლი და პენსიონერების აბუჩად აგდებაა! მილიარდერმა ივანიშვილმა მოატყუა მოსახლეობა, რომლის საარჩევნო დაპირება იყო 2015 წლისთვის პენსიის 220 ლარამდე გაზრდა, სამუშაო ადგილების შექმნა, ხალხის სოციალური მდგომარეობის მნიშვნელოვნად გაუმჯობესება და ა.შ. ივანიშვილის მთავრობამ, ვერც პოლიტიკური სტაბილურობა და ვერც ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა უზრუნველყო. ხელისუფლებამ პენსიების „გაზრდა“ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მიჯნაზე დაგეგმა და ისიც, მიზერულად...

ხოლო, დედაქალაქის ახალი მერი ნარმანიაც, პენსიონერებისთვის 100 ლარის წლიურ უფასო მედიკამენტების გაცემაზე პირქუშად დუმს, რაც უგულავას მერობის პერიოდში ყოველწლიურად გაიცემოდა. ასევე გაურკვეველია სოცდაუცველებისათვის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უფასოდ მგზავრობის ნარმანიასეულ წინასაარჩევნო პირობას უწერია თუ არა აღსრულება 2015 წელს მაინც!

მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი ვალდებულია, თავისი წინასაარჩევნო პირობის შესასრულებლად, საკუთარი ფულიდან გამოყოს რამდენიმე ასეული მილიონი ლარი ყველა კატეგორიის პენსიორებისათვის პენსიის 220 ლარამდე, ხოლო სოცდაუცველებისათვის 60-ლარიანი დახმარების 100 ლარამდე გაზრდის მიზნით, რათა ამ კატეგორიის ადამიანებმა მაინც შეძლონ საკუთარი ოჯახის უმუშევარი და მცირეწლოვანი ბავშვების გამოკვება, რამეთუ არასაპენსიო ასაკის უმუშევართა არმია ხელისუფლებამ, უბრალოდ გაწირა! დღეის არსებული მდგომარეობით საარსებო მინიმუმი(!) საქართველოში, სტატისტიკური გამოანგარიშებით 160,06 ლარია სულზე, რაც 2015 წლის 1 სექტემბრამდე 1%-ით მაინც გაიზრდება, რაც იმას ნიშნავს, რომ პენსიონერებსა და სოციალურად დაუცველებს ახალ, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე, ცხოვრება კვლავ შიმშილში ელით.

გვერდით მოგვყავს პენსიების რაოდენობის მაჩვენებლები სხვადასხვა ქვეყნებში, ვინძლო, სირცხვილით მაინც შეფერადდნენ ივანიშვილ-ღარიბაშვილის მთავრობის ტანდემი.

პენსიები სახელმწიფოებში	
	ლარებში
ლუქსემბურგი	7700
ნორვეგია	3872
დანია	3104
შვეიცარია	3064
იტალია	2510
საფრანგეთი	2437
ფინეთი	2310
ისლანდია	2301
ესპანეთი	1929
გერმანია	1740
პოლონეთი	961
ჩეხეთი	871
სლოვენია	772
ესტონეთი	633
ლატვია	567
ლიტვა	484
საქართველო	**150**

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობა – ირაკლი შონიას ჟურნალისტური გამოძიება

ჯონსონ კვარაცხელია გარდაიცვალა 2014 წლის ნოემბერში. ამ პიროვნების არსებობაზე, ალბათ ვერავინ შეიტყობდა საქართველოში, რომ არა საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გატარებული დევნილობის პერიოდი 1993 წელს ჯონსონის სახლში. არავინ იცის ბოლომდე განაცხადა თუ არა ჯონსონ კვარაცხელიამ სიმართლე, თუ უკეთესი დროის დადგომას ელოდებოდა, ამაზე შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ. მინდა მკითხველამდე ქრონოლოგიურად მიაღწიოს ჩემმა ჟურნალისტურმა გამოძიებამ, რომელიც თვითმხილველთა და მოწმეთა ფაქტებზე ავაგე, თუ ვიმემ იცრუა, დაე მის სინდისზე იყოს!

დავიწყოთ იმ დღიდან, როდესაც შევარდნაძის შეიარაღებულმა რაზმებმა ედუარდ ბალტინის სამხედრო ფლოტის დახმარებით, ხობის რაიონის თავდაცვითი ხაზი გაარღვია და შევიწროვდა ალყა ზუგდიდის გარშემო ცაიში – ანაკლია – დარჩელის მხრიდან, ხოლო მთიან სამეგრელოში დაეშვა ძერჟინსკის სახელობის საპარაშუტო პოლკი...

1993 წ. 6 ნოემბერს საქართველოს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია იძულებული გახდა ზუგდიდი გამთენიისას დაეტოვებინა... პრეზიდენტის კორტეჟი რამდენიმე მსუბუქ მანქანისაგან და მიკრო ავტობუსისგან შედგებოდა, მათ გადალახეს გალის რაიონი და სოფელ ილორში, ტუჟბების ოჯახში დაიდეს ბინა... თავდაპირველად გულთბილი მიღება იყო, მდგომარეობა მას შემდეგ გართულდა, რაც გუდაუთა–სოხუმის აფხაზ სეპარატისტთა დელეგაცია, მერაბ ქიშმარიას თაოსნობით პრეზიდენტს ეახლა მოთხოვნით, ზვიად გამსახურდიას ხელი მოეწერა აფხაზეთის დამოუკიდებელ რესპუბლიკად ცნობის შესახებ დოკუმენტზე. პრეზიდენტის პასუხი ცალსახა და მკაცრი იყო: „მირჩევნა მარჯვენა მოვიკვეთო, ვიდრე ამ მოღალატურ დოკუმენტზე მოვაწერო ხელი!“ აფხაზ სეპარატისტების მოთხოვნით პრეზიდენტს და მის თანმხლებ პირებს დაუყოვნებლივ უნდა დაეტოვებინათ გალის რაიონი. გადაწყდა გადასვლა მთიან სამეგრელოში, ენგურის მთიან მონაკვეთში. რობიზონ მარგველანის გადაწყვეტილებით (თითქოსდა პრეზიდენტის უსაფრთხოების მიზნით), ჩამოცილებული იქნა თანმხლები პირები, სამხედროები, უზენაესი საბჭოს წევრები და პრეზიდენტის აპარატის თანამშრომლები.

ინფორმაცია, რომ თითქოსდა შევარდნაძის ხუნტის სპეცსამსახურებმა არ იცოდნენ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ადგილსამყოფელი, ტყუილია! ხუნტის სადაზვერვო შეფის ავთო იოსელიანის განცხადება, რომ ხშირად ჩვენს ხალხს დახვედრია ახალ ჩამქრალი ცეცხლის ნაკერჩხლები და შემთბარი კერია, საიდანაც ვგებულობდით, რომ პრეზიდენტი ახალი წასული იყო და თავის სადაზვერვო–სადამსჯელო რაზმებს, თითქოს წუთზე გაასწრო, მტკნარი სიცრუეა! ავთო იოსელიანი სიცოცხლის ბოლომდე ცრუობდა და საფლავში წაიღო სიმართლე პრეზიდენტის მკვლელობის შესახებ. ლოგიკურია კითხვა, თუ წუთ–წუთზე გაასწრო პრეზიდენტმა, სად უნდა გაქცეოდათ პროფესიონალ მდევრებს და ისიც ტყეში? ეს იყო „კატა–თაგვობანას თამაში“, რათა მეტად მოექანცათ და გაეწვალებინათ დატანჯული პრეზიდენტი და მიეყვანათ იმ მდგომარეობამდე, რომ დღემდე ბურუსით ყოფილიყო მოცული ვერსიები მოკლეს თუ თავი მოიკლა.

იგორ გიორგაძემ პირდაპირ განაცხადა: დავურეკე ედუარდ შევარდნაძეს და ვუთხარი, ვერსად წაგვივლენ, ჩემს ბიჭებს ვეტყვი და ავიყვანთ ყველას! შევარდნაძისგან კი ასეთი პასუხი იყო: მე ცოცხალი ზვიად გამსახურდია არ მჭირდება!

დევნილი პრეზიდენტი წალენჯიხის მაღალმთიან სოფელ ჩქვალერში ფიფიების ოჯახში ბინავდება, თუმცა მალევე გადადის ქარდავების ოჯახში. ბესარიონ გუგუშვილი „რეპორტიორისთვის“ მიცემულ ინტერვიუში უარყოფს მდევრების არსებობას, რაც მისი მხრივ სიცრუეა. პირადად მე, რამდენიმე თვის წინ შევხვდი ქარდავების ოჯახის ერთ–ერთ წარმომადგენელს, რომელმაც მომიყვა: საღამო იყო, როცა პრეზიდენტი მოვიდა სულ რამდენიმე კაცთან ერთად, მათ შორის იყო გუგუშვილიც. ძალიან მალე სოფელში შემოვიდნენ მრავალრიცხოვანი შეიარაღებული რაზმები, სასწრაფოდ გამოვედით სახლიდან, მოვკიდე ზურგჩანთას ხელი და მეგზურობა გავუწიე პრეზიდენტს, ჩვენ უახლოეს ტყეში შევედით. ერთ–ერთ თანმხლებ პირს სიჩქარეში დარჩა სამხედრო „ბუშლატა“, რომელიც ჩემი ოჯახის წევრმა სახლის უკან სასიმინდეში მოისროლა. სახლში შეიარაღებული პირები შეიჭრნენ ყვირილით, თუ სად იმალებოდა, თითქოსდა ლოთი ქობალია. მართალია მთელმა სოფელმა შეიტყო ქარდავების ოჯახზე თავდასხმა, მაგრამ შიშის გამო სახლთან ვერავინ გაბედა მისვლა.

ცოლ–ქმარი ქარდავები დააპატიმრეს და სასტიკად აწამეს. ოჯახის უფროსს ავტომატის ჯერით დაუცხრილეს ფეხები. აწამეს მათი ქალიშვილიც... მეგზურმა ქარდავამ, რომელმაც არაფერი იცოდა რა უბედურებაც ტრიალებდა მის ოჯახში, ასეთი რამ მითხრა: – ტყეში ჩავიჩოქეთ და გავყუჩდით. სოფლიდან ხმაურის ხმა მოდიოდა, კამაზები ამოიყვანეს და მასზე დამონტაჟებული უზარმაზარი პროჟექტორებით ანათებდნენ ტყის პერიმეტრს...

ჯანო შეროზიას მეშვეობით პრეზიდენტის ამალა მწყემსების კარვებთან განთავსდა, სულ სამი კარავი იქნა გაშლილი, თუმცა ერთმანეთთან ექვსასი მეტრით იყო დაშორებული. კარვებში დაბანაკებულ პირებს საკვებს ფიფიები აწვდიდნენ... ხოლო თანამგზავრობას უწევენ ჯანო შეროზია და რაულ ფიფია. 15 ნოემბერს პრეზიდენტი წალენჯიხის ასევე მაღალმთიან სოფელ მუჟავაში გადადის, ოთარ და ვახტანგ არქანიების ოჯახში. მიუხედავად იმისა, რომ გაუსაძლისი სიცივე იყო, პრეზიდენტი თავს მხნედ გრძნობდა და თავად მიუძღოდა მცირე ამალას. მთიანი აქაფებული მდინარე უსაფრთხოდ გადაცურა პრეზიდენტმა. არქანიების ოჯახში პრეზიდენტი ხვდება ბადრი ზარანდიას. ზარანდიასთან საუბრის შემდეგ გადაწყდა, ზვიად გამსახურდია გადასულიყო მუჟავაში დაბანაკებულ ბადრი ზარანდიას ბანაკში, სადაც სამოცამდე პირტიტველა ჭაბუკი და არაპროფესიონალი გვარდია იმყოფებოდა. პრეზიდენტს იქაური სიტუაცია არ მოეწონა და ჩაილაპარაკა კიდეც: – აქ კარგად არ არის საქმეო...

16–17 ნოემბერი. სოფ. ჩვინარეში ადის გია გულუა, რომელიც ერთ–ერთი ხელმძღვანელია პრეზიდენტის დევნის და იბარებს ბადრი ზარანდიას. 19 ნოემბერს ეწყობა გასაიდუმლოებული სამხედრო თათბირი, რომელსაც გია გულუა ხელმძღვანელობს. ესწრება ბადრი ზარანდია, ზურაბ შონია „პუშკინა“, ჰამლეტ გულორდავა, ბეჟან წურწუმია და ძმები სალიები. ესენი ყველანი ზარანდიას დაჯგუფებაში შედიოდნენ. გია გულუამ განაცხადა, რომ მას ჰქონდა დავალებული პრეზიდენტის ლიკვიდაცია და თუ ეს არ მოხდებოდა, სამეგრელოში ქვა–ქვაზე აღარ დარჩებოდა შევარდნაძის მიერ. გია გულუა ითხოვდა, როგორმე პრეზიდენტი დაერწმუნებინათ, რომ იგი მისგან გამოგზავნილ ვერტმფრენშიჩამჯდარიყო, თითქოსდა გროზნოში გასამგზავრებლად, რომელსაც აფრენის მომენტში ტყიდან ნასროლი ჭურვით ჩამოაგდებდნენ. ამ ვერაგულ გეგმაზე, ჰამლეტ გულორდავას გარდა, უარი არავის უთქვამს. სწორედ ამ პერიოდში ხდება პრეზიდენტის დაცვის ორი წარმომადგენლის გოგაძესა და ჭინჭარაულის ზარანდიას ბანაკიდან გაუჩინარება, რომლებიც დღემდე უგზო–უკვლოდ არიან დაკარგულნი...

საეჭვოდ არ ჩანდება ზარანდიას ბანაკში რობინზონ მარგველანი. ჟურნალისტი გიგლა გობეჩია აცხადებს, რომ არსებობს ადამიანი, რომელიც ამტკიცებს, რომ ამ პერიოდში ფოთში საკუთარი თვალით ნახა მარგველანი უშიშროების შენობიდან გამოსული, სადაც იმ

ბადრი ზარანდია

პერიოდში ბალტინთან ერთად დაბანაკებული იყო ავთანდილ მარგიანი. გია გულუას განცხადებით პრეზიდენტის ლიკვიდაცია დეკემბრის პირველ რიცხვს არ უნდა გადასცდენოდა, მაგრამ ეს გეგმა ჩავარდა ან გადაიდო. ბადრი ზარანდია, როგორც თავის დღიურებში წერს, ყველაფერს უყვება პრეზიდენტს და სთხოვს მისი ბანაკი დატოვოს. ზვიად გამსახურდია ნოემბრის ბოლოს ტოვებს ზარანდიას ბანაკს და ისევ მუჟავაში არჩილ და ზაურ ანთიების ოჯახში მიდის. მას აქ კვლავ უერთდება „გაუჩინარებული“ მარგველანი. ოჯახის მასპინძელი უსინათლო ასაკოვანი მამაკაცი აღმოჩნდა, რომელსაც არ უთხრეს, თუ ვისთვის უნდა ემასპინძლა, მაგრამ პრეზიდენტს ხმით იცნობს და თვალცრემლიანი მუხლებზე დავარდება ზვიადისადმი დიდი მოწიწების ნიშნად.

პრეზიდენტი 1–4 დეკემბრამდე რჩება ანთიებთან. ამავე ოჯახში იგი ორჯერ ხვდება ბადრი ზარანდიას. რამდენიმე დღეში, როდესაც პრეზიდენტი უკვე გასული იყო, ანთიების ოჯახს თავს ესხმის სპეცრაზმი. აწამებენ ოჯახის მცირეწლოვან წევრს (როგორც მითხრეს, ბავშვი დღემდე ხეიბრად დარჩა). უსინათლო მოხუცი მიჰყავთ ზუგდიდის იზოლატორში და სასტიკად აწამებენ. ცნობილია, რომ უსინათლოებს განსაკუთრებულად გამახვილებული აქვთ სმენის ორგანო; ანთიამ წამების დროს ამოიცნო ერთ–ერთი ხმა, რომელსაც იგი მასპინძლობდა, როგორც პრეზიდენტის მომხრეს... (მოდით ეს „საიდუმლო“ გარკვეულ დრომდე დავიტოვოთ...).

4–5 დეკემბერი, წალენჯიხის რაიონი სოფელი ფახულანი. პრეზიდენტს მასპინძლობს გულიკო გუჩუას ოჯახი. 5–6 დეკემბერი, სოფელი ლია – პალური, პაჭკორიების ოჯახი, 6–9 დეკემბერი, ტყაია, სამუშიების ოჯახი, 9–12 დეკემბერი, სოფელი ჩხორია. პრეზიდენტი უკვე ხშირად იცვლის ადგილს, რადგან მოსალოდნელი საფრთხე დიდია. ამასობაში, ზუგდიდში, ტაქსო–პარკის ტერიტორიაზე განლაგებულია სპეციალური უშიშროების შტაბი და „ალფას“ ბატალიონი, სადაც მუშავდება პრეზიდენტის ლიკვიდაციის გეგმა. მას შემდეგ, რაც გია გულუამ ვერ შეასრულა დავალება, პოლკოვნიკი ბასიკაშვილი ინიშნება პრეზიდენტის მკვლელობის ორგანიზატორად. იგი ტაქსო–პარკის ტერიტორიაზე იბარებს ბადრი ზარანდიას და ეუბნება, რომ პრეზიდენტის მკვლელი უნდა იყოს „ზვიადისტთა“ წრიდან. ბადრის კითხვაზე, თუ ვისი ბრძანებაა, ბასიკაშვილი პასუხობს: ედუარდ შევარდნაძის! ამასობაში, მისივე ბატალიონის წევრების ძმები სარიების სახლში, მძევლად არიან აყვანილი ბადრი ზარანდიას მეუღლე და ზურაბ შონიას - „პუშკინას“ მეუღლე... ბადრი ზარანდია თავის დღიურს ასე ამთავრებს: „ვერც მუქარით და ვერც ფულით, ჩემგან ვერ გამოძერწეს ბერბიჭაშვილი...“

როდესაც ნაწამები და ფეხ–მოჭრილი ბადრი ზარანდია ორთაჭალის ციხის საავადმყოფოში იმყოფებოდა, 1997 წელს მე რამდენჯერმე მოვინახულე იგი. მას ახასიათებდა ყველაფრის დღიურში ჩაეწერა. ვკითხე კიდეც, რას წერ–მეთქი. მითხრა, ჩვენი შეხვედრის ამბავსო. მე ვთხოვე ბადრის, ეთქვა ჩემთვის, მოეყო-

გაგრძელება გვ. 4

დასაწყისი გვ. 3

ლა თუ რამ სათქმელი ჰქონდა. ბადრიმ თვალით მანიშნა, რომ სადაც ვისხედით ის ოთახი ისმინებოდა, მერე ხმამაღლა განაცხადა, რომ ზვიადს ველარავინ უშველიდა, მას რამდენიმე ქვეყნის სპეცსამსახური ებრძოდა და სასიკვდილო განაჩენი გამოტანილი ჰქონდაო... პაუზის შემდეგ კი დაამატა, მე ვიცი რომ ადრე თუ გვიან დავილუპები ტყვიით, მაგრამ ეხლა რომ ყველაფერი მოგიყვე, რომელს უფრო ადრე მოგვკლავენ, მე თუ შენ? მეტი აღარაფერი უთქვამს. ბადრი ზარანდია 2003 წელს ჩაცხრილეს ზუგდიდის ერთ-ერთ კაფეში, მანამდე კი გოჩა ესებუას დაკრძალვაზე ავტომატური ჯერით დაცხრილეს ზურაბ შონიაც - „პუშკინა“...



ჯიხაშკარი,ჯონსონ კვარაცხელიას სახლი, სადაც ცხოვრობდა ზვიადი, 22-28 დეკემბერი, 1993 წ.

მივუბრუნდეთ პოლკოვნიკ ბასიკაშვილს, რომელიც თავისუფლად ცხოვრობს დღეს თბილისში, ახალგაზრდა „პენსიონერია“ და გასამრჯელოსაც „დამსახურებისამებრ“ მაღალს იღებს. როდესაც შეიქმნა საპარლამენტო კომისია პრეზიდენტის დაღუპვის გარემოებებთან დაკაშვირებით, ბასიკაშვილთან მივიდა ჟურნალისტი ნათია თოიძე ვიდეო კამერით, რათა ჩეწერა იგი, მაგრამ „პენსიონერი“ პოლკოვნიკი ფიზიკურად დაესხა თავს ჟურნალისტს და კამერაც დაუზიანა...

პრეზიდენტის დევნის გზა გრძელდება. 12 დეკემბერი, ზედა ეწერი, თორდიების ოჯახი. 13 დეკემბერი, სოფელი ნაცატუ – გაბედავების ოჯახი. 14 დეკემბერი, სოფელი ობუჯი – მესხიების ოჯახი. სამუშიები უკაშვირდებიან ჯაღრაში მცხოვრებ ანზორ მებონიას (გარდაცვლილია). იგი სოფელ კორცხელთან ხვდება პრეზიდენტს და მის თანმხლებ პირებს და მიჰყავს თავის სახლში სოფელ ჯაღრაში, სადაც მოვლა-პატრონობას არ აკლებენ სტუმრებს. პრეზიდენტი 15-დან 22 დეკემბრამდე ჩერდება ანზორ მებონიას ოჯახში... აქ კვლავ მოდის ზარანდია და აცხადებს, რომ ადგილი გახმაურებულია და ჯაღრის დატოვება მოუწევთ. დაახლოებით ღამის თეთრმეტ საათზე, როცა უკუნეთი სიბნელეა და შუქი ყველგან გათიშული, მცირე ჯგუფი ჭანისწყლის ხიდზე ხვდება პრეზიდენტს. ჩემთან საუბრისას მამრიკო ზარანდია აცხადებს, რომ პრეზიდენტი ფეხით მოდიოდა, რამდენიმე ადამიანთან ერთად ჯაღრიდან. მამრიკომ არ იცოდა, ვის უნდა შეხვედროდა, როდესაც დაინახა პრეზიდენტი მაშინვე იცნო: ყოჩაღად მოდიოდა, „ბუშლატა“ ეცვა და თავზე თბილი „უშანკა“ ეხურა... იხსენებს მამრიკო. პრეზიდენტი ჩავსვით მანქანაში და დავიშალეთ.

22 დეკემბერს პრეზიდენტი ჯიხაშკარში ჯონსონ კვარაცხელიას სახლში მიიყვანეს. პრეზიდენტს გარემო მოეწონა. მასპინძლობას ასევე უწევდა ჯონსონის ქალიშვილი დიანა, რომელიც მანამდე უზენაეს საბჭოში მუშაობდა... სადილსაც იგი უმზადებდა პრეზიდენტს... ერთხელ ზვიადს უკითხავს მისთვის, სოფელში არიან ჩემი მომხრეებიო? დიანას უპასუხნია: – მთელი სოფელი თქვენი მომხრეაო. როცა დაბნელდებოდა პრეზიდენტი ეზოში სასიერნოდ გამოდიოდა. ჯონსონის სახლის ადგილმდებარეობა საამისოდ ხელს უწყობდა, სახლი მაღლობზეა, ხოლო მეზობელი სახლები დაცილებული... პრეზიდენტს გადაწყვეტილი ჰქონდა ჯონსონ კვარეცხელიას სახლში გამოეზამთრა და ფულიც გადაუხადა ჯონსონს საკვები პროდუქტების შესაძენად... პრეზიდენტის ვარაუდით, სარკინიგზო მაგისტრალის და ფოთი-სენაკის გზის გაწმენდის შემდეგ ბალტინი სამეგრელოში აღარ გაჩერდებოდა, ამასობაში პარტიზანული მოძრაობაც დაიწყებოდა და მშვიდობიანი მიტინგებიც განახლდებოდა მთელი საქართველოს მაშტაბით.



ძველი ხიბულა, ღურწკაიების სახლი, ზვიადის მკვლელობის ოთახი-კიბიდან პირველივე ფანჯარა, 1993 წ. 28-31 დეკემბერი.

ერთ-ერთ ოჯახში ზვიადს განუცხადებია: „მე დევნილთან ერთად, პარტიზანი პრეზიდენტიც ვართო!“

ხუნტისთვის, რასაკვირველია, ცნობილი იყო პრეზიდენტის ადგილმდებარეობა, მაგრამ კვლავ შესაფერის მომენტს უცდიდნენ. პრეზიდენტის სტუმრობიდან მეორე დღეს, როდესაც ჯონსონი სოფლის ცენტრში ჩავიდა პროდუქტების შესაძენად, მეზობლები ულოცავდნენ მას საპატიო სტუმარს... 28 დეკემბერს ჯონსონ კვარაცხელიასთან მიდიან ძმები ჩუხუები ზაურ და ანატოლი, თეთრი ფერის გაზ-24-ით. მანქანა აღმართზე ვერ ადის და დაბლა ჩერდება. მათი თქმით, ჯონსონთან გაჩერება უკვე საშიში იყო და სხვა საიმედო ადგილას უნდა გადასულიყვნენ, მაგრამ მათ მიერ შერჩეული საბინადრო სახლი (მათივე თქმით) მომცრო იყო და იქ ყველა ველარ დაეტეოდა, ამიტომაც ჯონსონთან დატოვეს დაცვის ორი წევრი - ზაზა ბურჯანაძე და გოჩა კეკენაძე. პრეზიდენტს არ უნდოდა ჯონსონის სახლის დატოვება. ღურწკაიების სახლი ძველ ხიბულაში, პირდაპირ ცენტრალურ გზაზე მდებარეობს, სადაც არამც თუ ეზოში, აივანზეც შეუძლებელი იყო გასვლა. სახლი საკმაოდ დიდი ფართობისაა და დარჩენილი დაცვის ორი წევრიც თავისუფლად დაეტეოდა, თუმცა ძმებმა ჩუხუებმა „სახლის სიპატარავის“ მომიზეზებით არ ინებეს დაცის ხსენებული წევრების წაყვანა... ჯონსონი იხსენებს: პრეზიდენტმა, წასვლისას ოთახში მიმოიხედა და უცნაური რამ მოხდა - მაგაიდაზე მდგარი შუშის ლამფა გაიბზარა და გატყდა... ჯონსონმა თავად ჩააცილა მანქანამდე პრეზიდენტი. მისი აღწერით, პრეზიდენტი პირგაპარსული და თავი მოწესრიგებული ჰქონდა და არანაირ ავადმყოფობას არ უჩიოდა.

აი, აქედან იწყება ყველაზე საშინელი და ტრაგიკული ფინალიც... ჯიხაშკარიდან ხიბულამდე ფეხით სავალი მაქსიმუმ ერთი საათია, ხოლო მანქანით, ათი წუთი, თუმცა ღურწკაიებთან ღამის თერთმეტ საათზე მიაღწიეს, ანუ თითქმის ხუთი საათი(?!) მოანდომეს მისვლას... ამ დროის მონაკვეთზე დღემდე სდუმან პრეზიდენტის თანმხლები პირები. სხვა გამოსავლი რომ აღარ ჰქონდათ, ერთ-ერთმა ჩუხუამ მოგვიანებით განაცხადა, რომ გზაზე იყო პიკეტი, თითქოსდა, პრეზიდენტის მომხრეების, რომლებსაც ხელი აუწია მაქანიდან, დაუყვირა, ბიჭებო ჩვენ ვართ და გაგვატარეთო. პრეზიდენტის გვარდია მაშინ ტყეში იყო გახიზნული და ძნელად დასაჯერებელია, რომ ხუნტის ჯარით სავსე სამეგრელოს ერთ-ერთ ტრასაზე ეროვნული გვარდიის პიკეტირება ყოფილიყო...

კარლო ღურწკაია საუბარში აცხადებს, რომ თავიდან მან არ იცოდა, ვის მასპინძლობდა. უთხრეს რომ პარლამენტარები არიან და რამდენიმე დღით უმასპინძლეო. კარლო და ლუდმილა ღურწკაიები ამბობენ, რომ ღამით მივიდა პრეზიდენტი, ნაბადში გახვეული, წვერ-გაუპარსავი(?) და უთხრა, რომ ძალიან ცუდად იყო და დაწოლა სურდა... ცოლ-ქმარმა პრეზიდენტი მეორე სართულზე დააბინავეს, მის გვერდზე გუგუშვილი მოთავსდა, წინა ოთახში კი რობინზონ მარგველანი და ბაჩუკი გვანცელაძე... პრეზიდენტი ოთახიდან არასოდეს გამოსულა, ლუდმილა ღურწკაია რამდენჯერმე შევიდა და უთხრა, რომ საწოლში მიართმევდა საჭმელს, რაზეც პრეზიდენტმა უპასუხა, რომ შინაგანად ყველაფერი ეწვოდა და საკვებს ვერ ღებულობდა. ამ იდუმალებით მოცულ ფაქტზე თუ რა უბედურება დატრიალდა ჯიხაშკარ-ხიბულას გზაზე დუმს ბესარიონ გუგუშვილიც, რობიზონ მარგველანიც, ბაჩუკი გვანცელაძეც და ძმები ჩუხუებიც. ღურწკაიებს მანამდე არასოდეს ენახათ ზვიად გამსახურდია, უთხრეს რომ ეს არის პრეზიდენტიო და სხვა რა გზა ჰქონდათ, უნდა დაეჯერებინათ... იყო კი იგი ნამდვილად ზვიად გამსახურდია???

ოფიციალური ვერსიით ზვიად გამსახურდია დაიღუპა 31 იანვარს. თუმცა, ჯერ კიდევ 30 დეკემბერს ჯონსონ კვარაცხელიასთან მიდის გულიკო ტიბუა და ეუბნება, რომ პრეზიდენტმა თავი მოიკლაო. მისი თქმით, ეს ამბავი მას უთხრეს რობინზონ მარგველანმა და ანატოლი ჩუხუამ. მრავალი წელი კარლო და ლუდმილა ღურწკაიები აცხადებდნენ, რომ გასროლის დროს, ოჯახის წევრებიდან მხოლოდ ცოლ-ქმარი იმყოფებოდა. აღმოჩნდა, რომ სახლში მათი ვაჟი ნუკრი ღურწკაიაც ბრძანდებოდა. სატელევიზიო ინტერვიუებში კარლო აცხადებდა, რომ გასროლის ხმაზე თავად ავარდა მეორე სართულზე, დაცვის ბიჭები პანიკაში იყვნენ, თავს ურტყამდნენ კედელს. საგულისხმოა, რომ ის ოთახი სადაც მარგველანი და გვანცელაძე იმყოფებოდნენ, სახლის სიღრმეშია, ხოლო პრეზიდენტი და გუგუშვილის ოთახი, რატომღაც, გზის პირზე, რომელსაც შიდა შესასვლელის გარდა, აქვს აივნიდან შემოსასვლელი ანუ ქუჩიდან ამავალი კიბეებიც... თუმცა, ყველანი აცხადებენ, რომ კარიც და ფანჯრის დარაბებიც დაკეტილი იყო.

სულ მაეჭვებდა, გასროლის ხმის გაგონებაზე, ასაკოვანი კარლო როგორ ავარდა წამებში მეორე სართულზე, თანაც ამავალი კიბე უმოაჯირეო და საკმაოდ მძიმე ასასვლელია. სინამდვილეში გასროლის ხმაზე, როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, ავარდა ღურწკაიების შვილი ნუკრი, რომლსაც კარში ჩამდგარი დახვდა რობინზონ მარგველიანი და მას ოთხაში არ უშვებდა. როცა კარლოც ავიდა, მაშინ თითქმის ძალით შევიდნენ მამა-შვილნი ოთახში, სადაც პრეზიდენტის ცხედარი ნახევრად მჯდომარე და ნახევრად მწოლიარე მდგომარეობაში დახვდათ, მაგრამ საინტერესოა, რომ სისხლის კვალი ვერავინ შეამჩნია. მაშინ, როცა სისხლით უნდა ყოფილიყო გასვრილი საწოლიც, კედელიც, ლოგინიც და იატაკიც. ასევე სისხლის შხეფები უნდა მოხვედროდა მის გვერდზე მწოლიარე ბესარიონ გუგუშვილსაც. მითუმეტეს, რომ ჭრილობა გამავალია. ჩემი ინფორმაციით საწოლის რაფა, სადაც თითქოსდა ნატყვიარის კვალია, პროკურატურამ ამოიღო ნივთმტკიცებულებად. ნატყვიარი ხის რაფა უსისხლო და სუფთაა, რაც ჩემში იწვევს დიდ ეჭვს, არის კი რაფა ნატყვიარი?

როსტოვში ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნაში ვკითხულობთ: „ტყვიის მოძრაობის მიმართულებაა მარჯვნიდან მარცხნივ, რამდენადმე ზემოდან ქვემოთ, რამდენადმე წინიდან უკან, რაზეც მიუთითებს შემავალი და გამომავალა ხვრელები. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ავტომატური პისტოლეტის „სტეჩკინის“ (რომლის წონა დამუხტულ მდგომარეობაში 1420 გრამია), ხელში დაჭერა თვითმკვლელობის მიზნით, ლულით, 100–200 მილიმეტრის მანძილზე და ისე, რომ ტყვიის მიმართულება იყოს მარჯვნიდან მარცხნივ, რამდენადმე ზემოდან ქვემოთ, რამდენადმე წინიდან უკან, ფიზიკურად შეუძლებელია“. როსტოვის საექსპერტო დასკვნაში ვკითხულობთ ასევე თავზარდამცემ ფაქტს ძვლების უამრავ მოტეხილობის შესახებ, რომელიც შეუძლებელია მიწის გრუნტის დაწოლის შედეგად მომხდარიყო...

მივუბრუნდეთ ხიბულას. თუ ჯონსონ კვარაცხელიას სახლი უკვე „გაყიდული“ იყო და ამ მიზეზით გამოიყვანეს პრეზიდენტი, მაშინ რატომღა მიასვენეს კვლავ ჯონსონის სახლში ზვიად გამსახურდიას ცხედარი? ჯონსონის სახლში ცხედარს ბალზამირებას უკეთებს ექიმი ჯალაღონია და ხმამაღლა აცხადებს, რომ ეს თვითმკვლელობა არ არის. რაზეც სიტყვიერი დაპირისპირება მოუვიდა ბესარიონ გუგუშვილთან. ბესარიონი მას ეუბნება, რომ ეს მათი საქმე არ იყო (ექიმი ჯალაღონიაც რამდენიმე წელში მოულოდნლად გარდაიცვლება)... რობინზონ მარგველანი კი, რომლის გამამართლებელი ალიბი უნდა ყოფილიყო თვითმკვლელობის იარაღი, დაზეთავს და ჯონსონს სთხოვს გარკვეულ დრომდე შეუნახოს. ხოლო ხიბულადან წამო-

გაგრძელება გვ. 5

დასაწყისი გვ. 4

ღებულ პრეზიდენტის ლოგინს, სახლის უკან გაიტანს, ნავთს ასხამს და წვავს... ჯონსონის სახლის ეზოში კრძალავენ პრეზიდენტს... სამი დღის შემდეგ ჯონსონ კვარაცხელიას იბარებს ჯიხაშკარში დაბანაკებული აფხაზეთის უშიშროების მაღალჩინოსანი გია მხეიძე და ეუბნება, რომ მისთვის ყველაფერი ცნობილია და გადაასვენეთ პრეზიდენტი სხვაგანო. აქაც ჩნდება კითხვა: – თუ სპეცსამსახურები თხრიან რამდენიმე ახლადდაკრძალული მიცვალებულების საფლავებს, გამალებით ეძებენ დაღუპულ პრეზიდენტს, შევარდნაძის ერთ–ერთი მარჯვენა ხელი გია მხეიძე რატომ არ ატყობინებს თავის შეფს საფლავის ადგილსამყოფელის შესახებ? თითქოსდა მოსალოდნელი სროლის გამო ჯონსონს სთხოვენ დატოვოს საკუთარი სახლი. როცა ჯონსონი სახლში ბრუნდება, მას ცარიელი სამარე ხვდება. 1 იანვრიდან 8 იანვრამდე მისი სახლის ეზოში იყო დაკრძალული ზვიად გამსახურდია. 1994 წ. 8 იანვარს საფლავის გაჭრაში და გადასვენებაში ოცამდე ადამიანი იღებს მონაწილეობას. დავიჯერო. ოცი კაციდან, არც ერთი გამცემი არ იყო და შევარდნაძის სპეცსამსახურები ტყემალზე იჯდნენ?

ცხედარი იმავე სოფელ ჯიხაშკარში გადააქვთ ვალიკო ზარანდიას სახლში, სადაც სამი დღე ზალაში ჰყავთ დასვენებული და შემდეგ იქვე ეზოში მდგარ სადურგლოში კრძალავენ რობინზონ მარგველანის გადაწყვეტილებით, სადაც თვეზე მეტი დარჩება. ბესარიონ გუგუშვილი თეთრი „ზაპოროჟეცით“ მოძრაობს სამეგრელოში, სოფელ ნაკიფუში სუფრაზეც ბრძანდება, ხოლო მოგვიანებით მიემგზავრება ბათუმში, იქედან კი გროზნოში...

ოფიციალური დელეგაციის ვიზიტის დროს უკვე ჯიხაშკარში, ვიდეო-კამერების წინ კიდევ ერთი სიყალბე თამაშდება; თითქოს დელეგაციის წევრებმა არ იციან სად იმყოფებიან და ერთმანეთს ეკითხებიან. მოგეხსენებათ, რომ ვერტმფრენი პირდაპირ დაეშვა ჯიხაშკარში, ვალიკო ზარანდიას ეზოში. აქვე მახსენდება ერთი ფაქტი, როდესაც პრეზიდენტი გროზნოდან საქართველოში ბრუნდებოდა, თვითმფრინავს აერია მარშრუტი და დაფნარში ჯდებოდა, სადაც ხუნტის კრიმინალური ბანდების დისლოკაციის ადგილი იყო, ისევ ზვიად გამსახურდიამ იცნო მდინარე ტეხურის ხეობა და სენაკის აეროპორტში დაეშვნენ. ახლა კი, ზამთრის პერიოდში, სადაც ხილვადობა საკმაოდ ცუდია და სამეგრელოს ყველა სოფელი ზემოდან ყველა ერთმანეთს ჰგავს, რობინზონ მარგველანი მაშინვე სცნობს ჯიხაშკარს და ვერტმფრენი დანიშნულ ადგილას ჯდება. სადურგლოს მესაკუთრეს, ვალიკო ზარანდიას ვიდეო კამერების წინ ავთო იოსელიანი და გივი ლომინაძე ჰპირდებიან, რომ მას ხელს არავინ ახლებდა, თუმცა მეორე დღესვე მას აპატიმრებენ და ზუგდიდის იზოლატორში სასტიკად სცემენ კუკური ადამია და სხვა ჯალათები. ვალიკო ზარანდია, რომელიც მოხუცებული იყო ვერ მომჯობინდება და მალევე გარდაიცვლება. მოგვიანებით მდინარე ჭანისწყალთან მანქანაში ცხრილავენ მის ვაჟს თენგო ზარანდიას, მანუჩარ ზარანდიასთან და მამუკა გვაზავასთან ერთად. ვალიკო ზარანდიას, რომელსაც ცოცხალი პრეზიდენტი არასოდეს უნახავს, სასტიკად მოექცნენ და ოჯახი გაუნადგურეს, რადგან ვალიკომ, სანამ ცოცხალი იყო, მოასწრო რამდენიმე ინტერვიუ მიეცა ჟურნალისტებისათვის, სადაც იფიცება, რომ ზვიად გამსახურდიას ცხედარი მასთან მიასვენეს 15 იანვარს. ჯონსონი კი ჩვენებაში ყველგან მიუთითებს, რომ მისი ეზოდან 8 იანვარს გადაასვენეს, თანაც საუბარია ერთიდაიგივე სოფელ ჯიხაშკარზე. სად იყო ექვსდღიანი ინტერვალის დროს ცხედარი???

კიდევ ერთი საგულისხმო დეტალი, ოფიციალურად, როდესაც ზარანდიას სადურგლოდან ამოასვენეს ცხედარი, ერთ–ერთი დამხმარე წამოიძახებს: უი, ათი დღის წინ, როგორი სხვანაირი იყო და როგორი შეცვლილა ცხედარიო. არადა ცხედარი უკვე ოცდათორმეტი დღის დაკრძალული იყო ზარანდიებთან. ეს არ გამოპარვია გურამ შარაძეს და ამ ამბავს გროზნოში უყვება პრეზიდენტის რეზიდენციაში მურთაზ სიჭინავას და ლელე არჩვაძეს (არსებობს ამის დამადასტურებელი ვიდეო ჩანაწერიც).

მოგეხსენებათ, რომ მედიკოსები ცხედარს არ მიაკარეს, მათ მხოლოდ ვიზუალური დათვალიერება ჩაუტარეს სენაკის აეროპორტში. მრავალი წლის შემდეგ ცნობილი ექსპერტი თამარ დეკანოსიძე საგულისხმო დეტალებს ყვებოდა, თუმცა მისი ახლობლები აცხადებდნენ, რომ ეს ასაკობრივი ჰალუცინაციების და სიბერის ბრალი იყო(?!); დეკანოსიძე ზუსტად აღწერდა ჯიხაშკარში, ვალიკო ზარანდიას სახლის განლაგებას, სადაც, ოფიციალური ინფორმაციით, დეკანოსიძე არასოდეს ყოფილა.

ჩემი საგაზეთო პუბლიკაციების და ინტერვიუების წყალობით, ასევე „ობიექტივში“ (სანამ წამოვიდოდი ბოლო ორი თვე), თითქმის ამ თემაზე მიმყავდა გადაცემები (და სწორედ ამ მიზეზითაც დახურეს), ძალიან ბევრი საინტერესო ფაქტი მოვიძიე და ადამიანებიც მიკავშირდებოდნენ. აქ მოყვანილი ფაქტების შეკრებაც გადაცემების მსვლელობის დროინდელია, უამრავი პატიოსანი ადამიანი დამეხმარა ვისაც შეხება ჰქონია პრეზიდენტის დაღუპვის გარემოებებთან. „ასავალ–დასავალში“, როდესაც ამ ფაქტზე დიტო ჩუბინიძემ გააკეთა ჩემთან ინტერვიუ და ჩემი სურვილით მიუთითა ჩემი მობილური ტელეფონის ნომერი, დამიკავშირდნენ გია გულუას რაზმის წევრები და შეხვედრა მთხოვეს. მათ არ უარყვიათ დევნა პრეზიდენტისა, რისთვისაც მათ დისლოკაციის ადგილად ზუგდიდში ჩხოუშიას სანაპიროზე მდებარე რამდენიმე საცხოვრებელი სახლი ჰქონდათ. მათი თქმით პრეზიდენტ გამსახურდიას დევნას, მათთან ერთად, რუსეთის სპეცდანიშნულების რაზმიც ახორციელებდა. „ოპერაციაზე“ ერთად დადიოდნენ, თუმცა ქართველებთან კონტაქტში არ შემოდიოდნენ, უცნაური სატელიტური ანტენით და რადარით აკონტროლებდნენ პრეზიდენტის გადაადგილებას... არსებობდა ორი ძმა ხაფავები. ერთი ლოთი ქობალიას ეროვნულ გვარდიაში ყოფილა, მეორე გია გულუასთან და ძმები ერთმანეთს ხშირად უცვლიდნენ ინფორმაციებს. მოგვიანებით დაპატიმრებული გია გულუა, სწორედ მათი წყალობით იქნა გაპარებული ზუგდიდის იზოლატორიდან. გულუას რაზმის ერთ–ერთმა წევრმა განმიცხადა: 1993 წ. 29 დეკემბერი იყო, თბილისში სამმართველოს კაბინეტში ვიჯექი, ამ დროს შემოვიდა ბადრი ზარანდიას დაჯგუფების ერთ–ერთი წევრი, რომლის სახელი ვერ გაიხსენა, მაგრამ ამოცნობა შემიძლიაო. ამ ახალგაზრდამ გია გულუას ხმადაბლა ჩაულაპარაკა, რომ წუხელ 28 დეკემბერს ლიკვიდირებულ იქნა ზვიად გამსახურდია. ანუ არა საახალწლო ღამეს, არამედ იმ დღეს, როდესაც პრეზიდენტმა დატოვა ჯონსონ კვარაცხელიას სახლი...

ზუგდიდში ყოფნის დროს, ზვიად გამსახურდიას ერთ–ერთმა მომხრემ (სამხედროა) მთხოვა ჟურნალისტური გამოძიება მეწარმოებინა გოჩა ესებუას მკვლელობაზე. ჩემს კითხვაზე, თუ რატომ მაინცდამაინც ამ მკვლელობაზე, მითხრა რომ სავარაუდოდ, ზვიად გამსახურდიასა და გოჩა ესებუას მკვლელი ერთი და იგივე ადამიანი არისო, თუმცა საიდან ჰქონდა ეს მოსაზრება აღარ უთქვამს.

2014 წლის გაზაფხულზე ზუგდიდიდან დამიკავშირდა არსენ მესხია, მითხრა რომ ჩემთან შეხვედრა სურდა, თუმცა თვითონ თბილისში ვერ ჩამოვიდოდა და მე უნდა ჩავსულიყავი ზუგდიდში. ფინანსური პრობლემების გამო დროულად ვერ მოვახერხე ჩასვლა, ზაფხულში რომ ჩავედი მითხრეს, რომ არსენ მესხია გარდაიცვალა. მართალია, მას ტელეფონზე არ სურდა ამ თემაზე საუბარი, მაგრამ მითხრა, რომ ზვიად გამსახურდიას ტრაგედია ჯიშახშკარს არ გასცილებია და საეჭვოდ მიხსენა ჭანისწყალი და მასზე გადებული ხიდი. სავარაუდოდ იქ იყო მომხდარი ყველაზე მნიშვნელოვანი ამბავი. ჩემს კითხვაზე, თუ მან საიდან იცოდა და იყო თუ არა თავად რაიმეს თვითმხილველი მიპასუხა, რომ თვითონ არ იყო, მაგრამ ვინც იყო იმათ შემახვედრებდა... სამწუხაროდ მისმა საეჭვოდ სწრაფმა გარდაცვალებამ ამ თემის გარშემო კვლავ კითხვის ნიშნები დატოვა... საგულისხმოა, რომ პრეზიდენტის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებული თითქმის ყველა ადამიანი საეჭვოდ დაიღუპნენ. თავად ლუდმილა ლურწკაია, რომელიც ჯანმრთელობას არ უჩიოდა, საპარლამენტო კომისიის შექმნის დღეებში გარდაიცვალა... ლუდმილას ერთ სატელეფონო ზარზე მომხდარ ფაქტზე, დროებით თავს შევიკავებ, მაგრამ აუცილებლად განვაცხადებ თავის დროზე... ამ წერილის გამოც წარმომიდგენია რამდენი ცილისმწამებელი, რამდენი ფარისეველი და მოქირქილე გამოჩნდება თავად ზვიად გამსახურდიას ე. წ. მომხრეებიდან... თუმცა ვალდებულები ვართ, ბოლომდე გავარკვიოთ სიმართლე, ვის რა ბრალი მიუძღვის, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შემდგომ, მეოცე საუკუნის ბოლოს ჩადენილ ამ უდიდეს დანაშაულში. საზოგადოებამ ყველაფერი უნდა იცოდეს და საქართველოს ისტორიამაც!

ირაკლი შონია

ვალიკო ზარანდიას სადურგლო, სადაც დაკრძალული იყო ზვიადი 18 იანვრიდან 17 თებერვლამდე 1994 წლისა.

P. S. *კატეგორიულად არ ვეთანხმები, იმ ადამიანებს ვინც მყვედრის, ამ თემებზე გადაცემების წაყვანას ანტიეროვნული ძალებით დაკომპლექტებულ „ობიექტივში“, ან „ასავალ–დასავალში“ რატომ იბეჭდებოდა ჩემი ინტერვიუები. ჩვენ ყველანაირად უნდა ვეცადოთ გავარღვიოთ საინფორმაციო ბლოკადა, ორ ათეულ წელზე მეტია ჩახშობილია ჩვენი ხმები. საჭიროა სიმართლე გავიტანოთ საზოგადოებაში. ამიტომ მე უარს ვერ ვიტყვი ვერც ერთ საინფორმაციო საშუალებაზე. დასასრულს მინდა დიდი მადლობა გადავუხადო გაზეთ „განმათავისუფლებელს“ და მის რედაქტორს ქალბატონ ლეილა ცომაიას, რომელმაც საშუალება მომცა მკითხველამდე მიმეტანა ეს მწარე სიმართლე, მომეყოლა საქართველოს პრეზიდენტის ტრაგიკული სვე–ბედის ისტორია.*

ასევე ფოტომასალის მოწოდებისთვის მადლობას ვუხდი ეკა ხერხეულიძეს.

თუ ვინმეს აქვს დამატებითი ინფორმაციები პრეზიდენტის მკვლელობასთან დაკავშირებით, შეგიძლიათ დამიკავშირდეთ გაზეთ „განმათავისუფლებლის“ რედაქციის მეშვეობით.

ი.შ.

თქვენს გასაგონად, ჩემზე შემომწყრალნო!...

ამას წინათ რამდენიმე ადამიანმა ამომშალა facebook-ის სამეგობროდან, კიდევ კარგი, როცა ეს ამბავი შევიტყვე ვახშამი მირთმეული მქონდა...

მიზეზი, უკანასკნელი ამბების შახსეი-ვახსეია... „ეკონომიკის მამის“ კახა ბენდუქიძის გარდაცვალების გამო ატეხილი ემოციები.

სინამდვილის გაუკუღმართება - გამრუდება, თვალებში ნაცრის შეყრა ვერ ავიტანე და მოკრძალებულად შევკადრე -შეჩერდით-თქო!

ხალხო, რამდენი კლანის ბოსი გარდაიცვლება, ყველას ილიასთან გატოლება და მთაწმინდის საგზურის გამოწერა, გაგონილა?...

ერთ-ერთი მათგანი, ვინც ჩემი განსხვავებული აზრის გამო შემომწყრა „ჩვენიანია“, უზენაესი საბჭოს დეპუტატი... ჩემს რადიკალურ პოზიციას ისე მრუდედ აღიქვამს, თითქოსდა ვცდილობდე რაიმეს მონოპოლიას, მისაკუთრებას, სოფლის მამასახლისობას, თითქოსდა თავხედურად ვლაპარაკობდე ხალხის სახელით. არამც და არამც!

ჩემსას ვერ ვართმევ თავს და გიჟი კი არა ვარ ამხელა ანგრეულ-დანგრეული სოფლის ციციკორობა ვიკისრო!

მე ვარ საქართველოს რიგითი მოქალაქე, ამომრჩეველი, რომლის უფლებები პატივაყრილია 1992 წლის 6 იანვრიდან, ჩემი ხმა ცხრაკლიტულშია დაგმანული...

მე ვარ ერთ-ერთი რიგითი ქართველი იმ მრავალთაგან, რომლებმაც გზა გაგიკვალეთ უზენაესი საბჭოს ტრიბუნისაკენ, ვიფიქრეთ რა, რომ სწორედ თქვენ იყავით გამორჩეულნი ჩვენს შორის, მაგრამ მწარედ შევმცდარვართ!

კვლავაც ველოდებით იმ დღის დადგომას, რომელიც დააამსხვრევს ცხრაკლიტულის ურდულებს და სამართალი ჭამს პურს...

მანამდე კი...

მანამდე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სახელისუფლებო „მრგვალი მაგიდის“ ბლოკის დეპუტატებისაგან მოვითხოვ ლეგიტიმაციის შენარჩუნებას, როგორც ეს შენარჩუნდა 1921 წლის თებერვალ- მარტის ოკუპაციის შემდგომ. მაქვს მე ამის უფლება, როგორც ამომრჩეველსა და როგორც ამ ბლოკის საარჩევნო კამპანიის თანამონაწილეს...

პრეზიდენტის გარდაცვალებამ ხელფეხი გაუხსნა ამ ბლოკის დეპუტატთა ერთ ნაწილს, უპრინციპო „ხალხის რჩეულებს“...

გვახსოვს, თუ როგორ გვაბოლებდნენ შევარდნაძის არჩევნებში მონაწილე ეროვნული მოძრაობის „წარმომადგენლები“ და კანონიერი უზენაესი საბჭოს მრგვალ-მაგიდელი დეპუტატები - ციხე შიგნიდან უნდა გავტეხოთო და განითესნენ სხვადასხვა ბლოკებსა და პარტიებში - ზოგი ასლან აბაშიძისაში და ზოგი სად...

და რა ჰქნეს, გატეხეს? ისემც დაუმშვენდათ ცხვირი!...

ვინც უზენაესი საბჭოს დეპუტატი არ იყო, ხელი გამოჰკრეს პარლამენტართა სამუდამო პენსიებს; სულ ეს იყო მათი ციხის შიგნიდან გატეხვის ქადილი ...

დღეს კი კანონიერი ხელისუფლების „მომხრეებისა“ და „დეპუტატების“ ერთი ნაწილი ზოგი პარლამენტარია სახელისუფლებო ბლოკიდან და ზოგიც ე. წ. ოპოზიციიდან. ზოგი კიდევ ან მიშა „მოციქულის“ ან კიდევ ბიძინა ყოვლისშემძლე და ყოვლისმქნელის ქადაგადაა დავარდნილი...

ფეხზე ჰკიდიათ თვალისჩინივით გასაფრთხილებელი ლეგიტიმაცია!

ბატონებო, თქვენი ნებაა, სადაც გინდათ იქ წადით!

მაგრამ იცოდეთ, ნუღარ სარგებლობთ „საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატის“ სახელით!

მოიხსენით ეს მძიმე ტვირთი, რამეთუ, აღარც ძალი და უნარი შეგწვეთ მისი ტარებისა და აღარც სურვილი!

ან კიდევ, კეთილი ინებეთ და დაიოკეთ ვნებათაღელვა, სძლიეთ ადამიანურ სისუსტეებს და უერთგულეთ ჩვენს მიერ ბოძებულ მანდატს!

დიახ, ძნელბედობა სრავს ჩვენს ქვეყანას, არ ცხრება დამპყრობელი, შაგრენის ტყავივით ამცრობს საქართველოს.

სწორედაც რომ მოქმედება და ბრძოლაა საჭირო, მაგრამ ვის დაძახილზე გარბიხართ?

რატომ არ თაობთ ამ აქციებს თვითონ? რატომ უგდებთ სადავეებს დღეს უკვე გამოაშკარავებულ სალახანებსა და შარლატანებს ხელში?

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, ანტისაოკუპაციო კამპანიის წარმართვა თქვენი მოვალეობაა სამშობლოს წინაშე!

თავმოყვარეობის საკითხიცაა! ცინობერ ცახესების კუნტრუშზე აყოლა მოსაწონია?

მრგვალ-მაგიდელო დეპუტატებო, მიშას ბანაკში თავამოყოფილ ვექილ-ქომაგებო, სად დგახართ! ვისთან? იმ ხროვასთან, რომელმაც თქვენს მიერ კანონის სრული დაცვით გაუქმებული, ავადსახენებელი „ სამხრეთ ოსეთის“ საბჭოური სტატუს-ქვო აღადგინა და უწოდა მას „სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული ერთეული„?

რომელმაც დალის ხეობის (კოდორის) სვანეთი ზემო აფხაზეთად მონათლა და სინზე დადებული მიართვა გადამთიელს?!

ნაცვლად იმისა, რომ პასუხი მოსთხოვოთ ამ საშვილიშვილო ღალატსა და მტრობაზე, გულში იხუტებთ კოლაბორაციონისტებს?

ეს თანამონაწილეობაა ერისა და ქვეყნის ღალატისა!

მრგვალ-მაგიდელო დეპუტატებო, ბიძინას ამქარში გამოსკვანჩულებო, რატომ არ იმაღლებთ ხმას „მცოცავი ანექსიის“ წინააღმდეგ? რაო, სოვდაგრის რისხვის გეშინიათ? დაგიცარიელდებათ „პორტმანები„? თქვენც მოგიწევთ ხვალინდელ დღეს პასუხისგება!

სამეგობრო სიიდან ამომშლელი ბატონი დეპუტატი facebook-ზე ჩემი ანონიმურობის გამო მამუნათებს...

ბატონო დეპუტატო, ჩემი სახელის დამალვა უფრო ავნებს საქართველოს თუ შენი დემაგოგია, ათასი ჯურის ავაზაკს რომ გმირად მიცხადებ?! თეთრს შავად მისაღებ და თვალში ნაცარს მაყრი?!

იძულებული ვარ შეგახსენო შენ და შენნაირებს, მე და ბევრ თქვენს ამომრჩეველს საქართველოს თავისუფლებისთვის ბრძოლა „გარდაქმის“ გამოდარებისას და 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ არ დაგვიწყია.

და ერთს დავძენ, ეს ჩემი ბმული არ ეხება იმ დეპუტატებს, რომლებიც არ ჩამსხდარან რაგინდარა ვიგინდარას ძირგაგდებულ ნავში და ღირსეულად წევენ ამ მძიმე ჭაპანს, მადლობა თქვენ!

პატივისცემით
SIGMUND WOHLTAETER

ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩა დედაქალაქის ცენტრიდან გააძევეს!

თბილისის საკრებულომ აშკარად გაუაზრებელი და მკრეხელური გადაწყვეტილება მიიღო ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩის გაბრიელ ბერის სახელწოდებით შეცვლით. საგულისხმოა, რომ საკრებულოში არავის გამოუხატავს გონივრული აზრი ამ წინადადების საპირისპიროდ და კენჭისყრაში მონაწილე 32 დეპუტატიდან (ერთი წინააღმდეგი-გოჩა ბაბუნაშვილი), ყველამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი. აღნიშნული გადაწყვეტილება გვაფიქრებინებს, რომ საპატრიარქოს გვერდის ავლით არ იქნებოდა მიღებული...“ საკითხის ინიციატორი ლია ჯახველიძე აცხადებს,რომ ჩოლოყაშვილის ქუჩისთვის სახელის შეცვლა მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე მოხდა“. სწორედ ამ კომკავშირულ-კომუნისტური „არგუმენტში“ მარხია ძაღლის თავი ანუ, აშკარად ჩანს, რომ ეს პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო! რუსეთუმე სოსო მანჯავიძისა და ალეკო ელისაშვილის დასტური კი ამ გადაწყვეტილებაზე სულაც არაა გასაკვირი, ისევე როგორც, „ნაციონალების“ არდასწრებას ხსენებულ სხდომაზე, ვერ შევაფასებთ კოალიციური დეპუტატებისაგან განსხვავებულ პატრიოტიზმად; „ნაციონალურ საკრებულოს“ მთელი ათი წელი ჰქონდა დრო კომუნისტურ-საბჭოური მემკვიდრეობის ნარჩენები (ზვიად გამსახურდიას ეროვნულმა საკრებულომ დაიწყო ეს პროცესი და საკმაოდ ბევრიც მოასწრო) აღმოეფხვრა და დაესრულებინა ქუჩებისა და პროსპექტების სახელწოდებების გაქართულების პროცესი. სწორედ „“ნაციონალების“ საკრებულომ არ დაუშვა (ნათელა მაჭავარიანი) თბილისის აეროპორტსა და რომელიმე მთავარ ქუჩას მინიჭებოდა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას სახელი მაშინ, როცა არანაირ თანხებს არ იშურებდნენ ევროპის მოედნის, მამა-შვილ ბუშის ქუჩის, სობჩაკისა და ალიევის ბრინჯაოს ბიუსტების დადგმისა და მათი სახელობის სკვერების კეთილმოწყობისათვის დედაქალაქის ცენტრალურ ადგილებში. ნაციონალების საკრებულომ

დიდოსტატ კონსტანტინე გამსახურდიას 100 წლისთავთან დაკავშირებით პეკინის ქუჩას უწოდა კონსტანტინე გამსახურდიას პროსპექტი, მაგრამ ორიოდ წელიწადში ისევ გადაარქვა და აღადგინა პეკინის ქუჩა, ხოლო კონსტანტინეს ქუჩა უწოდა მის მიმდებარე პატარა მონაკვეთს. რატომ არ შეიძლებოდა თავად ბოგდან ხმელინცკის ქუჩას ან სულაც მოსკოვის პროსპექტს გადარქმეოდა საბჭოური მემკვიდრეობის სახელები და დარქმეოდა ქაქუცა ჩოლოყაშვილის პროსპექტი? *(რედ.)*.

რა პრინციპით მიიღებენ დახმარებას სოციალურად დაუცველები

პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების ახალი მეთოდოლოგიის შესახებ მოისმინეს ინფორმაცია, რომელიც სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორმა, გაიოზ თალაკვაძემ წარმოადგინა.

როგორც სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორმა აღნიშნა, ახალი მეთოდოლოგიის მთავარი პრინციპი არის ის, რომ დაითვლება ოჯახის შემოსავალი და დაითვლება ოჯახის ის ქონება, რომელიც პოტენციურად არის შემოსავლის მომტანი.

გაიოზ თალაკვაძის განცხადებით, ძველი მეთოდოლოგიის ცვლადები: სოციალური აგენტის სუბიექტური შეფასება და საყოფაცხოვრებო საგნები (მაცივარი, სარეცხი მანქანა, გაზქურა, წყლის გამათბობელი ავზი, გაზის წყლის გამათბობელი, გაზის გამათბობელი, კონდიციონერი, ტელევიზორი, თამბაქოს მოხმარება) აღარ იქონიებენ გავლენას ახალი ქულების განსაზღვრაში.

ძველი ფორმულის მიხედვით, 57 000 სარეიტინგო ქულის ქვემოთ ოჯახის პირველი წევრი იღებდა 60 ლარს, ხოლო ყოველი შემდგომი წევრი 48 ლარს, ბავშვის დანამატი არ იყო გათვალისწინებული. ახალი ფორმულის მიხედვით, მოხდა სარეიტინგო ქულების გრადაცია. 30 000 ქულის ქვემოთ ოჯახის ნებისმიერი წევრი მიიღებს 60 ლარს, ხოლო ბავშვისთვის გათვალისწინებულია 10 ლარიანი დანამატი. 30 000-დან 57 000 ქულამდე ოჯახის ნებისმიერი წევრი მიიღებს 50 ლარს და 10 ლარს ბავშვის დანამატს, 57 000-დან 60 000 ქულამდე ოჯახის ნებისმიერი წევრი მიიღებს 40 ლარს და 10 ლარს ბავშვის დანამატს, 60 000-65 000 ქულამდე ოჯახის ნებისმიერი წევრი მიიღებს 30 ლარს და 10 ლარს ბავშვის დანამატს, ხოლო 65 000- 100 000 ქულამდე ოჯახი მიიღებს მხოლოდ ბავშვის დანამატს 10 ლარს.

დღეის მდგომარეობით, 57 000 სარეიტინგო ქულაზე ქვემოთ მყოფი ოჯახები სოციალურ დახმარებას თვეში საშუალოდ 165 ლარს იღებენ. ახალი პროექტით ოჯახებს, რომლებსაც 30 000 ნაკლები სარეიტინგო ქულა ექნებათ, სოციალური დახმარება გაეზრდებათ საშუალოდ 331 ლარამდე ბავშვის დანამატის გარეშე, 30 000-დან 57 000-მდე საშუალოდ 207 ლარამდე, 57 000-დან 60 000 -მდე 163 ლარამდე, ხოლო 60 000 დან - 65 000- მდე 111 ლარამდე. ამ ცვლილების შედეგად 38 ათასი ოჯახით მეტი იქნება მოცული სოციალური დახმარებით.

– ქვეყანაში 450 ათასი მოქალაქე არის სოციალურად დაუცველის სტატუსის მატარებელი და სახელმწიფოს მხრიდან ისინი გარკვეულ ფინანსურ მხარდაჭერას ყოველთვიურად ღებულობენ, რაც ახალი ხელისუფლების პირობებში გაორმაგდა, მაგრამ ის კრიტერიუმები, რაც აქამდე იყო, 2007 წელს მიღებული, სრულად ვერ ასახვას ოჯახის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას და ვფიქრობ, რომ ბოლომდე სამართლიანი არ არის და თან ხშირად ხდებოდა ხოლმე პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენება. მაგალითად, საარჩევნო კალენდარს ემთხვეოდა ხოლმე ქვეყანაში სოციალურად დაუცველთა რიცხვის მატება და შემდგომ შესაბამისად კლება. დაუშვებელია, რომ რომელიმე პოლიტიკურმა გუნდმა ეს გამოიყენოს პოლიტიკურ იარაღად. ამიტომ, ჩვენ უნდა შევქმნათ, შევიმუშაოთ ახალი კრიტერიუმები, რომელიც იქნება ობიექტური და სამართლიანი სოციალურად დაუცველთა მიმართებაში. ვისაც ეკუთვნის შესაბამისი ფინანსური მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან უნდა ჰქონდეს და არ უნდა დარჩეს ამ დახმარების მიღმა, - განაცხადა დიმიტრი ხუნდაძემ.

წყარო: http://gurianews.com/view_left_wide.html?item=23021&title

ვალერია ნოვოდვორსკაიას გახსენება

ლეილა ცომაია

მიმდინარე წლის 12 ივლისს, მოსკოვის საინფორმაციო საშუალებებმა მსოფლიოს ამცნეს, რომ ინფექციური-ტოქსიკური შოკისაგან საავადმყოფოში გარდაიცვალა ცნობილი სამართალდამცველი, საბჭოთა დისიდენტი ვალერია ნოვოდვორსკაია. მიუხედავად იმისა, რომ ვალერია ნოვოდვორსკაიას გარდაცვალების მიზეზი დამაჯერებლად გადმოსცეს ოფიციალურმა წყაროებმა, საზოგადოების გარკვეულ ნაწილში მაინც რჩება ეჭვი, რომ შეიძლება იგი მოწამლეს, როგორც რუსეთის ყველა ხელისუფლების აქტიური ოპონენტი, შეურიგებელი და მიუმხრობელი რადიკალი - რუსი ერის ნამდვილი სახე და პოლიტიკური სინდისი.

ვალერია ჭეშმარიტად წრფელი, სუფთა და ღირსეული პიროვნება გახლდათ; თავის 42 წლიან ბრძოლაში, რუსეთის იმპერიალისტურ-რეპრესიული რეჟიმების წინააღმდეგ, მას პოლიტიკური ბრძოლის კოდექსად და ნორმად ასეთი ზნეობრივი განსაზღვრება გააჩნდა: **„მე ძალიან რადიკალური ვარ საიმისოდ, რომ ვინმემ გაბედოს და ინფორმაცია მომცეს!“**

ვალერია ნოვოდვორსკაიას ეს ზნეობრივი კოდექსი, ხელისუფლების ძალოვან სტრუქტურებთან რაიმე სახის თანამშრომლობასთან მიმართებაში (თუნდაც საკუთარი ჟურნალისტური თუ უფლებადაცვითი საქმიანობის სასარგებლოდ), სახელმძღვანელოდ უნდა იქცეს ყველა ჭეშმარიტი ჟურნალისტის, სამართალდამცველისა თუ ადამიანთა უფლებათდამცველი პერსონებისათვის, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა, სამწუხაროდ, სიამოვნებითი აქტიურობით თანამშრომლობს ყოველგვარ ძალოვან სტრუქტურებთან, რაც საეჭვოს ხდის მათი დამოუკიდებლობისა და ნდობის ხარისხს.

ჩემი პირველი და ერთადერთი შეხვედრა ვალერია ნოვოდვორსკაიასთან მოხდა 1992 წლის 24 სექტემბერს; ეს დღე დედაჩემის გარდაცვალების თარიღია და მე შესვენებაზე გამოვედი უნივერსიტეტის შენობიდან, რათა რუსთაველზე ქვაშუეთის ეკლესიაში წავსულიყავი და სანთლები დამენთო დედაჩემის სახელზე. უნივერსიტეტის ეზოში ჩოჩქოლი და დაძაბულობა დამხვდა. ჩემი ყურადღება მიიპყრო სათვალიანმა, მსუქანმა უცხო ქალბატონმა, რომელსაც წინ დიდი ტომარა ედო და იქედან სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს რაღაც ფურცლებს ურიგებდა; მისი ვინაობა კი ვიცოდი, როგორც დისიდენტმა, მაგრამ იგი ასე პირისპირ არასოდეს მენახა. გულმა მიკარნახა, რომ ეგ სწორედ ვალერია ნოვოდვორსკაია იყო და პროკლამაციებს არიგებდა, რასაც ზოგი პროტესტის ნიშნად არ ართმევდა, ზოგი კი ართმევდა, სადღაც იჩურთავდა და სწრაფად ეცლებოდა იქაურობას. აჩქარებით მივეახლე, მივესალმე, დახმარება შევთავაზე და მყისიერად დავიწყე მისი ტომრიდან პროკალმაციის გავრცელება. მას გაუხარდა და ბუბუნა ხმით მკითხა „სტუდენტი ხარო?“ მე არაფერი ვუპასუხე, ირგვლივ იძაბებოდა ვითარება, ეზოში უკვე მომრავლებულიყნენ გადაცმული პოლიციელები თუ უშიშროების თანამშრომლები და ვეშურებოდი პროკლამაციების სწრაფად გავრცელებას. ვალერიამ კი: ამ დილით ჩამოვედი გროზნოდან, ზვიად გამსახურდიასაგან წამოვიღე ეს პროკლამაციები, ერთი ტომარა კიდევ მაქვს აქვე ბინაში შენახული. ბინა უნივერსიტეტთან ახლოს, რომელსაც სტუმრობდა ვალერია, მოსკოვში მოღვაწე პროფესორის გივი გორგილაძის დედას, ქალბატონ ჩიტოს ეკუთვნოდა. გ. გორგილაძეს ბიოლოგიის ლაბორატორია თსუ-შიც ჰქონდა და დროდადრო ჩამოდიოდა ხოლმე და უნივერსიტეტში ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს, ვმეგობრობდით კიდეც.

პროკლამაციის შინაარსი შეიცავდა 11 ოქტომბრის მოახლოებულ ხუნტის საპარლამენტო (ე.წ. იმედის) არჩევნების ბოიკოტირების მოწოდებას. მე და ვალერიას, ჯაბა იოსელიანისა და კიტოვანის ხუნტამ მალევე აღგვიკვეთა საქმიანობა და ჩვენ, ფიზიკური ძალადობით ჩაგვყარეს მანქანაში და მიგვიყვანეს ვაკის რაიონის მილიციაში, სადაც დილამდე გვამყოფეს. ვალერია ხაზგასმულ უპატივცემულობას გამოხატავდა ხუნტის პოლიციის მიმართ და მათ კითხვებს ცინიკურად და აგდებით პასუხობდა. მოსულები იყვნენ, აგრეთვე უშიშროებიდანაც. ვალერიას საქციელი და პასუხები იმდენად არაადექვატური იყო, რომ ძალოვანები ცდილობდნენ ჩემთან გადაემოწმებინათ მისი ფსიქიური მდგრადობის საკითხი, რასაც მე არანაკლები ცინიზმით ვპასუხობდი. მაგალითად, როდესაც ვალერიას ეკითხებოდნენ, თუ რა უფლებით ეწეოდა იგი საქართველოში ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას, ვალერია ფეხს-ფეხზე, სიმსუქნისაგან არცთუ მოქნილად გადაიდებდა, ხელჩანთიდან ამოიღებდა სარკეს და პომადას და ვითარცა სალონში, კოსმეტიკობას – სახის მორთვას იწყებდა. მისი „არაადექვატურობა“ ჩემში კმაყოფილ ღიმილს იწვევდა, ხოლო ძალოვანებში კი დაბნეულობასა და წყრომას.

ძალოვანების კითხვები და ინტერესი, ცხადია, უმეტესწილად ვალერიასადმი იყო მიმართული; მათ აინტერესებდათ სად დაბეჭდა მან პროკლამაცია, როდის ჩამოვიდა იგი თბილისში და ა.შ. ვალერიასგან მათ სერიოზული პასუხები ვერ მიიღეს, გარდა ცინიზმისა. მეც, ყველაფერზე - არ ვიცი, არ ვიცნობ-მეთქი ვპასუხობდი და არაფრით მიჯერებდნენ. როდესაც სერიოზული კონტაქტი ჩვენსა და ძალოვანებს შორის ვერ შედგა, დილას მიგვგვარეს ჯაბა იოსელიანთან იმელის შენობაში. ჯაბა იოსელიანის კაბინეტი გადავსებული იყო მხედრიონელებით. ჯაბა ცდილობდა ვალერიაზე მოაეხდინა ზეგავლენა და დაერწმუნებინა იგი, რომ ზვიადი დიქტატორი და გიჟი იყო. ამის დასტურად ჯაბამ გვიჩვენა ზვიადის ფოტო (მონტაჟი), რომელზედაც ზვიადი შეურაცხადად გამოიყურებოდა. ჩვენ სიცილი დავაყარეთ ჯაბას, იგი კი გვარწმუნებდა, რომ ეს ნამდვილი ფოტოაო. ვალერიამ ჩვეული პირდაპირობით მიახალა ჯაბას: „შენ უნდა იყო ზვიადის შემცვლელი? საქართველო კი იმსახურებს ზვიადს!“

საღამო ხანს ჩვენ გამოგვიშვეს იმელის შენობიდან. ვალერია ნოვოდვორსკაია იმ ღამითვე გააძევეს თბილისიდან, ხოლო მე, უნივერსიტეტიდან და დავრჩი უმუშევარი. მოსკოვში ჩასულ ვალერიას გივი გორგილაძისთვის უთქვამს, რომ უნივერსიტეტში მხოლოდ ერთი ახალგაზრდა გოგო ამომიდგა გვერდში და ისიც ჩემთან ერთად დაგაკავესო. გორგილაძეს ჩემთან გადაუმოწმებლადვე მიუგია ვალერიასთვის, რომ იგი ლეილა ცომაია იქნებოდაო. ასე დავრჩით ნაცნობ-უცნობებად მე და ვალერია ნოვოდვორსკაია.

ვალერია, იმავე მისიით კიდევ არაერთხელ იყო ჩამოსული თბილისში, მაგრამ მას უკვე მაშინვე აკავებდნენ და ერთ თვემდე წინასწარი პატიმრობის ჯურღმულშიც კი ჰყავდათ გამომწყვდეული თბილისის ხუნტას.

ვალერია ნოვოდვორსკაიას არაორდინალური გარეგნობა, ზერელე ხედვით, ნამდვილად ქმნიდა არათანხვდენით შთაბეჭდილებას მის ღონიერი გონთან; მაგრამ მისეული სამართლიანობისა და თავისუფლების სიანკარე, კაცობრიობის მჩქეფარე სიყვარული და თავგანწირვის სიდიადე ჩრდილავდა და აუფერულებდა მასთან პოლემიკაში მყოფ ყველას ფიზიკურ სილამაზეს, საინტერესოთა შორის საინტერესოს ხდიდა და განაბრწყინებდა მას. იგი იყო მჭევრმეტყველი და ეროვნებათაშორისი სიკეთის, თანასწორობისა და თავისუფლების ქადაგი.

XX-XI საუკუნის მსოფლიო ჟანდარმის - რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ, ნებისმიერი გამოვლინებით მებრძოლი პოლიტიკური ფიგურა, მის მყისიერ თაყვანისცემას იმსახურებდა და ეს მოტივი კვებავდა ვალერიას თანადგომას მიხეილ სააკაშვილისადმიც.

ვალერიას მაღალი შეფასებები ზვიად გამსახურდიას მიმართ არაერთ ქართულ და რუსულ გაზეთებშია დაბეჭდილი. აქ კი მისი უამრავი წერილებიდან ერთ მცირე მონაკვეთს მოვიყვანთ მხოლოდ:

„იგი კეთილშობილია, ალალი, წმინდა და განასახიერებს სიბრძნეს, მწერლის ნიჭს და სიმტკიცეს ბავშვურად გულუბრყვილო მარტვილისა, იგი მთელი სიცოცხლე ებრძოდა კომუნიზმსა და მისგან ათავისუფლებდა თავის პატარა ქვეყანას. იგი მარად დისიდენტია, რომელმაც გადაიტანა ციხეც, წამებაც და კატორღაც... იგი ალმოდებულ გემზე კაპიტნად რჩება და ურჩევნია ჩაიძიროს, ვიდრე ალამი დაუშვას, ესაა ზვიადი გამსახურდია ქართული სიბრძნისა და ღირსების სიმბოლო“.

ბიოგრაფია

ვალერია ნოვოდვორსკაია დაიბადა 1950 წლის 17 მაისს ქალაქბარანოვიჩში, ბელორუსიის სსრ,[1] რომელშიც, როგორც ნოვოდვორსკაიამ თქვა, მისი მშობლები არდადეგებზე იყვნენ მის ბებიასთან და ბაბუასთან. დედა ექიმი იყო, მამა — ინჟინერი.[2]

9 წლის ასაკში საცხოვრებლად მოსკოვში გადავიდა.[3] 1968 წელს სკოლა დაამთავრა ვერცხლის მედალზე.[2] შემდეგ სწავლობდა მოსკოვის უცხო ენების ინსტიტუტში, ფრანგული ენის განხრით, სპეციალობით „თარჯიმანი და პედაგოგი“.[1] 1 წლის შემდეგ საფუძველი ჩაუყარა იატაკქვეშა სტუდენტურ ორგანიზაციას, რომელშიც განიხილებოდა კომუნისტური რეჟიმის შეირაღებული გზით დამხობის აუცილებლობა.[1][4]

1969 წელს დაპატიმრებულ იქნა სსრკ-ის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის (სუკი) მიერ ანტისაბჭოთა აგიტაცია–პროპაგანდის ბრალდებით, ჩეხოსლოვაკიაში საბჭოთა ჯარებისშეყვანის თაობაზე საპროტესტო პროკლამაციების გავრცელების გამო.

1970–1972 წ. იმყოფებოდა სპეცსაავადმყოფოში იძულებით მკურნალობაზე დიაგნოზით „შიზოფრენია, პარანოიდალური ქცევები“.[1][5][6]

1972 წელს მონაწილეობდა იატაკქვეშა გამოცემათა ტირაჟირება–გავრცელებაში.[1]

1973–1975 წლებში მუშაობდა საბავშვო სანატორიუმისპედაგოგად.[1]

1975-1990 წლებში მუშაობდა სამედიცინო ლიტერატურის თარჯიმნად მოსკოვის მე–2 სამედიცინო ინსტიტუტში.[1]

1977–1978 წლებში ცდილობდა შეექმნა იატაკქვეშა პოლიტიკური პარტია სკკპ-სთან საბრძოლველად.

1977 წ. დაამთავრა მოსკოვის საოლქო პედაგოგიური ინსტიტუტის უცხო ენათა ფაკულტეტი.[1]

1978 წ. „მშრომელთა თავისუფალ პროფესიათაშორისი გაერთიანების“ ერთ–ერთი დამაარსებელია.[1]იდეოლოგად არაერთგზის სახელისუფლო სტრუქტურებისაგან: არაერთხელ განათავსეს ფსიქიატრიულსაავადმყოფოებში, სისტემატიურად იბარებდნენ დაკითხვებზე, არაერთგზის გაიჩხრიკა მისი ბინა.

1978, 1985, 1986 წლებში გაასამართლეს დისიდენტური მოღვაწეობისათვის.

1984–1986 წ. დაუახლოვდა პაციფისტური მოძრაობის „ნდობა“ წევრებს.

1987–1991 წ. იყო მოსკოვში ანტისაბჭოთა მიტინგების ორგანიზატორი, რისთვისაც დაკავებულ იქნა მილიციის მიერ და მიესაჯა აღკვეთის ღონისძიება ადმინისტრაციული წესით, სულ 17–ჯერ.

1988 წ. პარტია „დემოკრატიული კავშირის“ ერთ–ერთი დამაარსებელი.

1988 წ. რეგულარულად აქვეყნებს პუბლიკაციებს მოსკოვის დემოკრატიული კავშირის არალეგალურ გაზეთში „თავისუფალი სიტყვა“, 1990 წ. ეს გამომცემლობა აქვეყნებს მისი პუბლიკაციების კრებულს.

1990 წ. „თავისუფალ სიტყვაში“ ერთ–ერთი სტატიის, სათაურით „ჰაილ გორბაჩოვ!“ გამოქვეყნებისა და მიტინგებზე გამოსვლის შემდეგ, სადაც მან საჯაროდ გაანადგურა გორბაჩოვის პორტრეტები, დაადანაშაულეს სსრკ-ს პრეზიდენტის ღირსებისა და პატივის შელახვაში და სახელმწიფო დროშის შეურაცხყოფაში.

1991–1995 წ. ნოვოდვორსკაიას წინააღმდეგ აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმეები, რომლებიც გაუქმებულ იქნა დანაშაულის შემცველი ელემენტების არარსებობის გამო.

1992 წ. საქართველოს პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ ვალერია ნოვოდვორსკაიას საქართველოსმოქალაქეობა მიანიჭა (პარალელურად დანიშნა მრჩევლად ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში).

1992 წ. ნოვოდვორსკაიამ და დემოკრატიული კავშირის წევრთა ნაწილმა დააფუძნეს ორგანიზაცია „რუსეთის დემოკრატიული კავშირი“.

1993 წ. რუსეთის პრეზიდენტ ბორის ელცინის ბრძანებულების, რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს დათხოვნის თაობაზე, იყო ერთ–ერთი პირველი, ვინც მხარი დაუჭირა ამ ბრძანებულებას. აწყობდა ელცინის მხარდასაჭერ მიტინგებს.

1994 წ. მონაწილეობდა პარტია „რუსეთის დემოკრატიული არჩევანის„ დამფუძნებელ ყრილობაზე.

1995 წ. რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურატურის მიერ მის წინააღმდეგ აღძრულ იქნა სისხლის სამართლის საქმე გაზეთში „ახალი არჩევანი“ გამოქვეყნებული სტატიის გამო, ამავე წელს პროკურატურამ საქმე შეწყვიტა საქმეში დანაშაულის ელემენტების არარსებობის გამო.

1995 წ. მოსკოვის პროკურატურის მიერ ხელახლა იქნა აღძრული სისხლის სამართლის საქმე, ამჯერად, ნოვოდვორსკაიას მიერ პიკეტზე გამოტანილი ფურცლის გამო. მოგვიანებით, პროკურატურამ ეს საქმეც დახურა, ფურცელზე დანაშაულის ელემენტების არარსებობის გამო.

1995 წ. მე–2 მოწვევის რუსეთის დუმის არჩევნებში ეკონომიკური თავისუფლების პარტიის სიით ღებულობდა მონაწილეობას, რომელშიც დამარცხდა.

1996 წ. სახელმწიფო დუმის დეპუტატის კონსტანტინე ბოროვოის თანაშემწე.

2008 წ. ლიტვის ინტერესთა დაცვისათვის დაჯილოვდა რაინდის ჯვრით.[7]

თავისუფლად ფლობდა ინგლისურ და ფრანგულ ენებს. კითხულობდა იტალიურ და გერმანულ ენებზე, ესმოდა ბელორუსული ენა.

გარდაიცვალა 2014 წლის 12 ივლისს, მარცხენა ტერფის ფლეგმონით, გართულებული სეფსისით. როგორც ცნობილია, სიკვდილი გამოინვია ინფექციურ-ტოქსიკურმა შოკმა.

http://ka.wikipedia.org/wiki

ქართულის მაკვეთილები

ჟურამ პეტრიაშვილი



უფროსი თაობის მკითხველებს, ალბათ ახსოვთ 1990 წელს დაბეჭდილი ჩემი წერილების სერია „ოღონდ ქართულად ილაპარაკეთ“. გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს“ ძველი მუშაკები ირწმუნებოდნენ, რომ მანამდე გაზეთის არცერთ პუბლიკაციას არ მოჰყოლია ისეთი გამოხმაურება, როგორც მოჰყვა ჩემი წერილების სერიას.

ჩემი თვალით ვნახე რედაქციაში ექვსი დიდი ტომარა პირთამდე სავსე მკითხველთა წერილებით.

საქმე ის კი არაა, თუ მკითხველთა რა ნაწილი უჭერდა მხარს ჩემს პათოსს და არგუმენტებს, ხოლო რა ნაწილი იყო წინააღმდეგი. მთავარი იყო, რომ მკითხველები უდიდესი ინტერესით ადევნებდნენ თვალს ჩვენი ერის ამ მართლაცდა ერთ–ერთ ყველაზე საჭირბოროტო საკითხს – ქართული ენის ცხოვრებას.

მას შემდეგ ოცდაოთხი წელი გავიდა. ბევრი განსაცდელი, გაჭირვება და უბედურება გადაიტანა საქართველომ, მაგრამ ერის წიაღში, ვფიქრობ, არ განელებულა ინტერესი მშობლიური ენის მიმართ.

ალბათ სწორი იქნება საუბარი დავიწყოთ იმით, თუ რა მდგომარეობაშია ქართული ენა ქართულ ტელევიზიაში.

მაგალითები მომყავს სულ სხვადასხვა არხების მუშაობიდან. როგორც მაყურებელი ერთგულად ვიჯექი ეკრანის წინ რამოდენიმე თვე და შემიძლია დავადასტურო, რომ შეცდომები ყველგან ერთნაირია.

არაა გამორიცხული, რომ ვინმეს არ მოეწონოს ჩემი აზრები. მათ მინდა ვუთხრა, რომ ენაზე როგორც ასეთზე ძალიან დიდი ხანია ვფიქრობ და თავს უფლებას ვაძლევ მეგონოს – პროფესიონალი ვარ და პროფესიულად ვმსჯელობ.

სათქმელი რომ უფრო დაკონკრეტდეს, მოყვანილ შეცდომებს დავნომრავ.

1. ქართულ ტელევიზიაში როგორღაც არ მოსწონთ ქართული ბგერა „ფ“. მის ნაცვლად მკვიდრდება რუსულ–ევროპული „Ф“.

მაგალითები:

„პროФესიონალი“.

„კაФე“.

„ნესკაФე“.

„ბუФეტი“.

„Фიჯი“.

„ორიФლეიმი“.

„კომედი Фრანსეზი“.

2. არხეინად ხმარობენ რუსულ სიტყვებს და ოდნავი ეჭვიც არ ეპარებათ, რომ ეს სიტყვები არაა ქართული:

პროსტო – ქართულად – უბრალოდ.

ვაბშე – ქართულად – საერთოდ.

დავაი – ქართულად – მიდი.

ვსიო – ქართულად – მორჩა.

მალადეც – ქართულად – ყოჩაღ.

ლიშბი – ქართულად – ოღონდაც კი.

იასნია – ქართულად – ნათელია, გასაგებია.

სხვადასხვა ფილმებში თუ ტელეგადაცემებში შემხვდა:

„წარმატების ალეა“ (წარმატების ხეივანი).

„შეხედე, შოსე, 39“ (შეხედე შარაგზა, 39).

„ეს იყო სმენაში“ (ეს იყო ცვლაში).

„სხდებიან კინოს ბოლო რიგში, ზასაობენ“ (სხდებიან კინოს ბოლო რიგში, კოცნაობენ).

„მატრასი“ (ლეიბი).

„გავაკეთებ ბლინებს“ (შევწვავ მაჭკატებს).

„დავოლნი სახით“ (კმაყოფილი სახით).

„კაშელოკი“ (საფულე).

„მირავიე ამბიციი“ (მსოფლიო ამბიციები).

„ავიღოთ ეს პაპკა და გადავაკოპიროთ“ (ავიღოთ ეს საქაღალდე და გავაკეთოთ მისი ასლი).

„განიმედი, გერკულესი“ (ჰანიმედი, ჰერკულესი).

ხშირად ისე არბილებენ ბგერას, თითქოს რუსულად ლაპარაკობდნენ:

„კოსწიუმები“ (კოსტუმები).

„ძიმა“ (დიმა).

„ვალოძია“ (ვალოდია).

„ბუწიკი“ (ბუტიკი).

რაღაც ფილმს ვუყურებდი და ყური მომჭრა მოქმედი პირის ნათქვამმა: „ხოლესტერინიანი სუფრა“. გამახსენდა: მერაბ კოსტავას სახელობის საადგილმამულო ფონდს რომ ვაყალიბებდით, სიტყვით გამოვიდა თენგიზ სიგუა. ეს კაცი მანამდე არასოდეს მენახა. აღმოჩნდა, რომ იგი სიტყვებს რუსული „მანერით“ ამბობდა. მაგალითად „ტეხნიკა“ და „არხიტეკტურა“.

მერე ეს წვრილმანი ძალიან მსხვილმან საზიზღრობად იქცა!

რაღაც ფილმში კომიკური სიტუაცია შეიქმნა და ავტორებმა ვერ შეამჩნიეს.

ერთმა მოქმედმა პირმა თქვა:

– ერთი ფილა შოკოლადი.

მეორემ კი, მისი აზრით, შეუსწორა და თქვა:

– პლიტკა.

აი, რეკლამა. რეკლამაში ჩართულია წარწერა, სადაც ვკითხულობთ:

– ნუთელა.

მაგრამ იქვე ამბობენ: „ნუტელა“.

3. როგორც ვიცით ქართულ ენაში ბგერები გამოითქმის მკაფიოდ და ცალ–ცალკე.

ტელეეკრანზე კი ხშირად გვესმის ერთმანეთს შერეული, შეზელილი ბგერები:

„სერიალი“, „პარტნერი“...

4. ცალკე უნდა ვთქვათ სიტყვაზე „ისტორია“.

მადლობა ღმერთს ქართულში გვაქვს სიტყვა, რომელიც მშვენივრად გადმოგვცემს იმას, რასაც სხვა ენებში ამბობს „ისტორია“. ეს სიტყვაა „ამბავი“. რუსული და სხვა ევროპული ენების გავლენით ქართულშიც შემოაქვთ ეს „ისტორია“. რად გვინდა, ძმებო, რისთვის ვაჩენთ ენაში ახალ ომონიმს?

5. აი, ფილმში ამბობენ:

– ქსოვილს, რომელსაც აქამდე ყურადღებას არ აქცევდნენ, ახლა ძალიან მოსწონთ.

უნდა იყოს:

– ქსოვილი, რომელსაც აქამდე ყურადღებას არ აქცევდნენ, ახლა ძალიან მოსწონთ.

წინადადების თავში რომ არსებითი სახელი გვეძლევა, უნდა შეესაბამებოდეს ბოლოში ნახმარ ზმნას.

6. ასევე:

– კაცი, რომელიც ჩემი გულისთვის ტყვიას გადაუდგა წინ, სადაც გინდა იქ წავყვები.

უნდა ითქმოდეს:

– კაცს, რომელიც ჩემი გულისთვის ტყვიას გადაუდგა წინ, სადაც გინდა იქ წავყვები.

7. ფილმში ერთი მოქმედი პირი ეუბნება მეორეს:

„შენი სახე ისეთი შესწავლილი მაქვს“–ო.

არა! უნდა იყოს:

შენი სახე ისე მაქვს შესწალვილი.

8. ვიღაცეები ცდილობენ მაიმუნი გარდაქმნან ადამიანად.

ამ მცდელობის დროს ამბობენ ამ არსებაზე:

– უკვე არც ადამიანია და არც მაიმუნი.

უნდა იყოს:

– ჯერ არც ადამიანია და აღარც მაიმუნი.

9. ქალი ამბობს:

„ბევრი მსაყვედურობს, რომ შენ რაც გინდა ჩაიცვი, არ გასუქდები“.

ჯერ ერთი, რა შუაშია „საყვედური„? ალბათ შურით ეუბნებიან რაღაცას.

მეორე, ეტყობა ამ ქალმა, რაც უნდა ჩაიცვას, გასუქებული არ გამოჩნდება.

უნდა ამბობდეს:

„ბევრსა შურს, რაც გინდა ჩაიცვი, გასუქებული არ გამოჩნდებიო“.

10. კვლავ საეკრანო მეტყველების ცუდი ნიმუში:

„კარზე ქვემეხის ბომბებივით აკაკუნებდნენ“.

ჯერ ერთი ქვემხებს ბომბები კი არა აქვს, არამედ ყუმბარები.

მეორე, „აკაკუნებდნენ“ კი არა, არამედ „აბრახუნებდნენ“.

თუ ვამბობთ „აკაკუნებდნენ“–ო ძალიან სუსტი ბგერა იგულისხმება.

11. „მოვუხადოთ მადლობა“ კი არა, არამედ „გადავუხადოთ მადლობა“.

ქართველები ვამბობთ ასე: „გადავუხადოთ მადლობა“ და „მოვუხადოთ ბოდიში“.

12. ფილმში ამბობენ ასე:

„ჩვენი მოკვლა უნდათ!“

უნდა იყოს: „ჩვენი დახოცვა უნდათ“.

13. ფილმის ტიტრებში წერია:

„განსაკუთრებული მადლობა რესტორანი „ჯუზეპე“.

რაიმე აზრი რომ მიეცეს ამ ტიტრებს, უნდა ეწეროს:

„განსაკუთრებული მადლობა რესტორან „ჯუზეპე“–ს.

14. გადაცემაში კაცი ამბობს:

– სრული ინტეგრაცია ჩვენი თანამშრომლობის.

უნდა ამბობდეს:

– ჩვენი თანამშრომლობის სრული ინტეგრაცია.

ასეთივე შეცდომასთან გვაქვს საქმე აქ:

– მიზანი არის პროექტის.

უნდა იყოს:

ან პროექტის მიზანია, ან მიზანი არის პროექტისა.

ვიღაცა ამბობს:

„შესისხლხორცება ამ პრინციპების“.

უნდა იყოს:

„ამ პრინციპების შესისხლხორცება“.

უკიდურეს შემთხვევაში:

„შესისხლხორცება ამ პრინციპების–ა“.

15. უნდა გვახსოვდეს, რომ ქართულ ზმნაში იგულისხმება მიმართულება.

აი, სცენაზე დგას ქალი და ამბობს:

– მე ამ სცენაზე შარშან ავედი პირველად.

შეცდომაა.

თუ ამბობს „ამ სცენაზე“–ო უნდა თქვას „ამ სცენაზე შარშან ამოვედი პირველად“–ო.

ამბობენ „შევუშვებთ ამ სცენაზე“.

უნდა თქვან:

„შემოვუშვებთ ამ სცენაზე“.

აი, კაცი შემოდის მეზობლის ეზოში და ეუბნება მეზობელს:

„ჩემს შვილს თქვენს ეზოში ფრისბი გადაუვარდა“.

კი არა, არამედ „ფრისბი გადმოუვარდა“.

კაცი თბილისში ზის კამერის წინ და ამბობს:

– მე წავედი თბილისში.

რადგან თბილისშია, უნდა თქვას:

„მე წამოვედი თბილისში“.

საპირისპირო მაგალითი:

იქვე ამბობს: „ჩამოვედი მოსკოვში“.

აქ კი უნდა ეთქვა: „ჩავედი მოსკოვში“–ო.

16. ერთ ფილმში ამბობენ:

„დღესაც არ უპოვიათ ის მანიაკი“.

„არ“ კი არა, არამედ „ვერ“. „დღესაც ვერ უპოვიათ“.

„არ“ უნდა ვთქვათ, თუ განგებ არა პოულობენ.

ასეთივე შეცდომაა ამ ნათქვამში:

„ამაში“ ვერაფერ უჩვეულოს არა ვხედავ“.

უნდა იყოს:

„ამაში ვერაფერ უჩვეულოს ვერა ვხედავ“.

17. ქალიშვილი ზის გაჩერებულ მოტოროლერზე, ხელებს საჭისკენ იწვდის და ეკითხება ვიღაცას:

– ხელები აქ დავდო?

უნდა თქვას „დავდო“ კი არა, არამედ „დავაწყო“.

18. ხშირია ასეთი შეცდომები:

„არტყავდი“, „იზავენ“, „წელზე ფეხს ვიდგავდი“.

ამ სიტყვებით ყველგან „ვ“–ს ნაცვლად უნდა იყოს „მ„:

„არტყამდი“, „იზამდი“, „წელზე ფეხს ვიდგამდი“.

ამ შეცდომისგან თავი რომ დავიზღვიოთ, ამისთვის ზმნა უნდა ჩავსვათ საწყის ფორმაში.

მაგალითად:

თუ გვგონია, რომ საჭიროა ვთქვათ „არტყავდი“, დავწეროთ ამ ზმნის საწყისი ფორმა. ცხადია, რომ დავწერთ, „დარტყმა“–ს და არა „დარტყვა“–ს.

19. „ჩაჯექით მანქანაში“ კი არა, არამედ „ჩასხედით მანქანაში“.

„ცხენებზე დასხედით“ კი არა, არამედ „ცხენებზე შესხედით“.

20. ვიღაცა ამბობს თავის თავზე:

„სანამ ამ დღეში ჩავარდებოდით“.

აქ საჭიროა ორი „ვ“.

„სანამ ამ დღეში ჩავვარდებოდით“.

21. აი მთლად საოცარი მაგალითი:

კადრში ჩანს წერაქვი, ფილმის გმირებს კი ეს ნივთი ნიჩაბი ჰგონიათ.

22. აი, კადრში ჩანს კომოდი. ავტორებმა, ეტყობა არ იციან, რომ ამ ავეჯს ასე ჰქვია – „კომოდი“ და გვეუბნებიან „უჯრებიანი სათავსი“–ო.

23. ლაპარაკობენ მხატვრობაზე და ერთი იტყვის, რომ „კორეჯმა“ რაღაც ჩაიდინა.

უნდა იყოს „კორეჯომ“.

24. ქართულ ენაში მკაცრადაა განსაზღვრული, თუ როგორ უნდა გადმოვცეთ სხვისი ნათქვამი. აი, ქართულ ტელევიზიაში ჰყვებიან რომელიღაც კინოფესტივალის ამბებს. იქ გამოჩე-

გაგრძელება გვ. 12

ოიკოფობია, როგორც თანამედროვე ქართული ლიბერალიზმის არსებითი ნიშანი

(წერილის ახალი, გადამუშავებული ვერსია)

„ოიკოფობია“ ქსენოფობიის საწინააღმდეგო ცნებაა და ეროვნული მემკვიდრეობისაგან, შინაურობისაგან განდგომას ნიშნავს. ფილოსოფიურ წრეებში ეს სიტყვა ბრიტანელმა ფილოსოფოსმა როჯერ ვერნონ სკრუტონმა დაამკვიდრა, ჩვენს სინამდვილეში კი ეს ტერმინი პაატა ჩხეიძემ შემოიტანა (იხ. ჟურნ „ჩვენი მწერლობა“ 2013, № 5).

ეროვნულ ნიჰილიზმს ჯერ კიდევ ივანე ჯაბადარი ქადაგებდა მეცხრამეტე საუკუნეში; განსაკუთრებული წვლილი ამ საქმეში ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა შეიტანეს.აღნიშნული თვალსაზრისით საქრესტომათიო ნიმუშია ნ. მიწიშვილის „ფიქრები საქართველოზე“. ეროვნული ნიჰილიზმის განსაკუთრებული გაფურჩქვნა კი XX საუკუნის 90-იანი წლებიდან იწყება და დღემდე გრძელდება. როგორც პ. ჩხეიძე აღნიშნავს, ოიკოფობია „პატრიოტული გრძნობების აღორძინებას... აადევნეს საქართველოს ახდილმა თუ ფარულმა მტრებმა, რამაც სწრაფად გაიდგა ფესვი ჩვენს სნობებში და თავისი როლი შეასრულა დიდ ეროვნულ ტრაგიკომედიაში“.

XX საუკუნის მიწურულს ეროვნული ნიჰილიზმის გაღვივებას რამოდენიმე ფაქტორმა შეუწყო ხელი; ერთი მხრივ, ეს იყო შედეგი მტრების მიზანმიმართული პოლიტიკისა, ხოლო მეორე მხრივ კი, – რეზულტატი იმ უკიდურესი სულიერი და მატერიალური კრიზისისა, რაც 90-იან წლებში სუფევდა. ოიკოფობიის გავრცელება დიდწილად განაპირობა ძმათმკვლელმა ომმა, ეკონომიკურმა სიდუხჭირემ, კრიმინალმა და ზოგადად იმ ფაქტმა, რომ ქართველებმა სახელმწიფო ვერ შევქმენით. ასეთ ვითარებაში მრავალს დაეუფლა ნიჰილისტური განწყობა. ზოგიერთს კი ამ მდგომარეობამდე მისვლაში უცხოური გრანტებიც წაეხმარა. ისტორიის გარკვეულ მონაკვეთში ასეთი გრძნობის გაჩენა სრულიად ბუნებრივია, მაგრამ ყოვლად გაუგებარია, როგორ შეიძლება აქციოს ადამიანმა ეროვნული ნიჰილიზმის ქადაგება თავისი ცხოვრების მთავარ შინაარსად.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რამაც ოიკოფობიური განწყობილებების გაღვივებაში წარმმართველი როლი შეასრულა, მახინჯი პატრიოტიზმი გახლავთ. საბჭოთა ეპოქაში ჩამოყალიბდა ფსევდო-პატრიოტის ტიპი, რომელსაც დღესაც ხშირად შეხვდებით. ასეთი „პატრიოტი“ საშუალო ინტელექტუალური მონაცემების მქონეა, შეიძლება სამეცნიერო ინსტიტუტებშიც უმოღვაწია და წიგნებიც აქვს გამოცემული. იგი სამშობლოს ძირითადად სუფრაზე ეალერსება, ნადიმიდან კი ისეთი განწყობით ბრუნდება, როგორც ვალმოხდილი მეომარი– ბრძოლის ველიდან. „პატრიოტი“ ვნებიანად უცქერს სხვის ცოლებს, ყანწით სვამს პატრიარქის სადღეგრძელოს და მხურვალე პატრიოტიზმს „ლიბერასტებისათვის“ დედის გინებით ამტკიცებს.

ასეთი „პატრიოტების“ კიდევ ერთი ძალზე სიმპტომური, თითქმის პათოლოგიურობამდე მისული თავისებურება ისაა, რომ ქართველ „პატრიოტს“ თავი სამყაროს ცენტრად წარმოუდგენია. მისგან იწყება ეროვნული მოძრაობა და ისიც არასოდეს თაკილობს საკუთარ მიღწევებზე საუბარს. იგი ცხელ ტყვიასაც არ დაიშურებს მისთვის, ვინც მის უდიდეს მამულიშვილურ დამსახურებას ეჭვის თვალით შეხედავს. ერთი სიტყვით, ქართველი „პატრიოტი“ და თავმდაბლობა ერთმანეთს არ იცნობენ.

ასეთი „პატრიოტები“ ხშირად ეტმასნებოდნენ ნამდვილ მამულიშვილებს, რამაც ზოგიერთებში პატრიოტიზმისადმი სკეპტიკური დამოკიდებულების გაჩენა გამოიწვია.

საბჭოთა ეპოქაში პატრიოტიზმის ასეთი გადაგვარება ძირითადად იმან განაპირობა, რომ ერთმანეთისაგან გაითიშა ეროვნული და რელიგიური გრძნობები. ცხადია, თუ მორალს სარწმუნოებრივი საფუძველი არ გააჩნია, იგი უბრალო ეტიკეტად იქცევა. ქართველი „პატრიოტიც“ უზნეო ცხოვრების წესს მისდევს. ზნეობრივი ქცევის თვალსაზრისით, „პატრიოტსა“ და ლიბერალს შორის არ არის განსხვავება. სხვაობა მხოლოდ იმაშია, რომ პატრიოტი მალავს თავის უზნეო ცხოვრებას, ლიბერალი კი უკომპლექსოა და სახალხოდ აფრიალებს თავის საცვლებს.

ფაქტი კი ერთია: ოიკოფობიურმა განწყობილებამ ყველაზე დიდი გასაქანი თანამედროვე ქართულ ლიბერალიზმში ჰპოვა და, როგორც ადრეც არაერთგზის აღნიშნულა, ეროვნული ნიჰილიზმი ქართული ლიბერალიზმის უმთავრეს იდეოლოგიურ ქვაკუთხედად იქცა.

თანამედროვე ლიბერალებს ზოგიერთი „ლიბერტარიანელებად“ მოიხსენიებს. ეს, ალბათ, არ არის სწორი. ლიბერტარიანიზმი ანარქიზმს ენათესავება და სახელმწიფოს როლისა და ფუნქციის მაქსიმალურ შეზღუდვას მოითხოვს, თანამედროვე ქართველ ლიბერალს კი პირიქით, სახელმწიფო ერთგულ მოკავშირედ მიაჩნია სოდომიის გავრცელების საქმეში. იგი მიესალმება სახელმწიფოს ნებისმიერ ქმედებას, რომელიც ტრადიციული ცნობიერებისა და ეკლესიის წინააღმდეგ იქნება მიმართული. ამიტომაც თანამედროვე ქართული ლიბერალიზმი, ალბათ, უფრო ნეოლიბერალიზმის ერთ-ერთი გადაგონჯებული სახეობაა. მას „ლიბერასტიზმსაც“ უწოდებენ. შეიძლება ეს ტერმინი ყურში უხეშად გვხვდება, მაგრამ იგი კარგად ასახავს ამ იდეოლოგიის შინაგან ფიზიონომიას.

ბატონი პაატა თავის ესეში „არქიოიკოფობად“ ედუარდ შევარდნაძეს მოიხსენიებს, მაგრამ ამ წოდებას მარტო ბატონ ედუარდს ვერ დავუსაკუთრებთ. აღნიშნული ტიტულის გაყოფა შევარდნაძეს მერაბ მამარდაშვილთან მოუწევს.

ეს განცხადება უდავოდ მრავალი ახალგაზრდა თუ მხცოვანი „მამარდისტის“ აღშფოთებას გამოიწვევს, მაგრამ სათქმელი მაინც უნდა ითქვას, რადგან ჭეშმარიტება მამარდაშვილზე მაღლა დგას. აქვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენი მიზანი არ არის მამარდაშვილის მიღწევათა შეფასება ან დისკრედიტირება თეორიულ ფილოსოფიასა თუ ეპისტემოლოგიაში, არამედ მისი როლის განსაზღვრა ეროვნული ნიჰილიზმის გავრცელების პროცესში მოინტელექტუალო ადამიანებს შორის.

დოსტოევსკი წერდა გოგოლის შესახებ: ჩვენ, ყველანი გოგოლის „შინელიდან“ გამოვედითო. მსგავსადვე ჩვენი ნეოლიბერალებიც ყველანი მამარდაშვილის შინელიდან არიან გამოსულნი. იშვიათია მოინტელექტუალო ლიბერალი, რომელსაც სახოტბო სტატია ან გამოკვლევა არ ჰქონდეს მიძღვნილი მამარდაშვილისათვის, როგორც სულიერი მოძღვრისათვის. ეს ადამიანები ხშირად დასცინიან მორწმუნეებს, რომ ისინი კრიტიკულად არ უდგებიან ეკლესიის სწავლებას და ბრმად ენდობიან მას. მაგრამ არ იფიქროთ, თითქოს, ნეოლიბერალები ურწმუნონი იყვნენ! მათთან რელიგიური ავტორიტეტის ადგილს მამარდაშვილი იკავებს. მამარდაშვილის კრიტიკა არ შეიძლება! მისით მხოლოდ აღფრთოვანებაა ნებადართული.

მამარდაშვილი ფილოსოფოსად საქართველოში არ ჩამოყალიბებულა. სამწუხაროდ იგი ადრევე დაშორდა ეროვნულ კულტურას და სწორედ ამაში იყო მისი ტრაგედიაც.„ შეიძლება ბევრი არ დამეთანხმოს, მაგრამ პირადად მე, რამდენადაც თავს ყოველთვის ქართველად ვგრძნობდი, იმდენადვე ვგრძნობდი თავს არქაულად და უადგილოდ თანამედროვე სამყაროში“* – ბრძანებდა მამარდაშვილი. ეს სიტყვები ის ქვაკუთხედია, რომელიც შემდეგ საფუძვლად დაედება ქართულ ნეოლიბერალიზმს, რომლის მიხედვითაც, ქართველთა უმთავრესი ამოცანა უნდა იყოს დასავლურ ყაიდაზე გარდაქმნა-გადაკეთება.

მამარდაშვილმავე ისროლა „სოფისტური ავანტიურა“, რომ „ჭეშმარიტება სამშობლოზე მაღლა დგას!“ ითქვა ეს სიტყვები ისეთი პათოსით, „გეგონება ერთ მხარეს თავისუფალი სამშობლო გვედო, მეორე მხარეს – ბოლო ინსტანციის ჭეშმარიტება და რატომღაც ერთ-ერთი მათგანი უნდა აგვერჩია და იყო საშიშროება, რომ დაუფიქრებლად სამშობლოს ამოვირჩევდით“ (დ. წერედიანი). მოინტელექტუალო სნობებმა კი ერთხმად აიტაცეს ეს სიტყვები და

ლევან ბაურიშვილი

საკუთარ დროშაზე წააწერეს ისე, რომ არც ჭეშმარიტება იცოდნენ სად იყო და არც სამშობლოს ცნებაზე ჰქონდათ ცხადი წარმოდგენა.

ცამდე მართალია თანამედროვეობის გამორჩეული ქართველი ფილოსოფოსი ზურაბ ხასაია, როცა წერს, რომ მამარდაშვილს, ერთი მხრივ, აღაშფოთებდა ტერმინი „თურქი მესხი“ („ქართველს შეუძლია არ დაინახოს მესხის ტანჯვა და დაარქვას მას „თურქი მესხი“), მაგრამ მეორე მხრივ, უსაზარლესი ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“ მას სრულიადაც არ ანაღვლებდა.

მამარდაშვილი მიიჩნევდა, რომ მართლმადიდებლურმა ქრისტიანობამ ჩვენში აზროვნების განვითარებას ძლიერ შეუშალა ხელი, რომ „რუსულმა აზროვნებამაც და მართლმადიდებელმა ქრისტიანობამაც ჩვენ უფსკრულში გადაგვჩეხა“.† ეს სიტყვები რომ მტკნარი სიცრუეა, ჩვენმა ახალმა ლიბერალებმაც შესანიშნავად იციან, მაგრამ ურჩევნიათ თავი არ აიტკიონ და სრულად დაეთანხმონ მამარდაშვილს. არადა, თუ რამე შექმნილა ჩვენს კულტურაში ეროვნული და საკაცობრიო მნიშვნელობის, ეს ან „საძაგელი კომუნისტების“ დროს მომხდარა, ანდა იმ ეპოქაში, როდესაც მართლმადიდებლობა უმჭიდროესად იყო დაკავშირებული ეროვნულ ცნობიერებასთან.

დღეს სეკულარულ სახელმწიფოში ვცხოვრობთ. მართლმადიდებლური ეკლესია ვეღარ ახერხებს ჩაახშოს თავისი მარწუხებით ნეოლიბერალთა „თავისუფალი აზროვნება“, რომელიც უკვე თუხთუხებს და გადმოდის. მამარდაშვილის ლოგიკით, სწორედ ახლა უნდა გვქონდა დიდი მიღწევები აზროვნებასა და ხელოვნებაში. რა შედეგები მივიღეთ? მწერლობაში – ზაზა ბურჭულაძე, ფილოსოფიაში – გიგა ზედანია, თეოლოგიაში – ნოდარ ლადარია. არ გვგონია, ეს მაინცდამაინც დიდი მიღწევა იყოს. ქართულ კულტურაში მკვდარი უნაყოფობის ხანამ დაისადგურა.

სწორედ ხაზგასმული მართლმადიდებლური მრწამსის გამო აღიზიანებდა მამარდაშვილს დოსტოევსკი. მის ღირსებად მხოლოდ წერის მანერას მიიჩნევდა, სხვა მხრივ კი თვლიდა, რომ „მსჯელობის დონეზე ის უბრალოდ სულელია“.‡

ერთი სიტყვით, ნებსით თუ უნებლიედ მამარდაშვილი ქართველი მოინტელექტუალო ნიჰილისტების კერპად იქცა. შნორედ მამარდაშვილის დროიდან იკრებს ძალას ეროვნულ ნიჰილიზმზე დამყნობილი ლიბერალიზმი, რომლის ძირითადი იდეები შემდეგია:

ქართველები, შუასაუკუნეობრივი, საძაგელი მენტალიტეტის მქონე ხალხი ვართ, ამიტომაც ჩვენი მთავარი მიზანი უნდა იყოს გარდავიქმნათ დასავლურ ყაიდაზე. როცა ეროვნულ კულტურაზე ჩამოვარდება საუბარი, ლიბერალს იმწამსვე ირონიული ღიმილი გადაურბენს სახეზე.

ჩვენი ქვეყნის განვითარებას აფერხებს მართლმადიდებლური ეკლესია, ამიტომაც იგი უნდა გარდაიქმნას პროტესტანტულ თარგზე (ყოველმხრივ მისასალმებელია თუ იგი გაწყვეტს ევქარისტულ კავშირს რუსეთის ეკლესიასთან).

ლიბერალები მიესალმებიან განათლების სისტემის რეფორმას, რომლის მიხედვითაც საგანმანათლებლო დაწესებულებათა ამოცანაა მხოლოდ ინფორმაციის, ცოდნის მიწოდება და არამც და არამც სულიერი, ზნეობრივი აღზრდა და ისეთი „შუასაუკუნეობრივი იდეების“ პროპაგანდა, როგორიცაა პატრიოტიზმი და რელიგიური ცხოვრება.

ნეოლიბერალები მხარს უჭერენ სრულ სქესობრივ აღვირახსნილობას (ქორწინებამდელი სქესობრივი ურთიერთობები, მამათმავლობა, დედათმავლობა) და სოდომიას მიიჩნევენ სქესობრივი ცხოვრების ბუნებრივ ფორმად.

დაბოლოს, ნეოლიბერალები მხურვალედ მიესალმებიან ჩამოთვლილი იდეოლოგიური კონცეპტების ასახვასა და პროპაგანდას მასმედიის, ლიტერატურისა და ხელოვნების საშუალებით.

ერთი სიტყვით, ნეოლიბერალების მიხედვით, ქართველთა წარუმატებლობის სათავე მათ ქართველობაში მდგომარეობს. ქართველები უბედურები იმიტომ არიან, რომ ქართველები არიან! ქართული ტრადიციები, ქართული სუფრა, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია გველობება დემოკრატიისა და მატერიალური კეთილდღეობისაკენ მიმავალ გზაზე. ნეოლიბერალების მიერ მდგომარეობა ისეა წარმოდგენილი, რომ თითქოს ჩვენი ყოფის ყველა ნაკლი, ყველა სიმახინჯე, ყოველი უარყოფითი თვისება თვით ჩვენი ეროვნული ბუნებიდან მომდინარეობს. სწორედ ეს უარყოფითი თვისებები წარმოადგენენ კიდეც ქართველობის არსს, მის ნამდვილ სახეს. ამიტომაც ქართველი არსობრივად უნდა გარდაიქმნას, უნდა გადაკეთდეს.

---

* კრ. მერაბ მამარდაშვილი, თბ., 2007, გვ. 84.

† მ. მამარდაშვილი, ცნობიერების ტოპოლოგია, თბ., 2011, გვ. 190.

‡ კრ. მერაბ მამარდაშვილი, თბ., 2007, გვ. 77.

გაგრძელება გვ. 9

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი გ ვ ე რ დ ი

ლეკვების ნასოფლარი

გოლურძი ჩოხელი

ნასოფლარი ბევრი მინახავს, განსაკუთრებით მთაში. დავმჯდარვარ რომელიმე სახლის ჩამოტეხილ თავიხეზე და სიჩუმისათვის მომისმენია.

თითქოს მღერის მიტოვებული სახლი. არ ემღერება, მაგრამ გულში მაინცა მღერის. ეს სიმღერა სიმარტოვის სიმღერაა, ანდა მოლოდინის. ჰო, ჰო, უფრო, მოლოდინის. მიტოვებული სახლი ხომ ქმრისგან მიტოვებულ ქალსა ჰგავს, ჩამოღამებულ, ხელ-მხარჩამოყრილ დარდიან ქალს, რომ არ ეკადრებოდა და მაინც მიატოვეს. უკაცობით ჩამოტყდა გულთაბოძი. როგორც სახლის გულთაბოძი ტყდება ხოლმე, ისე მიტოვებული ქალის გულთაბოძი ტყდება უკაცობით, მაგრამ გულის-გულში მიტოვებული სახლის გულის-გულიც მღერის მოლოდინის სიმღერას და მიტოვებული ქალისაც.

სიჩუმეზე უფრო ჩუმია და იმედზე უფრო იმედიანი, მოლოდინის სიმღერა. მოგისმენიათ?

თუ არა, ნახეთ ნასახლარებად ქცეული საქართველო და თქვენ გაიგონებთ ამ სიმღერას.

სამაგალითოდ, თუნდაც ხევსურეთი ან გუდამაყარი კმარა.

ეს ორი კუთხეა ძველთაძველი საქართველოსი, სადაც წარსული და აწმყო, ლეგენდა და სინამდვილე ისეა ერთმანეთში ჩაგრეხილ-გადაჭდობილი, როგორც საკიდლის ჯაჭვი.

აკი, იმიტომაც ჰკიდებდნენ თავიხეზე, კერიის თავზე ამ ჩაგრეხილ ჯაჭვს, რომ სწორედ წარსულისა და აწმყოს, ღვთიურისა და ადამიანურის ურთიერთობა იგულისხმებოდა და თითქოს სამყაროს ჭერის მარადიულ თავიხეზე ეკიდა ეს ჯაჭვი, თანაც სამყაროს ცენტრის და ურღვეველობის მიმნიშნებელ კერიაზე იყო ჩამოშვერილი.

როცა ქორწილი იყო, მოვიდოდა ნეფიონი, ეჯიბი და მისი მაყრები წესის მიხედვით შელაგდებოდნენ დარბაზში, ნეფე-დედოფალთან ერთად კერიის გარშემო ტრიალებდნენ სიმღერით.

– მარჯვნით მხარესაო და
მარჯვნივ მხარესააა,
შენ დასწერ ჯვარსაო და
შენ დასწერ ჯვარსაააა
ამ ჩვენს ნეფესაო და
ჩვენს დედოფალსაა!

მღერიან, ამით ღმერთს შესთხოვენ და თავიხე¬ზეჩამო¬კიდებულ საკიდელს ხანჯლებს ურტყამენ, ცეცხლს აყრევი¬ნებენ. ამით იმას მიანიშნებენ, რომ მარადიულობას – თავიხეს, საკიდელს – კერას, დღეს კიდევ ერთი ლამაზი ნეფიონი შესძინეს და ხანჯლის ცემით უფრო მაგრდება საკიდელი, ეს მადლიანი სვეტი ჭერსა და ფუძეს შორის.

ეს მაშინ ხდებოდა, როცა მთიულეთ-გუდამაყარსა და ფშავ-ხევსურეთში ჯერ კიდევ არ იყო ნასახლარები და ნეფიონიც ყოველ შაბათ-კვირას ადიოდ-ჩადიოდა ვიწრო ბილიკებზე. არაგვის ღორღიან ჭალებზე ცხენები მიაგრიალებდნენ ნალებს. დაქანებულ ფერდობზე ჩაქანებულ თეთრონს ხევსური სიმღერით აგულადებდა:

– ცხენო გეტყობა გეშინის,
გულს მე ჩაგიდებ მაგარსა,
ჩაგყუდებ ბექ-ბუქიანებს,
დაგატევინებ ნაღარსა!

და თეთრონიც ორბივით მიფრინავდა ციცაბო ფერდობზე. ეგ იყო თუნდაც მედოღე, თუნდაც ნეფიონთ მახარებელი. და ქორწილი იყო სამდღიანი. მთებიც ლხინობდნენ მექორწილეთა ლხინით! და ერთხელაც,

მახარობელი მოიჭრა სოფელში.

– ჩააქრეთ სანთლები! ჩააქრეთ სანთლები! – იძახდა ის შემცბარ ხმაზე.

ყველა მიხვდა რაც მოხდა: როგორც ჩანს, მაყრიონს დევები დახვდნენ და აქაური წესის მიხედვით, თუ ღამით დევს გადაეყრები, სახლში მისულმა სინათლე უნდა ჩააქრობინო.

გუდამაყრის ხეობაზე დღესაც არის დევების ნასოფლარი, სადაც მათი საფლავებიცაა და თუ შიგნით ჩაიხედავ უზარმაზარ ძვლებს დაინახავ. იქვე, გზის პირას აწყვია დიდი ჯამები, რომელთაც დევის პინებს ეძახიან. გზა პირდაპირ ამ ნასოფლარზე გადის და თუ ვინმე ღამით გაივლიდა, აუცილებლად ჯვარ-ხატებს შეავედრებდა თავს, რომ დევი არ ასდევნებოდა. დევები ეჭიდებოდნენ ძლიერებს და დახრჩობას უპირებდნენ, მაგრამ ვისაც კი ისინი ნანახი ჰყავს, ყველა იძახის, რომ დევს ცერა თითი არა აქვს და ამიტომ გაუჭირდა მათი მორევა და დახრჩობა. ზოგს თავის ახლობლის სახითაც კი ეჩვენებიან, რომ ადვილად აცდუნონ. ფეხის ტერფები დევებს უკუღმა ჰქონიათ, ქუსლები წინ, თითები ზურგის მხარეს და, რაღა თქმა უნდა, არც ფეხის ტერფებზე აქვთ ცერა თითი. როცა დევი შემოეყრებოდა გუდამაყრელს, ეს ლოცვა უნდა ეთქვა:

წინდა მეცვა ხეშისაო,
ქალამანი მეშისაო,
წმინდა გიორგიმ დასწყველოს
ეშმაკების ფეხისაო.

მაგრამ დევი სხვაა და ეშმაკი სხვაა. დევი არ არის ეშმაკივით ბოროტი. იგი დიდია, ბალნიანი და გაქრობა შეუძლია, როგორც ეშმაკს, ამიტომ ერეოდათ გუდამაყრელებს დევები და ეშმაკები ერთიმეორეში. ზოგი დევი ისეთი კეთილიც კი იყო, რომელიმე ოჯახს მიეჩვეოდა და ხვნა-თესვაში ეხმარებოდა. სახლის კუთხეში საჭმლიან ჯამს დაუდგამდნენ და ამოჭამდა. მაგრამ, როცა ღამეა და ეშმაკიც დასუნსულებს, ალიც და ქაჯიც, წადი და გაიგე, რატომ შემოგეყარა გზაზე დევი.

ერიდებიან გუდამაყრელები ღამით სიარულს, მაგრამ მექორწილეებს ხშირად უღამდებათ და იმ ღამესაც ღამით მოადგნენ დევების ნასოფლარს. უცებ დაინახეს, რომ ნასოფლარში სუფრებია გაშლილი, დევებს თავისი ნეფე-დედოფალი ჯარაზე უზით და ცეცხლზე შემოდგმული საარყე ქვაბებს ოხშივარი ასდით.

– ოო, ნეფიონი მოდის, ნეფიონი! – დაიძახა დევების მბრძანებელმა და თავისთან მიიხმო ჩვენი მექორწილენი.

– ხმა არ გასცეთ და არც შეხედოთ, არც მაგათი მოწვდილი სასმელი დალიოთ, მე გამომყევით! – უბრძანა მექორწილეებს ეჯიბმა, დედოფალს მარცხენა ხელი ჩასჭიდა და მარჯვენათი ხანჯალი ჩაბღუჯა.

– მოდით! მოდით!

– დასხედით, დაგვილიეთ!

– ჩვენც თქვენსავით ქორწილი გვაქვს.

– მერე ჩვენც თქვენთან წამოვალთ.

– დაგვილიეთ! – აწვდიან თასებს ფეხზე წამოშლილი დევები.

ესენი ჩუმად მიდიან. უცებ დევების ნეფე წამოხტა, ნეფე-დედოფალს წინ გადაუდგა და პატარძლის სილამაზემ ალმური მოუკიდა სახეზე.

– მოდი, პატარძლები გავცვალოთ, – თქვა დევმა და ხელი წაავლო დედოფალს.

მეფის ეჯიბმა, რომელსაც მარცხენათი პატარძლის მკლავი ეჭირა, მარჯვენათი კი ხანჯლის ტარი, ხელუკუღმა მოუქნია ხანჯალი და პატარძალზე წავლებული ხელი წააჭრა დევს. საზარლად დაიღრიალეს დევებმა.

– გვიშველე, დიდო იაღსარო! – დაიძახა ამ დროს ვიღაცამ მაყრიონიდან და როგორც ცის ელვა, ისე რამ გაკრთა იმ ადგილას.

დამფრთხალი დევები უშველებელ წიფლის ტყეში მიმოიფანტნენ. ჩვენმა მაყრიონმა ცხენები გამოაჭენა და ის კაცი გამოუშვეს, სოფელს რომ აფრთხილებდა, სანთლები ჩააქრეთო. ჩააქრეს სანთლები. ცეცხლიც კი ჩააქრეს კერაზე. რატომ, არ ვიცი, მჯერა, რომ დევები არსებობდნენ, ის ღამეც ჩემი თვალით ვიხილე, მაგრამ სინათლე და დევი რა შუაშია, დღემდე ვერ მივმხვდარვარ.

სიბნელეში შელაგდა ნეფიონი ნეფის დარბაზში. ხმას არ იღებდნენ. სიმღერასაც ვეღარ ბედავდნენ. ბოლოს ხევისბერმა ბრძანა:

– ხალხნო, მოიტათ სანთლები!
მიართვეს სანთლები და აანთო.

– აანთეთ კერა!
ცეცხლი აანთეს კერაზე.

– მაღლა ღმერთს, დაბლა დედამიწას, ქვეყანაზე სამართალს, ოჯახში კერას, ჭერსა და კერას შორის საკიდელს, ამ ჩვენ ნეფე-დედოფალს, იმათ ხელის მომკიდეს და თქვენ სუყველას, ჩემი ხმის გამგონეთ, გაგიმარჯოთ.

– ნეფე-დედოფალს გაუმარჯოს!

– ამინ! ამინ! ამინ!

– ეჯიბო, შენს მეფეს გაუმარჯოს!

– ამინ, გაუმარჯოს! – დაიძახეს, იშიშვლეს ხანჯლები და სიმღერით დატრიალდნენ კერის გარშემო.

ტრიალებდნენ, მღეროდნენ სანეფო სიმღერას და საკიდელზე აბრჯღვიალებდნენ ხანჯლებს.

დედოფალი ჰგავდა გველეშაპის ხახიდან გამოხსნილ მთვარეს. ნეფე ჰგავდა ბედნიერებას.

ხოლო დევის ხელის მომჭრელი ეჯიბი იმ ზღაპრულ გმირს ჰგავდა, რომელსაც, სახელად, მარადიული ერთგულება ჰქვია. მაყრიონი კი, ტრიალებდა კერის გარშემო.

ტრიალებდა.

ტრიალებდა.

ტრიალებდა...

და ჩემს წარმოდგენაში დღესაც ისევე ლამაზად ტრიალებს.

დროც ტრიალებს და მიწაც ტრიალებს.

მიწაც ტრიალებს და ჩვენც გვატრიალებს.

ახლა გუდამაყარში ვინმეს რომ ჰკითხო:

– დევი გინახიაო? – სიცილით მოკვდება.

ერთ მოხუცს ჰკითხეს:

– პაპავ, მართლა იყვნენ დევები?

– იყვნენ, მაშ!

– ეშმაკები?

– ეშმაკებიც.

– მერე? მერე სად წავიდნენ თუ იყვნენ?

ყალიონი გამართა, გააბოლა, შემომხედა და მითხრა:

– ახლა შვილო, ხალხი მოექცა დევ-ეშმაკებად და დევ-ეშმაკებს აქ რაღა გააჩერებდა. აგე, როგორ დაიცალა სოფლები. ყველანი ქალაქში გარბიხართ და რა ვიცი, ხო გაგიგონია, უპატრონო ეკლესიასაო... მობრუნდებიან მერე, მა რას იზამენ. ჩემს ჯიელობაში კი მოვჭერი ერთ დევს მარჯვენა, პატარძლის წართმევა რომ დაგვიპირა, ვინღა იზამს მერე ამას? შენც წახვალ, ისიც წავა...

– არ წავალ, არა, აბა დედას უპატრონოდ ხომ არ დავაგდებ. – ჩავილუღლუღე ჩემთვის.

მაინც წამოვედი. ჩემს ქორწილში ჯვარისწინა არ უმღერიათ. საკიდელზე ხანჯლები არ გაუბრჯღვიალებიათ. ერთადერთი, რაც ჩემს წარსულთან მაკავშირებდა ჩემი ქორწილის დღეს და გულს მიხარებდა: სამთავროს ეკლესიაში გვერდით მედგა დედოფალი, რომელიც მართლა მაგონებდა გველეშაპის ხახიდან გამოხსნილ ბადრ მთვარეს.

მერე?

მერე მეყოლა ბიჭი და დედასთან გავიქეცი მთაში.

ვახარე.

გაიხარა.

მეზობლებიც მოვიდნენ და ჟიპიტაურითაც დავილოცეთ.

– მერე?

– რა მერე, საღამო ხანს, შებინდებულზე, დედაჩემი რომ ძროხებს წველიდა, ნასვამი, ფეხშიშველი გამოვეპარე დედას.

შვილი მომენატრა და ღამით ფეხშიშველი დავადექი ოცკილომეტრიან გზას. ნოემბერია. ცივა, თოვს.

აქა-იქ მგლებიც ყმუიან. მთავარია დევი არ შემხვდეს და იყმუვლონ მგლებმა რამდე¬ნიც უნდა.

სიცივე თანდათან მაფხიზლებს და დევებზე ფიქრი უფრო და უფრო მეძალება თავში.

უკან როგორ გავბრუნდე. დევი იმის დევია, გინდა წინ დაგხვდება, გინდა უკან. მივდივარ წინ და ვუახლოვდები დევების ნასოფლარს. უკვე მუხლები მიკანკალებს. სმენა დავძაბე და მესმის:

– გოდერძი! გოდერძი! – უკანიდან მეძახის ვიღაც. არ ვიხედები.

– გოდერძი, შვილო! – დედაჩემის ხმას ჰგავს.

მივიხედე. დედაჩემი მოდის ჩემსკენ. გულზე ჩემი ფეხსაცმელები აქვს მიხუტებული.

– მოიცა, შვილო!

– ვაიმე, ვფიქრობ, აი, დედაჩემის სახით გამომეცხადა დევი და იმით უნდა მომიტყუოს. ხო იძახიან, ხანდახან ახლობლის სახეს ღებულობსო.

გავიქეცი.

– მოიცა, შვილო! – განწირული ხმით იყვირა დედაჩემმა და გამომედევნა. ფეხი ქვას წამოვკარი და წავიქეცი. სანამ წამოვდგებოდი,

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი გ ვ ე რ დ ი

ლუკა ვასაძე

ლექსმტირალეები...

საგზლად–
კურცხალი ცრემლი გავატანე, მაგრამ
მან არ იცოდა, რომ ეს...ჩემგან იყო.

მხლებლად–
ჩემი ფიქრი გავაყოლე, მაგრამ
მან არ იცოდა, რომ ეს... ჩემი ჩრდილი იყო.

ცოცხლად
სამარე გავუმზადე, მაგრამ
მან არ იცოდა, რომ ეს...ჩემი გული იყო.

სამარეზე

ლექსმტირალეები ამოსულან,
მაგრამ
მან არ იცის, რომ
ეს...ჩემი სტრიქონებია.

წამსა წამიერს...

ქარი თუ იყო - ფრთადაღალული...
სულს ნაპირები ჰქონდა მდინარის,
მგზავრი თუ იყო - გზადაკარგული...
ასე უცნობი და უჩინარი.
კვარი თუ იყო - ვარსკვლავთა კვალი...
ნათელი თოვდა იანვრის ციდან,
მაგრამ სიზმართა ბურით და კვამლით -
დრო მოდიოდა, უკვალოდ შლიდა...

შლიდა არმყოვარს, წამსა წამიერს,
შლიდა ამ ხილვას დროც სიმძიმილით,
და - თოვლიანი იანვრის ღამე თოვლს
დასტიროდა ჩემს წერილივით...

Ella Ellen-ლაილაზე

მითხარ ახლა, როგორ განუგეშო,
დაილია ხატი შვიდი მთვარის,
ოი, სულის ლექსო-ანაკვნესო, ირგვლივ ახლა...
აღარავინ არის.

ცამ ძვირფასი მოგიქარგა ღამე,
ცას ლამაზი ცთომილოვით სდევდი.
გაჰყოლია მზე დასავლის ქარებს, დროს კი..
ჩუმი სიმღერები შენი.

შილეშადა

(სვანური ვარიაციები)

შილეშადა გერეგილას ცხარიოდა სციოდაო,
რა სციოდა?
თეთრი ღამე სციოდა.სტკიოდაო,

შილეშადა გერეგილას ცხარიოდა,
სტკიოდაო.
რა სტკიოდა?
სიხარული სტკიოდაო.შიოდაო.

შილეშადა გერეგილას ცხარიოდა. შიოდაო.
რა შიოდა?
ცხელი ტყვია შიოდაო.სდიოდაო.

შილეშადა გერეგილას ცხარიოდა,სდიოდაო.
რა სდიოდა?
სისხლის ღვარი სდიოდაო.სტკიოდაო.

შილეშადა გერეგილას ცხარიოდა.სტკიოდაო.
რა სტკიოდა?
ერთი სიტყვა სტკიოდაო.
სტკიოდაო.

ბოლოს გიკითხე-პირველმა

შავღამეთს კარი შევხსენი,
შუქი შევწირე–მწირველმა,
ბოლო ხატებიც მოვხატე, ბოლოს
გიკითხე–პირველმა.
სიტყვა-ბილინგვა ამოვხსენ,
ნერგი-ნამყენი ძირძველა,
სიზმრისა ციხეც ავაგე,
მზეს რომ შეჰფერის-იმ ფერად,
ჩრდილიდან ამოვიყვანე ჩრდილის
ყვავილი მზისფერა.
დარდი ავკიდე ტვირთადა,
ცას რომ მიწვდება–იმხელა,

დუმილის კლიტე დავადე–ბაგემდუმრია მიკვდება,
ჩაბალხეთს ვეღარ ჩააღწევს–სხვა
ქარებს გაეკიდება,
დილა-ალიონს ღაწვებზე ცრემლივით დაეკიდება,
მწუხრიჟამს მწუხრის ფერადებს
ცეცხლივით წაეკიდება.

ჩემს თავს სხვა რაღა დავმართო– მძინავს
და სიზმრებს ვაღვიძებ.
ვეღარ ავმაღლდი... დაღმართზე დღეს
საკუთარ თავს ვაცილებ.
ოჰ,იმდენს მაინც ხომ ვიზამ –
საკუთარ მტერს გავაცინებ.

თუ მაღალია ეს ციხე,დასანგრევია... ინგრევა.
თუ ღამეა და ღამეში სანთელია და... მიქრება.

...დავჯექ– ლექსები დავლამბე,
ერთიც არ მიღირს იმ ცრემლად,
გამწყრალ ცის ფერად დავქარგე –
შენ რომ გხიბლავდა, იმ ფერად.
თითს ვინ გამოჰკრავს ჩახმახზე –
გულის ფიცარი ინგრევა,
ბოლო კარებიც ჩავრაზე -
ბოლოს დაგტოვე პირველმა.

სახსოვრად დამრჩეს ნახატი იმ გაზაფხულის–
კრულისო,
შავღრუბლით მოხატულისო.

გრიგოლ რაყხაია

* * *

არა ცხრა ყვავის ტრანტალმა,
ღამის მხერხავმა ბუმ რვამა,
გამგალა ამ წუთისოფლის
ბორბლისა ხვნეშით ბრუნვამა.
რა ულაყს არ შემოვახტი,
რა აქლემი არ ვაჭენე,
ვერ მოვიხელთე წუთიცა,
წამიც კი ვერ გავაჩერე...
კლდისპირ მატარეს სვე–ბედის
ბრმა დედამა და ბლუ მამამ,
და, წუთისოფლის ბორბლისა
დგომამ, სულ აღარ ბრუნვამა.
ვაშენე სასახლეები, ქვა ვთალე,
ვზიდე დუღაბი,
მეფის გვირგვინიც დავიდგი,
ვნება ვახარე გულხარბი,
ისარი ვკარ... დრო ვერ დავსჭერ
და ამიტომაც ურვა მაქვს...
მოცამკლა წუთისოფლისა
ბორბლის, გლახ, უკან ბრუნვამა.

(ციკლიდან – „გოდებანი“)

„არა გიცი შენ!“

გაუძელ სიტყვებს მკაცრებს
და ხისტებს,
შენ ხომ გული გაქვს რკინის
და ქვისი...
შეურაცხყოფას ითმენდა ქრისტე,
ზეწმიდა იყოს სახელი მისი!

ხომ გამოგძერწა
სიყვარულისთვის
ღმერთმა, გატარა მზე-მზე
და ნისლ-ნისლ...
ძეც შემოგწირა თავისი, ქრისტე,
ზეწმიდა იყოს სახელი მისი!

უფსკრულისაკენ გიხმობს და
გისტვენს...
მსოფლიო ეტრფის მაცდურის
სისინს...
შენს გამო მიწყივ ჯვარზეა
ქრისტე,
ზეწმიდა იყოს სახელი მისი!

მაგრამ რაღა გჭირს?!
მიწის და ცის მტერს
რომ უვარდები დორბლიან პირში?!
ხომ იცი ბოლოს რას გეტყვის
ქრისტე,
ზეწმიდა იყოს სახელი მისი!

◇◇◇

ქართულის მაკვეთილები

დასაწყისი გვ. 8

ნილა ახალგაზრდა კინოკრიტიკოსების ჯგუფი, რომელზეც ახლა ლაპარაკობს ტელეგადაცემის ქართველი წამყვანი და ამბობს:

„ისინი ამბობდნენ, რომ ჩვენა ვართ კინოს მომავალი“.

გაუგებარია ვინ, „ჩვენ„?

რაო, ის ჯგუფი ამბობდა, რომ ეს ქართული ტელეარხია კინოს მომავალი?

ტელეწამყვანს უნდა ეთქვა:

„ისინი ამბობდნენ, ჩვენა ვართ კინოს მომავალი“–ო.

ამ პაწია, უბრალო სხვათა სიტყვის „ო“–მ ყველაფერი უცებ გახადა გასაგები.

ფილმში ერთი ეუბნება მეორეს:

„ტედი იტყვის, მოკალით ეგ ნაბიჭვარი და მე მოგკლავ“.

თუ ტედი იტყვის რაღაცას, მის ნათქვამს სჭირდება სხვათა სიტყვის „ო“.

უნდა იყოს:

„ტედი იტყვის, მოკალით ეგ ნაბიჭვარი“–ო და მე მოგკლავ“.

„ხომ გეუბნებოდი, დავითანხმე თქო“.

უნდა იყოს:

„ხომ გეუბნებოდი, დავითანხმე–მეთქი“.

მოქმედი პირი ეუბნება მეორეს:

„უთხარი, გოჩამ გამომიშვაო“.

უნდა იყოს:

– „უთხარი, გოჩამ გამომიშვა–თქო“.

25. ძალიან უწევენ ექსპლუატაციას ზმნას „კეთება“. ხმარობენ, სადაც არა მგონია.

ფილმი

ჭაბუკი და ქალიშვილი მიდიან მოტორიანი ნავით. უცებ ძრავი ჩაქრა.

ქალიშვილი ეკითხება ჭაბუკს:

– ახლა რა უნდა გავაკეთოთ?

სწორი იქნებოდა, თუ ჰკითხავდა, ახლა რა უნდა ვქნათო.

ფილმში ნაჩვენებია კრიტიკული სიტუაცია.

ერთ პერსონაჟს უნდა მეორის გულისთვის გარკვეულ მსხვერპლზე წავიდეს და ეუბნება:

– წაიყვანე ჩემი მანქანა.

მეორე კი არ ეტყვის, ამას ვერ ვიზამო, არამედ ეუბნება: ამას ვერ გავაკეთებო.

რომელიღაც ფილმში ნაჩვენებია ევროპული თუ ჩრდილო ატლანტიკური ქეიფი ვიღაცის ვილაზე. სუფრები გაშლილია მთელ შენობაში და მთელ ბაღში უამრავ მოქმედ პირთა შორის გამოირჩევიან ორნი: ვიღაც უწვერული ყმაწვილი ეარშიყება გათხოვილ ქალს, სადაც წაასწრებს უბნება: ჩაგჯმუჯნი და დაგკბენო. აი, ეს ყმაწვილი დაეხეტება შენობაში და ერთი ოთახის კარს რომ შეაღებს, იქ ნახავს ამ ქალს. ქალი ჩაკეტავს ოთახის კარს და სრულიად არაორაზროვნად მოუხმობს ყმაწვილს სასიყვარულო ამბებისაკენ, მაგრამ მოუხმობს ასე:

– გამიკეთე, რაც გინდა!

ამას ქართველი ასე იტყოდა:

– მიქენი, რაც გინდა!

ან

– მიყავი, რაც გინდა!

და ასე შემდეგ...

და ასე შემდეგ...

წერილის ბოლოს უკვე დასმული მქონდა წერტილი.

საღამო იყო და დასვენებას ვაპირებდი, მაგრამ....

რომელიღაც ქართულ არხზე გადიოდა ფილმი ადრიანო ჩელენტანოს მონაწილეობით.

ჩელენტანო ძალიან მიყვარს, იგი შესანიშნავად გრძნობს ფილმის სტილს, აქვს მდიდარი მიმიკა და ჟესტიკულაცია და ფილმის იტალიურ დედანში, დარწმუნებული ვარ, რომ სწორად, მრავალფეროვნად და ძალიან გამომხატველად მეტყველებს.

მაგრამ რა ქნას ჩელენტანომ, ქართულად ხომ ვერ გაგვიხმოვანებს ფილმებს?

ამ ფილმის ბოლოში ჩელენტანოს საცოლე (ორნელა მუტი) სურთ გააყოლონ გერმანელ მაგნატს კრუპს, რომელსაც (როგორც ქართული გახმოვანების ავტორები გვაუწყებენ), ზარბაზნების ფაბრიკები ჰქონია.

პატივცემულო ქართველო გამხმოვანებლებო, ფაბრიკა შეიძლება იყოს სათამაშოებისა, ხოლო ზარბაზნებს უშვებენ ქარხნებში.

ერთი რამე კი გავარკვიე: თუ დასვენება მინდა, ქართულ ტელეარხს არ უნდა ვუყურო.

ან არ უნდა ვუსმინო, თუ როგორა ლაპარაკობენ ტელეეკრანზე.

დავით კლდიაშვილის დიდი თავმდაბლობის მაგალითი



ბათუმში რუსეთის ჯარის ოფიცერ დავით კლდიაშვილს უბრძანეს, ქართველი აჯანყებულებისთვის ესროლა, მან კი მეფის ბრძანება არ შეასრულა და თავის რაზმს სროლა აუკრძალა. ამას დიდი მწერალი ბედისწერას უმადლოდა: მოგვიანებით, ქებით ალეწილმა და შეცბუნებულმა, ტაშის გრიალში გულწრფელად განაცხადა, - არავითარი გმირობა არ ჩამიდენია, ბედისწერისგან შებრალებული აღმოვჩნდი, ბედნიერი იმათთან შედარებით, რომლებიც უნებურად ხდებიან საშინელი დამნაშავენი ხალხის წინაშეო...

წყარო: http://www.ambebi.ge/books/72207-tsynari-darbaiseli-da-yvelas-shemtse-davith-kldiashvili.html#ixzz2LjbFZPQ2

შევარდნაძის „დიდი პოლიტიკოსობის“ მითზე ახალგაზრდა მკვლევარი ნიკა მაჭუტაძე

ედუარდ შევარდნაძის დიდ დიპლომატობასა და მსოფლიო მასშტაბის პოლიტიკოსობაზე რა არ მსმენია/გვსმენია. იგი მითოსის რანგში იქნა აყვანილი, ცხადია, საშინაო მოხმარებისთვის. არ გახსოვთ როგორი მეგობრები ჰყავდა? გენშერი, კოლი, კიდევ ბევრი სხვა.

მათ შორის ყველაზე უფრო გახმაურებული რეიგანთან მეგობრობა იყო.

საფუძვლიანად წავიკითხე რეიგანის მემუარები, უფრო სწორად ავტობიოგრაფია და მერე გუბაზ სანიკიძისა არ იყოს, ვერტიკალურადაც და ჰორიზონტალურადაც გადავსინჯე (ერთი კანონ-პროექტის განხილვისას რომ თქვა), ასჯერ გავზომე და ერთხელ გავჭერი და შედეგად რა მივიღე?!

უდიდესი პოლიტიკოსი, მსოფლიო არქიტექტორი, ბერლინის კედლის დამანგრეველი და საბჭოთა კავშირის დამაქცევარი ედუარდ ამბროსის ძე მხოლოდ ხუთჯერ იხსენიება ამხელა წიგნში. ერთხელ, როცა რეიგანი მოსკოვში იყო და პურმარილზე ყოფილა ედიკაც. ოთხჯერ კი, იცით რა კონტექსტში? შევარდნაძემ გორბაჩოვის წერილი მომიტანა და ჩემი პასუხი უკან წაიღოო, მაგრამ დიდ მამათელს ერთხელ რეიგანისთვის გადასაცემი ერთი მორიგი წერილი ს.კავშირის საელჩოში დარჩენია და თეთრ სახლში ხელცარიელი მისულა. დიდი უხერხულობა შექმნილა, როგორც სულმნათი პრეზიდენტი გადმოგვცემს.

არცერთი სიტყვა არ სწერია რაიმე კონკრეტულ პოლიტიკურ ინიციატივეზე, ან დიპლომატიურ ხრიკზე, ან პოლიტიკურ მიხვედრილობაზე, საერთოდ არაფერი, მაშინ, როდესაც მემუარისტი საოცარი დაწვრილებით, კონკრეტულობით იხსენიებს და იხსენებს უამრავ

დაბალი და მაღალი რანგის პოლიტიკოსს, მოხელეს, ჟურნალისტს. მოკლედ რომ ვთქვათ, არავის არაფერს უკარგავს.

ნოდარ კობერიძე

ირანული განტოლება

9-13 ოქტომბერს ირანის დედაქალაქ თეირანში მცირე ექსპედიცია გაიმართა, რომლის სულისჩამდგმელი გახლდათ ჟურნალ „ცისკრის“ ახლანდელი გამომცემელი, ბატონი სერგი კაკალაშვილი. მიზანი ერთი გახლდათ, დაგვედგინა დიდი ქართველი მამულიშვილის, საქართველოს თავისუფლებისთვის მუხლჩაუხრელი მებრძოლის, აღმოსავლეთის ლომად წოდებული (მის მოსაკლავად რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ I უზარმაზარი ჯილდოც კი დააწესა, ხოლო საბჭოთა ისტორიოგრაფია ამ მართლაც ეროვნულ გმირს წარმოგვიდგენდა ვითარცა ყაჩაღსა და ავაზაკს), ალექსანდრე ბატონიშვილის საფლავის ზუსტი მდებარეობის დადგენა და გადმოსვენების პერსპექტივა (იგი 1844 წელს ყველასგან მიტოვებული დაიღუპა ირანში და ჩვენამდე მოღწეული ცნობებით, დაკრძალეს თეირანის ბართლომეუსისა და ბარდღუმეოსის სომხური ეკლესიის ეზოში, ეზოში იმიტომ, რომ ქრისტიანული სარწმუნოების განშტოების, კერძოდ კი მართლმადიდებლობის მიმდევარი გახლდათ, ხოლო მისი ეროვნებით სომეხი და მონოფიზიტი მეუღლე და ქალიშვილი შიგნით, ეკლესიაში განისვენებენ), ექსპედიციაში ვმონაწილეობდით ორნი, თქვენი მონა-მორჩილი ნოდარ კობერიძე და ცნობილი პოეტი, ირანისტი, პროფესორი ნომადი ბართაია. ვფიქრობთ, მკითხველისთვის საინტერესო იქნება ამ ექსპედიციის პერიპეტიები, ამიტომ გთავაზობთ მას მცირე დღიურთა ჩანაწერების სახით.

პროლოგის მაგიერ
თეირანი, 9-13 ოქტომბერი, 2014 წელი

მეგობრებო, ამ დილით ჩამოვედით, მთელი ღამის უძინარი ვარ, მაგრამ ვიცი, რაოდენ დიდია ინტერესი ჩემი და ნომადი ბართაიას ექსპედიციისა თეირანში ალექსანდრე ბატონიშვილის საფლავის მოძიება-მოძებნის შესახებ. გადავწყვიტე, ჯანდაბას ჩემი ჯანმრთელობა, მეგობრებს გული მოვუფონო-მეთქი და აი, რასაც დავწერ, ყველამ იცოდეს იგი, დადასტურებულია ფოტო-დოკუმენტებით, რასაც გამოვაქვეყნებ.

ვიქნები შესაძლებლობისამებრ მოკლე – თეირანში ჩასვლის შემდეგ, იმ ეკლესიისკენ, სადაც, სავარაუდოდ, დიდი მამულიშვილია დასაფლავებული, არც გაგვიხედავს, რადგანაც ვიცოდით, მას ცხრაკლიტული ედო და იქ შეღწევას მხოლოდ ერთი სახელი ერქვა და იგი კილიკიის სომეხთა ეპისკოპოსი სობუჰი ბრძანდებოდა, და რომელთანაც მოხვედრა ერთგვარ დილემას წარმოადგენდა, მაგრამ... რას არ შეძლებს მონდომებული გული და შეხვედრა შედგა. კილიკიის ეპისკოპოსი საოცრად გულთბილი ადამიანი აღმოჩნდა. გადავეცით რა საჩუქრად ფერწერული ტილო თბილისის ხედით, სიტყვა ალექსანდრე ბატონიშვილზე ჩამოვუგდეთ და აი, პირველი გამარჯვება. ვიცი, როგორ არ ვიცი, იგი თეირანში სომხური ეკლესიის ეზოშია დაკრძალული. ეს სიტყვები გულს მოგველამუნა და ვთხოვეთ, ნება დაერთო მოგვენახულებინა ტაძარი, რათა შესაწირავი შეგვწირა და სანთლები აგვენთო. უყოყმანოდ დაგვთანხმდა და თანაშემწეს ბატონ ალფრედს დაავალა გამოეძახებინა იმ ეკლესიის რწმუნებული ალბერტ ისრაელიანი და გაეღოთ სანუკვარი კარი. თანაც მანქანაც გამოგვიყო. ვიდრე კლიტეები იღებოდა, გულის ფანცქალით ვძრწოდით, პირველად ეზოში ქართველთა სიძის, გრიბოედოვისა და გამოჩენილი ბრიტანელი მწერლის უოლტერ სკოტის შვილის მემორიალებს ვაწყდებით, მერე კი მივადექით ალექსანდრე ბატრონიშვილის ქალიშვილის ეკატერინეს საფლავს, ბოლოს კი გავიხსენეთ ყველა მინიშნება და... ჰოი, საოცრებავ, იგი სრულიად დაემთხვა ალბერტ ისრაელიანის მიერ მითითებულ ადგილს. დიდი ქართველი რომ აქ, ეზოში განისვენებს, ამას უტყუარად გვიდასტურებს ბატონი ალბერტიც შეკითხვაზე, თუ რატომ არ იყო თუნდაც მემორიალური დაფა ამ ვაჟკაცზე. მან განაცხადა, რომ იგი მზადაა თავად დაუკავშირდეს საქართველოს საელჩოს და შესთავაზოს თავისი უანგარო სამსახური...

თუმცაღა. მოდით, ყოველივეს თანმიმდევრობით მოგითხრობთ.

* * *

თეირანი, 10 ოქტომბერი

მართალია, წინა დღეს ვერ მოხერხდა კილიკიის ეპისკოპოსის სობუჰის ნახვა, მაგრამ სომეხ მეგობართა რჩევის შემდგომ მეორე დილის ცხრის ნახევრიდან საეპისკოპოსოს შესასვლელთან დავდექით „ყარაულად“ ეპისკოპოსი ათის ნახევრისთვის მობრძანდა და თანაშემწის, ბატონი ალფრედის მოხსენების შემდეგომ დაუყოვნებლივ მიგვიღო. საუბარში გაირკვა, რომ მან კარგად იცოდა, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი რომელი სომხური ეკლესიის ეზოში იყო დაკრძალული (რაც ჩვენს ვარაუდს სრულად ემთხვეოდა). მან გულთან ახლოს მიიტანა ჩვენი თხოვნა და გასცა განკარგულება, გამოეძახებინათ ალბერტ ისრაელიანი, მისივე აღზრდილი და იმ სსაყდრის მეთვალყურე და უბრძანა, ყველანაირად ხელი შეეწყოთ ჩვენთვის, გადასაადგილებლად მანქანაც კი გამოგვიყო, ბოლოს კი სამახსოვრო ფოტოს გადაღებასაც ხალისიანად დაგვთანხმდა. უღრმესი მადლობა მას.

დანიშნულ დროს ბატონი ალბერტი მობრძანდა. მარდღუმეოსის ეკლესია მართლაც მოუვალ ციტადელს ჰგავს და ცხრაკლიტულითაა ჩარაზული. ბატონმა ალბერტმა ნელ-ნელა გამოაღო კარნი ჩარაზულნი და ტალანის გავლის შემდგომ მის პატარა მყუდრო ეზოში აღმოვჩნდით. დანარჩენი როგორც პროლოგში აღვნიშნეთ, ზუსტად ისე გახლდათ, ოღონდაც ერთს დავამატებდით: ბატონმა ალბერტ ისრაელიანმა არ დაიზარა, ძელ-სკამებიც კი ამოატრიალა, რათა ყველა საფლავის ქვა გვეხილა, დაწყებული ალექსანდრე ბატონიშვილის მეუღლისა და ქალიშვილის აკლდამებით, დამთავრებული... ჩვენც უდიდესი ყურადღებით ვათვალიერებდით ყოველივეს. მცირე შესაწირიც გავიღეთ გმირისა და მისი ოჯახის წევრთა სულის მოსახსენებლად. მერე ყავით გაგვიმასპინძლდნენ და გვთხოვეს, საპატიო სტუმართათვის განკუთვნილ ჟურნალში ჩანაწერები გაგვეკეთებინა, რაც სიამოვნებით შევასრულეთ (ბოლო ჩანაწერი თეირანის მერს ეკუთვნოდა). მთელი დღე იქ გავატარეთ. ერთგვარად ვეფერებოდით ალექსანდრე ბატონიშვილის სავარაუდო განსასვენებელ ადგილს. ბოლოს, მწუხრს მიტანებულს, თბილად დავემშვიდობეთ დიდებულ მასპინძელს. საელჩოდან ზარს ველოდები მემორიალური დაფის შესახებო, გვაყოლებს სიტყვას ბატონი ალბერტი და... და კვლავ ირაზება მუზეუმ-ციხე-სიმაგრედ ქცეული ტაძარი და კაცმა არ იცის, კიდევ ვისთვის ან როდის გაიღება იგი...

* * *

თეირანი, 11 ოქტომბერი

საქართველოს ელჩმა, ბატონმა სოსო ჩახვაშვილმა და მისმა მეუღლემ სახლში მოგვიწვიეს, საუბრის დროს ელჩმა განაცხადა, რომ უახლოეს დღეებში შეუკვეთდა არქიტექტორს მემორიალური დაფის პროექტს. იქვე გადაწყდა, რომ ტექსტი სამენოვანი იყოს (ქართული, სპარსული და ინგლისური), ტექსტის შავ ვარიანტსაც ვადგენთ... მიღებამ გულთბილ, სრული გაგების ვითარებაში ჩაიარა. ლამის მეგობრებად დავშორდით ერთმანეთს. რამდენს ნიშნავს რწმენა კაცისა!

* * *

თეირანი, 12 ოქტომბერი

თეირანის უნივერსიტეტის უცხო ენების შემსწავლელი ცენტრის კიბეზე რომ ავდიოდით, ერთობ სასიამოვნო „სიურპრიზი“ ვიხილეთ, კიბის ყველა საფეხურის ქვეშ წარწერა იყო თუ რა ენანი ისწავლებოდა უნივერსიტეტში, ჰოდა, როცა გამოანათა წარწერამ – „ქართული ენა“, გული გამითბა, საპროფესოროში კი სხვა ენის ფლაგშტოკებთან ერთად საქართველოს ალამიც ამაყად გამოიყურება. მასპინძელი გულანთებული პატრიოტი – ანდრო ნაგელიანი-ფანიაშვილი რომელიც 25 წლისაა), ანდრო გულთბილად გადაგვეხვია. იგი ფერეიდნელია და თეირანის უნივერსიტეტში ასწავლის სტუდენტებს ქართულს, წელს სულ თორმეტი ახალგაზრდა მოსულა, მათ შორის რვა ეთნიკური ქართველიაო, ბრძანებს ბატონი ანდრო და ამატებს, ადრე მეტნი იყვნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც საქართველოს მთავრობამ ირანის მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმი შემოიღო, შემცირდნენო. აქ კი მოულოდნელად ჩაგვერთო ერთი ფერეიდნელი ქართველი სტუდენტი, თან ისე, რომ აღშფოთებას ვერ ფარავდა, სიტყვა-სიტყვით მომაქვს მისი „ამოძახილი“ – ბატონებო, ჩვენი წინაპრები მთელი ოთხასი წელი ქართველობის სადარაჯოზე იდგნენ, მათ რწმენა დათმეს, მაგრამ ენა შეინარჩუნეს, ვითარცა ქართველობის სინონიმი, ვინ მოსთვლის, რისი გადატანა მოგვიხდა, რომ ეს გამარჯვება გვეზეიმა და ახლა მათ ჩამომავალ ქართველებს სამშობლოში მოსახვედრად ვიზას უნდა გვთხოვდნენ ჩვენი თანამემამულენიო? აქ შეჩერდა. შემატყო, სიმწრისგან ფერიფური წამივიდა და ჩემთვის დიდი ილიას სიტყვებით გავიფიქრე კიდეც: მიგიხვდი, ჩემო ფერეიდნელო ძმაო, რა ნესტარით ხარ დაკბენილი, მართალი ხარ, რუსეთში საღალატოდ წასული ბევრი ქართველი და მათი დამგეშავი ძმები უვიზოდ უნდა დათარეშობდნენ საქართველოში და შენ... ახლაც, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, ლამისაა გული გამისკდეს სიბრაზისგან და მინდა ღიად მივმართო საქართველოს დიასპორის სახელმწიფო მინისტრს ბატონ გელა დუმბაძეს: ბატონო გელა, ვიცი, რა შესანიშნავი ოჯახიდან ბრძანდებით და როგორ გიყვართ თქვენი სამშობლო, ამიტომაც მოგმართავთ: ხმა აიმაღლეთ ამ დანაშაულებრივი კანონის წინააღმდეგ, ხმა აიმაღლეთ! ესაა თქვენი პირდაპირი მოვალეობა. ჩვენ კი შეშმუშნულნი და დარცხვენილნი დავემშვიდობეთ ამ ახალგაზრდა ფერეიდნელ სამშობლოსგან შეურაცყხყოფილ ქართველს, თავჩახრილნი და დარცხვენილნი.

* * *

თეირანი, 13 ოქტომბერი

თეირანში 1894 წელს რუსების მიერ დაარსებულ მართლმადიდებლურ სასაფლაოს რომ მივადექით, შიგ არ გვიშვებდნენ, რუსეთის საელჩოდან ნებართვა მოიტანეთო, მაგრამ ხომ იცით, რაც ანათებს ჯოჯოხეთს, ჰოდა, გავიღეთ გასაღები (ვიდოდით, იქ ბევრი ქართველის უპატრონოდ მიგდებული საფლავნი რომ გველოდნენ სულმოუთქმელად) და ხუთი წუთით გახსნეს ჭიშკარი. პირველი, რაც შემოგვეგება, ეს იყო დიდ ქართველი მეცენატის აკაკი ხოშტარიას აშენებული პატარა სამრეკლო. გარკვევით იკითხება მისი მეუღლის სახელი და გვარი, მაგრამ... მაგრამ სამრეკლო ინგრევა, ხოლო შიგთავსი ცემენტის საწყობად გადაუქცევიათ. არ გაგვკვირვებია, მთელს მსოფლიოში ხომ ასე ტიალადაა მიტოვებული ყოველივე, რასაც ქართული ფესვები დასდევს. აქვე ვინახულეთ სხვა ქართველთა სამარეები, გადავიღეთ მათი საფლავის ქვები, იქნებ ვინმემ მათმა ჩამომავალმა აქ, საქართველოში იხილოს და... ჩვენ კი უფრო გულდამძიმებულმა დავტოვეთ ეს სამარადჟამო ნავსაყუდელი, არავითარ კომენტარს არ ვაკეთებ, აღარა მაქვს მაგის ნერვები, არავითარი! დასკვნები თქვენთვის მომინდვია, მეგობრებო, თქვენთვის!

* * *

ბაქო, 13 ოქტომბერი, შუაღამე

დამერწმუნეთ, მსოფლიოს არაერთი საერთაშორისო აეროპორტი მიხილავს, არ მეგონა, თუკი ოდესმე რამე გამაკვირვებდა, მაგრამ ბაქოს საერთაშორისო აეროპორტმა ლამის ყველას გადააჭარბა თავისი დიდებულებით, ხოლო იქ მომუშავე პერსონალი უცხოს იმას კი არ უყვება თუ როდის ჩამოვიდა იქ წყალი, ანდა როდის ააგლიჯა კასპიის ქარიშხალმა ჭერი, არამედ ამაყობს ამ დიდებული ანსამბლით. ეს ისე, ქართველთა გასაგონად...

* * *

ეპილოგივით
თბილისი, 14 ოქტომბერი

როგორც დიდი შოთა ბრძანებდა – „გასრულდა ესე ამბავი“, და ერთ ღამეში ორთვითმფრინავგამონაცვალნი ჩვენს თბილისს დავუბრუნდით. დავბრუნდით გულდამძიმებულნიცა და გახარებულნიც, სევდიანიცა და ამაყნიც. თუ როგორ შევასრულეთ დასახული ამოცანა. ეს ჩვენი განსასჯელი არაა, მთავარია, რომ მას ჰქონდეს შესაბამისი გაგრძელება, ქართველთა გმირმა ალექსანდრე ბატონიშვილმა სამშობლოს სავანეში ჰპოვოს სამუდამო განსასვენებელი...

თეირანი-ბაქო-თბილისი
9-13 ოქტომბერი

რუსმა მეცნიერებმა პირველად აღიარეს, რომ რუსები არ არიან სლავები, არამედ უგრო-ფინები

მოსკოვის გუმილევის ცენტრის ცნობით, რუსმა მეცნიერებმა ისტორიაში პირველად აწარმოეს რუსული გენოფონდის ჯერ არ გაგონილი კვლევები - შოკირებულები იყვნენ მისი შედეგებით. ამ კვლევებმა სრულად დაადასტურეს, რომ რუსები - არასლავები, არამედ რუსულად მოლაპარაკე ფინები არიან. გამოკვლევებში კერძოდ საუბარია:

„რუსმა მეცნიერებმა დაასრულეს და გამოსაცემად ამზადებენ რუსი ხალხის გენოფონდის პირველ მასშტაბურ კვლევებს. მოპოვებულ შედეგებს შეიძლება ჰქონდეს რუსეთისათვის და მსოფლიოს წესრიგისათვის გაუთვალისწინებელი შდეგები“ - ამრიგად, რუსულ გამოცემა „ვლასტში“ პუბლიკაცია იწყება სენსაციურად. სენსაცია კი ნამდვილად იქცა დაუჯერებლად - ბევრი რუს ეროვნებაზე არსებული ბევრი მითი იქცა სიცრუედ. მათ შორის გაირკვა, რომ რუსები გენეტიკურად საერთოდ არ არიან „აღმოსავლეთის სლავები“, არამედ ფინები.

რუსები აღმოჩნდნენ ფინები

ანთროპოლოგებმა რამდენიმე ათეული წლების დაძაბული კვლევების შედეგად შეძლეს გაერკვიათ ტიპიური რუსი ადამიანის იერი. ეს საშუალო აღნაგობისა და საშუალო სიმაღლისაა, ღია წაბლისფერი წარბი ღია თვალებით - რუხი ან ცისფერი ფერით.

ამავე დროს, კვლევების მსვლელობისას მოცემული იქნა, აგრეთვე ტიპიური უკრაინელის სიტყვიერი პორტრეტიც. ეტალონური უკრაინელი განსხვავდება რუსისაგან კანის, თმისა და თვალების ფერით - ის მუქი შავგვრემანია სახის სწორი ხაზებით და წაბლისფერი თვალებით. საერთოდ, ადამიანის ტანის ანტროპოლოგიური პროპორციის გაზომვებით - არა მარტო გასული, არამედ წინანდელი საუკუნის მეცნიერებას, უკვე დიდი ხანია გაჩნდა მოლეკულური ბიოლოგიის ყველაზე ზუსტი მეთოდები, რომლებიც საშუალებას იძლევიან წაიკითხოს ყველა ადამიანური გენი. დღეს დნმ-ის ყველაზე მოწინავე მეთოდია სეკვენირება (გენეტიკური კოდის წაკითხვა ასოებით) მიტოხონდრიანული დნმ და დნმ Y-ადამიანის ქრომოსომები.

მიტოხონდრიანული დნმ გადაეცემა ქალის ხაზის შთამომავლობას შთამომავლობით პრაქტიკულად შეუცვლელად იმ დროიდან, როდესაც კაცობრიობის მშობელი ევა ჩამოვიდა ხიდან აღმოსავეთ აფრიკაში. Y- ქრომოსომები გააჩნიათ მხოლოდ მამაკაცებს და ესეც პრაქტიკულად უცვლელად გადაეცემა მამრობით შთამომავლობას, როცა სხვა დანარჩენი ქრომოსომები მამისა და დედისაგან გადაცემისას ბუნებრივად ისე ერევა ერთმანეთს, როგორც კარტი ჩამორიგების წინ. ამგვარად, ირიბი თვისებებისაგან (გარეგნული იერი, ტანის პროპორცია) განსხვავებით, მიტოხონდრიანული დნმ-ს და Y- ქრომოსომების დნმ-ს სეკვენირება არის უცილობელი და პირდაპირი ადამიანთა ნათესაობის ხარისხისა, წერს ჟურნალი „ვლასტი“.

უკვე ორი ათეული წელია დასავლეთში ადამიანის გენეტიკის პოპულაციისას წარმატებით იყენებენ ამ მეთოდებს. რუსეთში კი ეს მეთოდები მხოლოდ ერთხელ იქნა გამოყენებული. 1990-იანი წლების შუახანებში - სამეფო სახლის ნეშტის იდენტიფიკაციისას.

რუსეთის ტიტულოვანი ერის შესწავლისათვის ყველაზე თანამედროვე მეთოდების გამოყენების სიტუაციაში გარდატეხა მოხდა მხოლოდ 2000 წელს. რუსეთის ფუნდამენტალური კვლევების ფონდმა გამოუყო გრანტი რუსეთის სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის სამედიცინო-გენეტიკური ცენტრის ადამიანის გენეტიკის პოპულაციის ლაბორატორიის მეცნიერებს. რუსეთის ისტორიაში რამდენიმე წლის დაძაბული მუშაობის შემდეგ მეცნიერებმა პირველად შეძლეს ერთიანად შეკრებილიყვნენ რუსი ხალხის გენოფონდის შესასწავლად. თავიანთი მოლეკულურ-გენეტიკური კვლევები მათ შეავსეს რუსული გვარების ნაწილობრივი განფენით ქვეყანაში. ესეტი მეთოდი ძალიან იაფი იყო, მაგრამ მისმა ინფორმაციულობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: გვერების გეოგრაფიის შედარება გენეტიკური დნმ-მარკერების გეოგრაფიასთან უჩვენა პრაქტიკულად მათი თანხვედრა.

რუსეთში ტიტულოვანი ერის გენოფონდის მოლეკურლურ-გენეტიკური პირველი კვლევის შედეგები გამოსაცემად მზადდება „რუსული გენოფონდის“ მონოგრაფიის სახით, რომელიც წლის ბოლოსათვის გამოვა გამომცემლობა „ლუჩში“.

ჟურნალ „ვლასტს“ მოჰყავს კვლევის რამოდენიმე მონაცემი. ამრიგად, აღმოჩნდა რომ რუსები - არავითარი „აღმოსავლელი სლავებია“, არამედ ფინები. სწორედ ამ კვლევებმა წამსვე დაამსხვირეს ყბადაღებული მითი „აღმოსავლელ სლავებზე“ -თითქოსდა ბელორუსები, უკრაინელები და რუსები შეადგენენ „აღმოსავლელ სლავთა ჯგუფს“. ამ სამი ხალხიდან ერთადერთი ბელორუსები აღმოჩნდნენ სლავები, მაგრამ ამავე დროს გაირკვა, რომ ბელორუსები - საერთოდ არ არიან „აღმოსავლელი სლავები“, არამედ დასავლელი -რამეთუ ისინი გენეტიკურად ფაქტიურად არ განსხვავდებიან პოლონელებისაგან. ასე რომ მითი „ბელორუსებისა და რუსების სისხლისმიერი ნათესაობისა“ სრულიად გაცამტვერდა: ბელორუსები აღმოჩნდნენ ფაქტიურად იდენტური პოლონელებისა, ბელორუსები გენეტიკურად ძალიან შორსა არიან რუსებისაგან, ამავე დროს კი ძალიან ახლოს არიან ჩეხებთან და სლოვაკებთან. აი, ფინები ფინეთიდან აღმოჩნდენენ გენეტიკურად რუსებთან უფრო ახლოს მდგომნი, ვიდრე ბელორუსები. ამრიგად Y- ქრომოსომების გენეტიკური განლაგება რუსებსა და ფინეთის ფინებს შორის შეადგენდა 30 პირობით ერთეულს (ახლო ნათესაობა). რუსი ადამიანისა და ე.წ. ფინო-უგორულ ხალხების (მარიელები, ვესპები, მორდოვები და სხვ.), რომლებიც ცხოვრობენ რფ-ს ტერიტორიაზე, გენეტიკური განლაგება უტოლდება 2/3 ერთეულს. ცალსახაა, გენეტიკურად ისინი იდენტურები არიან.

მითზე „რუსების სალავური ძირის შესახებ“ რუსი მეცნიერების მიერ დასმულია დიდი წერტილი: სლავიანებისაგან რუსებს არაფერი გააჩნიათ“. არის მხოლოდ სლავიანურთან ახლოსმდგომი რუსული ენა, მაგრამ მასში არის 60-70% არასლავური ლექსიკისა, ამიტომ რუს ადამიანს არ ძალუძს სალვიანური ენების გაგება, თუმც ნამდვილ სლავს შეუძლია თანხვედრის გამო გაიგოს ნებისმიერი სლავური ენა, გარდა რუსულისა.

დნმ-ს მიტოხონდრიული ანალიზის შედეგებმა უჩვენეს, რომ რუსების კიდევ ერთი ახლო ნათესავი ფინეთის ფინების გარდა - არიან თათრები: რუსები თათრებისაგან ნათესაობის მხრივ დაშორებულნი არიან იმავე გენეტიკური 30 პირობითი ერთეულით, რომელიც მათ ფინისაგან ჰყოფთ. არანაკლებ სენსაციური აღმოჩნდა მონაცემები უკრაინაზე. აღმოჩნდა რომ აღმოსავლეთ უკრაინის მოსახლეობა არის ფინო-უგრები: აღმოსავლეთ უკრაინელები პრაქტიკულად არაფრით განსხვავდებიან რუსებისაგან, კომისაგან, მორდვებისაგან, მარიელებისაგან. ეს ერთი ფინური ოჯახია, რომელთაც ოდესღაც ჰქონდათ ერთი ფინური ენა. აი, დასავლეთის უკრაინის უკრაინელებთან კი უფრო მოულოდნელობა მოხდა. ესენი საერთოდ არ არიან სლავები, როგორც არა „რუსოფინები“ რუსეთსა და აღმოსავლეთ უკრაინაში, არამედ სრულიად სხვა ეთნოსი: ლვოვის უკრაინელებსა და თათრებს შორის გენეტიკური დაშორება შეადგენს მხოლოდ 10 ერთეულს.

ასეთი ახლო თანხვდომა დასავლელ უკრაინელებსა და თათრებს შორის, შესაძლებელია, აიხსნას კიევის რუსეთის ძველ მაცხოვრებელთა სარმატული ძირებით. რათქმა უნდა, დასავლელ უკრაინელების სისხლში არსებობს განსაზღვრული სლავიანური შედგენილობა (ისინი გენეტიკურად უფრო ახლოს დგანან სლავიანებთან, ვიდრე რუსები), მიუხედავად ამისა, ისინი არ არიან სლავიანები, არამედ სარმატები. ანთროპოლოგიურად მათ აქვთ საკუთარი ფართო ღაწვები, მუქი თმები და თაფლისფერი თვალები, მუქი (და არა ვარდისფერი, როგორც ევროპეიდებს) ძუძუსთავები. ჟურნალი წერს: რუსი მეცნიერების დადანაშაულება ამ მონაცემების ფალსიფიკაციაში არ გამოვა: მაშინ ბრალდება ავტომატურად გავრცელდება დასავლელ კოლეგებზე, რომლებიც უკვე წელზე მეტია აყოვნებენ ამ შედეგების გამოქვეყნებას, ყოველთვის აგრძელებენ მორატორიუმის ვადას“.

ამ ახალი აღმოჩენების აღიარებისა და მათი გამოყენებისას, რუსი ? სტრატეგები აქ წააწყდებიან მას, რასაც ხალხში უწოდებენ „ჯოხს ორი ბოლოთი„: ამ შემთხვევაში მოუწევთ რუსი ხალხის მთელი ეროვნული თვითიდენტიფიკაციის როგორც „სალვიანურის“ გადახედვა და უარის თქმა ბელორუსებთან და მთელს სლავიანურ სამყაროსთან „ნათესაურ“ კონცეფციაზე - უკვე არა სამეცნიერო კვლევების დონეზე, არამედ პოლიტიკურ დონეზეც.

ჟურნალი, აგრეთვე აქვეყნებს რუკას არეალის მითითებით, რომელზედაც ჯერ კიდევ შემონახულია „ჭეშმარიტი რუსული გენი“ (იგივე ფინური). გეოგრაფიულად ეს ტერიტორია „ემთხვევა ივანე მრისხანის დროებას“ და „სრული სიცხადით უჩვენებს ზოგიერთი სახელმწიფო საზღვრის პირობითობას“, ასე წერს ჟურნალი. სახელდობრ, ბრიანსკის, კურსკის, და სმოლენსკის მოსახლეობა სრულიად არ არის რუსული მოსახლეობა (იგივე ფინური), არამედ ბელორუსულ-პოლონური -იდენტური ბელორუსებისა და პოლონელების გენებთან.

საინტერესოა ფაქტი იმისა, რომ საშუალო საუკუნეებში საზღვარი ლიტვის დიდ სამთავროსა და მოსკოვიას შორის - იყო სწორედ ეთნიკური საზღვარი სლავებსა და ფინებს შორის (კერძოდ მასზევე გადიოდა აღმოსავლეთ ევროპის საზღვარი). მოსკოვია-რუსეთის შემდეგდროინდელი იმპერიალიზმი, რომელმაც მიიერთა მეზობელი ტერიტორიები, გამოდიოდა ეთნიკურ მოსკოვიტებსა და უკვე დაპყრობილი სხვა ეთნოსების ფარგლებიდან.

რა არის რუსი?

რუსი მეცნიერების ეს ახალი აღმოჩენები უფლებას გვაძლევს ახლებურად შევხედოთ შუასაუკუნეების მოსკოვიის მთელს პოლიტიკას, ამასთანავე მის „რუსის“ კონცეფციას. აღმოჩნდება, რომ მოსკოვის „რუსული საბნის გადაქაჩვა თავისთვის“ აიხსნება სუფთა ეთნიკურად, გენეტიკურად. ე.წ. „წმინდა რუსეთი“ მოსკოვის რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიისა და რუსი ისტორიკოსების კონცეფციაში ჩამოყალიბდა ორდაში მოსკოვიას გაძლიერებით, და როგორც წერდა მაგალითად ლევ გუმილევი თავის წიგნში „რუსიდან რუსეთამდის“, ამ ფაქტით უკრაინელები და ბელორუსები უკვე აღარ არიან რუსინები, აღარ არიან „რუსი“, რომ იყო ორი სრულიად განსხვავებული „რუს“. დასავლური ორდა ცხოვრობდა თავის სლავთა ცხოვრებით, გაერთიანდა ლიტვის დიდ სამთავროში რუსულიც. მეორე რუსი - აღმოსავლეთ რუსი (ურორე მოსკოვია - რამეთუ მას იმ დროს რუსადაც არ თვლიდნენ) - სამასი წლით შევიდა ეთნიკურად მახლობელ ორდაში, რომელმაც შემდგომ მიიტაცა ხელისუფლება და გახადა ის „რუსეთად“ ჯერ კიდევ ორდის მიერ ნოვგოროდისა და ფსკოვის დაპყრობამდის. ამ მეორე რუს - რუსი ფინური ეთნოსისას მოსკოვის რუსული მართლმადიდებლური ეკლესია და რუსეთელი ისტორიკოსები უწოდებენ „წმინდა რუსეთს“, რომელიც შემდგომ დასავლურ რუსს ართმევს უფლებას „რუსულობაზე“ (აიძულა კიდეც კიევის რუსის მთელი ხალხი ეწოდებინა თავისი თავისათვის არა რუსინები, არამედ „ოკრაინები„). აზრი გასაგებია: ამ ფინურ რუსულს - ცოტაღა თუ ჰქონდა საერთო ძირეულ სლავიანურ რუსულთან.

თვით მრავალსაუკინოვანი წინააღმდეგობრივი ბრძოლა ლიტვის დიდ სამთავროსა და მოსკოვიას შორის (თითქოსდა რაღაც საერთო ჰქონოდა რუსში რიურიკოვიჩებისა და კიევის სარწმუნოებაში, ლიტვის დიდი სამთავროს თავადები ვიტოვტ-იური და იაგაილო-იაკობი დაბადებით მართლამდიდებლები ყოფილიყვნენ, და ყოფილიყვნენ რიურიკოვიჩები და დიდი რუსი თავადები, და არ სცოდნოდათ სხვა რომელიმე ენა გარდა რუსულისა) - ეს არის წინააღმდეგობრივი ბრძოლა სხვადასხვა ეთნოსის ქვეყნებს შორის: დიდმა ლიტვის სამთავრომ შემოიკრიბა სლავიანები, მოსკოვიამ კი ფინები. ჯამში მრავალი საუკუნის მანძილზე ერთურთს უპირისპირდებოდა ორი რუსი სლავიანური ლიტვის დიდი სამთავრო და ფინური მოსკოვია. ამას ხსნის მრავლისმეტყველი ფაქტი იმისა, რომ მოსკოვია ორდაში არსებობის მანძილზე არასდროს ცდილა დაბრუნებოდა რუსს, მოეპოვებინა თავისუფლება თათრებისაგან, შესულიყო ლიტვის დიდ სამთავროში.

მის მიერ ნოვგოროდის დაპყრობა კი განპირობებული იყო იმით, რომ ნოვგოროდი აწარმოებდა მოლაპარაკებებს ლიტვის დიდ სამთავროში შესასვლელად. მოსკოვიას ეს რუსოფობია და „მაზოხიზმი“ (ორდის უღელი უკეთესია, ვიდრე ლიტვის დიდი სამთავროსი) შესაძლებელია აიხსნას მხოლოდ ძირძველი რუსისა და ორდის ეთნიკურად ახლო მდგომი ხალხების ეთნიკური სხვაობით, სწორედ ამ გენეტიკური განსხვავებულობით სვლავიანებთან მიმართებაში აიხსნება მოსკოვიას მიერ ცხოვრების ევროპული წყობის არმიღება, სიძულვილი ლიტვის დიდი სამთავროსა და პოლონელების მიმართ (ე. ი. მთელი სალვიანებისა), აღმოსავლეთისადმი და აზიური ტრადიციებისადმი უზომო სიყვარული.

რუსეთელი მეცნიერების აწინდელი კვლევები აუცილებლად უნდა აისახოს და ისტორიკოსებმა უნდა გადახედონ თავიანთ კონცეფციებს. ამავე დროს, დიდი ხანია უნდა შესულიყო ისტორიულ მეცნიერებაში ის ფაქტი, რომ არსებობდა არა ერთი რუსი, არამედ ორი სრულიად სხვადახვა: რუსი სლავიანური და რუსი ფინური. ეს სიზუსტეები შესაძლებლობას გვაძლევს გავიგოთ და ავხსნათ ჩვენი შუასუაკუნეების ისტორიის მრავალი პროცესი, რომლებიც აწინდელი მოცემულობებით კარგავენ ყოველგვარ აზრს.

რუსული გვარები

რუსეთის მეცნიერების მცდელობები შეესწავლათ რუსული გვარების სტატისტიკა, დასაწყისში სირთულეების წინაშე აღმოჩნდა. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ და ადგილებზე საარჩევნო კომისიებმა უარი თქვეს მეცნიერებთან თანამშრომლობაზე, იმ საბაბით რომ მხოლოდ ამომრჩეველთა სიების გასაიდუმლოებით შეუძლიათ მათ არჩევნების ობიექტურობის გარანტირება ხელისუფლების ფედერალურ და ადგილობრივ დონეებზე. გვარების სიებში შეტანის კრიტერიუმები ძალიან მარტივი იყო: სიებში შევიდოდა ის გვარი, რომლის სულ მცირე ხუთი წარმომადგენელი სამი თაობის მანძილზე ცხოვრობდა ამ რეგიონში. პირველად შედგენილი იყო ხუთი პირობითი რეგიონის სიები - ჩრდილოეთის, ცენტრალური, ცენტრალურ-დასავლეთის, ცენტრალურ-აღმოსავლეთისა და სამხრეთის. რუსეთის ყველა რეგიონიდან ჯამში დაგროვდა 15 ათასამდე გვარი, რომელთა უმრავლესობა მხოლოდ ერთ რეგიონში იყო და არ არსებობდა სხვაგან. მეცნიერები აქვეყნებენ ყველაზე მასიურად გავრცელებული 250 გვარის სიას. მოულოდნელი იყო ის ფაქტი, რომ ყველაზე მასიური რუსული გვარი აღმოჩნდა არა ივანოვი, არამედ სმირნოვი. მთელი ამ სიის მოტანა არ ღირს, მოვიყვანთ მხოლოდ ყველაზე გავრცელებული 20 გვარის სიას:

1.სმირნოვი; 2. ივანოვი; 3. კუზნეცოვი; 4. პოპოვი; 5. სოკოლოვი; 6. ლებედევი; 7. კოზლოვი; 8. ნოვიკოვი; 9. მოროზოვი; 10. პეტროვი; 11. ვოლკოვი; 12. სოლოვიოვი; 13. ვასილევი; 14. ზაიცევი; 15. პავლოვი; 16. სემენოვი; 17. გოლუბევი; 18. ვინოგრადოვი; 19. ბოგდანოვი; 20. ვორობიოვი. ყველა ცნობილ საერთო რუსულ გვარს აქვს ბულგარული დაბოლოება -ოვ (-ევ), დამატებით რამდენიმე გვარი -ინ-ზე (ილინი, კუზმინი). და 250-იან სიაში არ არის „აღმოსავლურ სლავიანური“ გვარები (ბელორუსთა და უკრაინელთა) -ი-ზე, -იჩ-ზე; -კო-ზე. ესეც კი უჩვენებს სიღრმისეულ სხვაობას „აღმოსავლეთ სლავიანურ“ გვარებს შორის, რადგან ბელორუსული გვარები -ი-ზე და იჩ-ზე ტოლია

დასასრული გვ. 18

ზვიად გამსახურდიას სახელობის პირველი სტიპენდიატები

თსუ / TSU, 2014 წ. 6 ოქტომბერი

საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სახელობის სტიპენდიანტის გამოსავლენად შექმნილმა კომისიამ

გამოავლინა საქართველოს პირველი პრეზიდენტის - ზვიად გამსახურდიას სახელობის პირველი სტიპენდიანტები:

1. მარიამ მათიაშვილი - თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მე-7 სემესტრის სტუდენტი;

2. მაგული ღამბაშიძე - თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის მე-3 სემესტრის სტუდენტი;

3. ლევან ბებურიშვილი - თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის მე-3 სემესტრის სტუდენტი.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით ვულოცავთ მათ ამ წარმატებას.

2014-09-16
ბრძანება №:158/01-01

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს პირველი პრეზიდენტის - ზვიად გამსახურდიას სახელობის სტიპენდიის მოსაპოვებლად კონკურსის გამოცხადებისა და სტიპენდიის მიმნიჭებელი კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი ნაწილის, 54–ე მუხლის პირველი ნაწილის, 57-ე მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის პირველი პუნქტის, მე-8 პუნქტის „ა", „ო" და „პ" ქვეპუნქტების, მე-9 და მე-12 პუნქტების, ,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს პირველი პრეზიდენტის – ზვიად გამსახურდიას სახელობის სტიპენდიის დანიშვნის, სტიპენდიანტის გამოვლენისა და სტიპენდიის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 6 აგვისტოს N130/01-01 ბრძანების №1 დანართით დამტკიცებული სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს პირველი პრეზიდენტის – ზვიად გამსახურდიას სახელობის სტიპენდიის დანიშვნის, სტიპენდიანტის გამოვლენისა და სტიპენდიის მინიჭების წესისა და სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის 2014 წლის 09 სექტემბრის №28553/02 კორესპონდენციის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს პირველი პრეზიდენტის - ზვიად გამსახურდიას სახელობის სტიპენდიის მოსაპოვებლად გამოცხადდეს კონკურსი უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის საგანმანათლებლო მიმართულების ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სტუდენტებისათვის.

2. კანდიდატების შერჩევა განახორციელოს სტიპენდიის მიმნიჭებელმა კომისიამ მოქმედი კანონმდებლობისა და ,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს პირველი პრეზიდენტის – ზვიად გამსახურდიას სახელობის სტიპენდიის დანიშვნის, სტიპენდიანტის გამოვლენისა და სტიპენდიის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 6 აგვისტოს 130/01-01-01 ბრძანების №1 დანართით დამტკიცებული სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს პირველი პრეზიდენტის – ზვიად გამსახურდიას სახელობის სტიპენდიის დანიშვნის, სტიპენდიანტის გამოვლენისა და სტიპენდიის მინიჭების წესის საფუძველზე.

3. დამტკიცდეს საქართველოს პირველი პრეზიდენტის - ზვიად გამსახურდიას სახელობის სტიპენდიის მიმნიჭებელი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) პროფესორი - ელგუჯა ხინთიბიძე (კომისიის თავმჯდომარე);

ბ) პროფესორი - დარეჯან თვალთვაძე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);

გ) პროფესორი - რამაზ ქურდაძე (კომისიის წევრი);

დ) პროფესორი - კახაბერ ლორია (კომისიის წევრი);

ე) პროფესორი - ნანი გაფრინდაშვილი (კომისიის წევრი);

ვ) ასოცირებული პროფესორი - ვლადიმერ მინაშვილი (კომისიის წევრი);

ზ) ასოცირებული პროფესორი - თენგიზ კიკაჩეიშვილი (კომისიის წევრი);

თ) ასოცირებული პროფესორი - თამარ შარაბიძე (კომისიის წევრი);

ი) ასისტენტ-პროფესორი - ელენე გოგიაშვილი (კომისიის მდივანი).

4. სტიპენდიის მოპოვების მსურველმა ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებმა კომისიის სახელზე წარადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) განცხადება;

ბ) ავტობიოგრაფია – CV;

გ) აკადემიური მოსწრების დამადასტურებელი დოკუმენტი (ამონაწერი სასწავლო ბარათიდან);

დ) წინა სასწავლო წელს გამოქვეყნებული/დასაბეჭდად გადაცემული ნაშრომები;

ე) წინა სასწავლო წელს ჩატარებულ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ვ) უნივერსიტეტის გაცვლით და საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი (არსებობის შემთხვევაში).

5. სტიპენდიის მოპოვების მსურველმა დოქტორანტმა კომისიის სახელზე უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) განცხადება;

ბ) ავტობიოგრაფია – CV;

გ) სამოტივაციო წერილი;

დ) წინა სასწავლო წელს გამოქვეყნებული/დასაბეჭდად გადაცემული ნაშრომი(ებ)ი;

ე) წინა სასწავლო წელს ჩატარებულ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ვ) უნივერსიტეტის გაცვლით და საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი (არსებობის შემთხვევაში).

6. სტიპენდიის მიღების მსურველი სტუდენტების საბუთების მიღება მოხდეს 2014 წლის 16 სექტემბრიდან - 26 სექტემბრის ჩათვლით 10.00-დან 17.00 საათამდე უნივერსიტეტის I კორპუსის 207-ე ოთახში.

7. სტიპენდიანტების შერჩევის თაობაზე კომისიის დასკვნა მომზადდეს არაუგვიანეს 2014 წლის 4 ოქტომბრისა.

8. დაევალოს კანცელარიას ბრძანების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება.

9. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

10. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

ვლადიმერ პაპავა
რექტორი, პროფესორი
აკადემიკოსი

საყოველთაო აღწერის შუქ-ჩრდილები

მიმდინარე წლის 13 ნოემბერს, საქსტატის დავალებით, მოსახლეობის საყოველთაო აღწერის (რომელიც სრულიად საქართველოში ოფიციალურად დაიწყო 6 ნოემბერს) მიზნით, სახლში, მეწვია აღმწერი. მე, როგორც კანონმორჩილი და მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება ქაღალდებთან მომუშავე, გულისყურით ვისმენდი აღმწერის შეკითხვებს და ვპასუხობდი ძალიან ზუსტად და ერთგულად, მაგრამ გაოცებული დავრჩი, როცა შევამჩნიე, რომ აღმწერი ბლანკებს ავსებდა უბრალო სახაზავი ფანქრით,რომელიც ადვილად იშლება საშლელით. აღმწერს ვკითხე, ამ ქაღალდებს უჩემოდ რომ გადაათეთრებთ, მე რა ვიცი, რას შეცვლით-მეთქი და...ჰოი, საოცრებავ...მიპასუხა, არაფერს არ ვათეთრებ, მევალება ასევე ჩავაბაროო...

მაქვს გონივრული ეჭვი (ამ ტერმინს თანამედროვე ხელისუფლებას დავესესხები), რომ ინფორმაციის მოგროვებისა და დამუშავების შემდეგ,ნებისმიერ ფაქტობრივ არასასურველ ინფორმაციას ისე შეცვლიან საქ-სტატში,როგორც აწყობთ და აღწერის შედეგი იქნება მეცნიერულად დასაშვებზე მეტად მცდარი, მით უფრო, რომ აღწერას დაქვემდებარებული პირი არცერთ ინფორმაციაზე პასუხისმგებელი არ არის, რადგან არსად აწერს ხელს(?).

საბოლოოდ, დიდი ალბათობით, აღწერის შედეგი იქნება ,,კოალიციური ოცნების" ერთ-ერთი საოცნებო დოკუმენტი,რომელსაც, ჯერ ვერ ვხვდები, როგორ და რაში გამოიყენებენ...(თუმც, არც ისე ძნელი მისახვედრია)...

თეა ლაკირბაია

ქუთაისის უნივერსიტეტში გაიხსნა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას აუდიტორია

ნოემბრის აქციის გაკვეთილები და კოლუბრ ნიშნად შეჯახებული „თეთრი ხარი„

2007 წლის ნოემბერში გამართული აქციის სასტიკი დარბევიდან 7 წელი გავიდა. ბევრი წამიკითხავს ამ აქციაზე, მის გასამართლებლად თუ საწინააღმდეგოდ დაწერილი. ოპონენტების მიერ იგი ცალსახად ბადრი პატარკაციშვილისა და „მოსკოვის“ მიერ მართულად იქნა გამოცხადებული - დაახლოებით ისე, როგორი გრანდიოზული კარიკატურაც - მიმაგრებული ფოსტა-ტელეგრაფის შენობაზე - დაახვედრა ხელისუფლებამ პარლამენტის შენობასთან 5 დღით ადრე შეკრებილ 100 000-ზე მეტ ადამიანს.

უსამართლოა ბრალდება, რომ მე რამენაირი ფორმით „ვიმართებოდი“ ვინმეს მიერ. რაც შეეხება ბადრი პატარკაციშვილის როლს, ეს ცალკე საკითხია და სერიოზულ განხილვას იმსახურებს. - მისი ფრაქცია საკმაოდ აქტიური იყო პოლიტიკაში. ესაა უპირველეს ყოვლისა გოგა ხაინდრავა, როგორც მისი ერთგვარი რწმუნებული პოლიტიკურ-ფინანსურ საკითხებში, ვალერი გელბახიანი, როგორც რწმუნებული ინტეპარტიულ საკითხებში და გიორგი თარგამაძე, როგორც მისი რეპრეზენტანტი მასმედიაში. ახლო ურთიერთობაში იყო ბადრისთან ლევან გაჩეჩილაძე, ასევე ხიდაშელ-უსუფაშვილის ტანდემი. იყო საუბარი იმაზეც, რომ ბადრი თავისი მომავალი პარტიის ერთ-ერთ სახედ გუბაზ სანიკიძეს მოიაზრებდა. სხვებზე რა მოგახსენოთ.

თავისი ფსიქოტიპიდან გამომდინარე ბადრი არ იყო ებრაელი. ჩემთვის კლასიკური ებრაელი ნიშნავს ისეთ ადამიანს, ვინც რაციონალურია, პრაქტიკულია, ასჯერ და ათასჯერ რომ გაზომავს და მერე გადაჭრის. მილიარდერი ბადრი კი თავისი შეცდომებით, ქართულ პოლიტიკურ ჭაობში შემოჭრით ნამდვილი ქართველია.

ბადრის რესურსი იყო სამი მიმართულებით - ერთი პოლიტიკური, რამდენადაც იგი თავის ბრიტანულ რეზიდენციაში საკმაოდ მაღალი დონის შეხვედრებს აწყობდა (მისი ერთ-ერთი ვიზიტორი იყო თუნდაც პრეზიდენტ ბუშის ძმა, ფლორიდის გუბერნატორი ჯებ ბუში). მეორე იყო ფინანსური რესურსი, რომელიც პირადად მე თვალით არ მინახავს: როგორც მე, ისე პოლიტიკური მოძრაობა „თავისუფლება“ თვითონვე ვაფინანსებდით ჩვენს ღონისძიებებს. მესამე ესაა ტელეიმედის პროპაგანდისტული მანქანა, რომლის მსგავსიც არც მანამდე, არც მერე არ ყოფილა ჩვენს უახლეს ისტორიაში. რამოდენიმე შეხვედრაზე, როგორც ბრიტანეთში, ისე თბილისურ რეზიდენციაში ბადრისთან მე სერიოზული საუბრები მქონდა. მიუხედავად იმისა, მავანს ეს მოსწონს თუ არა, ის მე განმიხილავდა როგორც მნიშვნელოვან ფაქტორს, მეტადრე თბილისთან და სამეგრელოსთან მიმართებაში.

ყველაფერი იგეგმებოდა კოლეგიალურ ფორმატში, გაერთიანებული ოპოზიციის სხდომებზე, 2007 წლის სექტემბრის ბოლოდან მოყოლებული. არაერთ სხდომას, სხვათა შორის, მე ვთავმჯდომარეობდი. ძალიან მნიშვნელოვანია თუნდაც ის, რომ 2 ნოემბრის აქციას, როგორც პრელუდია, წინ უსწრებდა 30 ოქტომბრის ზუგდიდის აქცია, სადაც ჩვენ (უპირველეს ყოვლისა პოლიტიკური მოძრაობა „თავისუფლების“ აქტივმა და ეროვნული მოძრაობის ვეტერანებმა) გავტეხეთ მეგის ქარდავას ზონდერჯგუფების და ადგილობრივი კუდის სასტიკი წინააღმდეგობა.

2-7 ნოემბრის აქციებს ასევე წინ უსწრებდა ე.წ. საგურამოს მანიფესტი, სადაც წამოწეული იყო ქვეყნის დემოკრატიზაციის თემა, კონკრეტული ინსტიტუციონალური ცვლილებების მოთხოვნები, საპარლამენტო რესპუბლიკა, საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების მხარდაჭერა და ა.შ. ჩემთან ერთად აქ იყვნენ სხვა ლიდერებიც, შალვა ნათელაშვილი, სალომე ზურაბიშვილი, გია თორთლაძე, პაატა დავითაია, ჯონდი ბაღათურია, კახა შარტავა. ჩვენ დაახლოებით ერთი პოზიცია გვეჭირა. ჩვენივე ვიყავით „იმედის“ გადაცემების და პირდაპირი ჩართვების ხშირი სტუმრები, რამაც აქციების მომზადებაში დიდი წვლილი შეიტანა.

7 ნოემბერსვე საქართველოს ტელევიზიებით დაიწყო ხელისუფლების მიერ მანიპულირებული უნიჭო პიარკამპანია, სადაც ატრიალებდნენ ფარულ ჩანაწერებს, რომელთაც უნდა დაემტკიცებინათ ვითომდაც ჩვენი ჯაშუშური კავშირი კრემლთან და მის სპეცსამსახურებთან. ეს ჩანაწერები სინამდვილეში არაფერს ამტკიცებდა. არც ერთი დემოკრატიული ქვეყნის სასამართლო ამ ჩანაწერებს სერიოზულ მტკიცებულებად არ განიხილავდა.

კონტრდაზვერვის დეპარტამენტში მე მომიწია ამ საკითხებზე მისვლა და საკმაოდ ხანგრძლივი დაკითხვა. როგორც იქ გაირკვა, ჩემი ყველა სატელეფონო ჩანაწერი ისმინებოდა. ერთ-ერთ ასეთ ჩანაწერში ცოტნე გამსახურდიას ვეუბნები, რომ რუსეთში შეიძინოს თეთრი ხარი. როგორც ირკვევა, ამან მოყურადებული კონტრდაზვერვა ფრიად დააბნია. მე სინამდვილეში ვგულისხმობდი ერთ კონკრეტულ ისტორიას, რომ ზუგდიდის დაცემის შემდეგ აფხაზეთში, კერძოდ ილორში დროებით გადასულ ზვიად გამსახურდიას 1993 წელს შეუთავაზებია იქაური აფხაზებისთვის მოეძებნათ თეთრი ხარი - მე მას უძველესი ტრადიციისამებრ შევწირავო ილორის წმ. გიორგის სალოცავს ქართველი და აფხაზი ხალხების საერთო მომავლისთვისო, უთქვამს. აფხაზებს თეთრი ხარი ვერ მოუძებნიათ. ჰოდა მეც ვუთხარი ცოტნეს განმარტების გარეშე, რომ შეეძინა ეს თეთრი ხარი. ვგულისხმობდი იმას, რომ ეს ხარი შემდეგ ილორის წმინდა გიორგისთვის შეგვეწირა. საქართველოს კონტრდაზვერვამ ჩათვალა, რომ ეს იყო სპეცოპერაციის კოდური დასახელება, რომლის მიღმაც იგულისხმებოდა ბადრი პატარკაციშვილი და მთავრობის სასახლის შტურმი, რასაც მოყვებოდა ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობა. (!)

აქციაში ჩართულ ადამიანებს განსხვავებული სულისკვეთება ამოძრავებდათ: რევანშისტებისთვის ეს იყო პირდაპირი უკმაყოფილება 2003 წლის ნოემბრის რევოლუციის და ცალკეული რეფორმის გამო. სხვების მოტივაცია კი ალბათ უფრო ის, რომ „ვარდების“ დროს დეკლარირებული სამოქალაქო და დემოკრატიული იდეალები ფეხქვეშ იქნა გათელილი: ნამდვილად ურჩხულებრივი მუტაცია განიცადა შსს-მ, სასამართლო სისტემამ და სასჯელაღსრულებამ. დააუთოვეს პოლიტიკური სპექტრი, მოახდინეს ოპოზიციური პარტიების და ზოგადად საზოგადოების მარგინალიზაცია. ამ ყოველივემ ხალხში შექმნა სრულიად ისტერიული და ირაციონალური განწყობა, რომელიც დაახლოებით ასე გადმოიცემა: „ოღონდ ესენი გავუშვათ და ვინც გინდა ის მოვიდეს“.

შედეგებსაც ვიმკით!

კონსტანტინე გამსახურდია

მ ხ ა ტ ვ რ ო ბ ა

გამოფენა რემბრანდტისა და ვან გოგის სამშობლოში

2014 წლის 26 სექტემბრიდან 6 ოქტომბრამდე ნიდერლანდების სამეფოს ქალაქ ლეიდენის ერთ-ერთმა პრესტიჟულმა გალერეამ „Frederik van der Vlist“-მა ჰოლანდიის ფონდ „Artecho“- სა და აფხაზეთის ხელისუფლების ძალისხმევის შედეგად უმასპინძლა აფხაზეთიდან დევნილი მხატვრების: ნუგზარ მგალობლიშვილის, ალექსანდრე ხუბუას, ზურაბ ჭედიას და დავით ბაძაღუას გამოფენას „ჩემი სახლი აფხაზეთი“ მათ მიერ წარმოდგენილმა ნამუშევრებმა 20 წლის წინ იძულებით დატოვებული მშობლიური მხარის, აფხაზეთის კოლორიტით, ტკივილითა და მონატრებით შთაგონებული ფერთა და ფორმათა იდუმალი სამყარო შექმნა მშვენიერი ლეიდენის შუაგულში. სწორედ იმ სახლის მახლობლად, სადაც დაიბადა და ცხოვრობდა ბარროკოს ეპოქის უდიდესი წარმომადგენელი რემბრანდტ ვან რეინი.

ოთხი განსხვავებული მხატვრის, ოთხმა განსხვავებულმა ხელწერამ, ოდნავ შესამჩნევი ეკლეკტურობით უფრო მიმზიდველი და საინტერესო გახადა ექსპოზიცია. განსხვავებული სტილისა და მიმდინარეობის ნამუშევრები, ისევე ამდიდრებდნენ ერთმანეთს, როგორც ჩვენი სამშობლოს კუთხეთა მრავალფეროვნება ქვეყანას, რაც გამოფენის გახსნაზე მოსულ სტუმრებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ.

ერიკ ჰაუერი (ხელოვნებათმცოდნე) და ტოოაკო შიმადა (ჰოლანდიურ-იაპონური კულტურის ცენტრის ხელმძღვანელი) კმაყოფილები სწორედ იმით დარჩნენ, რომ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო სხვადასხვა სტილში მომუშავე მხატვრების ნამუშევრები, რამაც საშუალება მისცა მათ უფრო ფართოდ გაცნობოდნენ დევნილ მხატვართა ხელოვნებას. აღნიშნეს მხატვრების მაღალი პროფესიონალიზმი და გამოხატვის ოსტატობა, ყურადღება გაამახვილეს მათთვის საინტერესო მხატვრულ მიგნებებზეც. გამოფენა გააშუქა ადგილობრივმა ტელევიზიამ, რადიო „თავისუფლება“-მ და ჰოლანდიურმა გამოცემამ „DE TELEGRAF“.

ნუგზარ მგალობლიშვილი

ალ. ხუბუა

ზ. ჭედია

დ. ბაძაღუა



ნ. მგალობლიშვილი

მინიმალური ხელფასი ევროპაში

საქართველოს მიერ ევროპის კავშირთან ასოცირების რატიფიცირებამ კიდევ უფრო აქტუალური გახადა ევროპული სტანდარტების მიმართ ჩვენი საზოგადოების ინტერესი. ამ მხრივ, ძალზედ საყურადღებოა მინიმალური ხელფასის სტანდარტი ევროპის კავშირის წევრ ქვეყნებში. ეს საკითხი ამ კავშირში სულ უფრო მეტ აქტუალურობას იძენს და მიმართულია ევროპის კავშირში მინიმალური ხელფასის ერთიანი გარანტირებული ნორმის დამკვიდრებისკენ.

ჯერ კიდევ მიმდინარე წლის იანვარში დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოს მთავრობამ განაცხადა, რომ 2015 წლის იანვრიდან მინიმალური საათობრივი ანაზღაურება გაიზრდებოდა 11%-ით.

2013 წლის ნოემბერში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალურმა კანცლერმა, ანგელა მერკერმა, განაცხადა, რომ ქვეყანაში დამკვიდრდებოდა საერთო ეროვნული მინიმალური ხელფასის ნორმა. ამით გერმანია დატოვებდა ევროპის კავშირის იმ სახელმწიფოების რიგს, სადაც არ არის დადგენილი მინიმალური ხელფასის ნორმა.

ამჟამად ევროპის კავშირის 28 წევრი ქვეყნიდან 21 ქვეყანაში დადგენილია მინიმალური ხელფასის საერთო ეროვნული ნორმა. ეს ქვეყნებია: სლოვენიის რესპუბლიკა, სლოვაკეთის რესპუბლიკა, ჩეხეთის რესპუბლიკა, დიდი ბრიტანეთისა და ჩრ. ირლანდიის გაერთიანებული სამეფო, რუმინეთი, ნიდერლანდების სამეფო, პოლონეთი, პორტუგალიის რესპუბლიკა, ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგო, მალტა, ლიტვის რესპუბლიკა, ლატვიის რესპუბლიკა, ესტონეთის რესპუბლიკა, უნგრეთის რესპუბლიკა, ირლანდიის რესპუბლიკა, საფრანგეთის რესპუბლიკა, საბერძნეთის რესპუბლიკა, ხორვატიის რესპუბლიკა, ბელგიის სამეფო, ბულგარეთის რესპუბლიკა.

ქვეყნების მიხედვით, მინიმალური ხელფასის ნორმა განსხვავებულია და მკვეთრადაც. მაგალითად, მინიმალური ყოველთვიური ხელფასი ლუქსემბურგის დიდ საჰერცოგოში არის 1874 ევრო, ბელგიის სამეფოში 1502 ევრო, ნიდერლანდების სამეფოში 1469 ევრო, ირლანდიის რესპუბლიკაში 1462 ევრო, საფრანგეთის რესპუბლიკაში 1430 ევრო, 11%-იანი მატების შემდეგ დიდი ბრიტანეთისა და ჩრდ. ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში 1403 ევროს ეკვივალენტი. ევროპის კავშირში ყველაზე მცირე მინიმალური ხელფასის ნორმა რუმინეთშია და იგი სულ რაღაც 157 ევროს შეადგენს. თუმცა გასათვალისწინებელია ყოველ კონკრეტულ ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური ნორმატივები, ფასები, მოქალაქეთა მსყიდველობითი უნარი, მოთხოვნილებები და ცხოვრების ტრადიციული წესი.

ევროპის კავშირში არის შვიდი სახელმწიფო, სადაც არ არის დადგენილი ყოველთვიური მინიმალური ხელფასი. ეს ქვეყნებია: შვედეთის სამეფო, თუმცა სადაც მოქმედებს სოციალური ოქმი, რომელშიც განზოგადებულად დადგენილია ძირითადი სოციალური დებულებები, დანიის სამეფო, ფინეთის რესპუბლიკა, ავსტრიის რესპუბლიკა, იტალიის რესპუბლიკა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, რომელიც მალე დატოვებს ამ სიას და კვიპროსის რესპუბლიკა, რომელშიც მოქმედებს მინიმალური ხელფასის ნორმა. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მოქმედი პროფკავშირული ზემოქმედებით დადგინდება საერთო ეროვნული მინიმალური ხელფასი და 2015 წლის იანვრიდან იგი საათში 8,5 ევრო იქნება.

შვედეთის სამეფოში, დანიის სამეფოში, ფინეთის რესპუბლიკაში, ავსტრიის რესპუბლიკასა და იტალიის რესპუბლიკაში ხელფასის მოცულობა დგინდება სოციალურ პარტნიორებს შორის კოლექტიური მოლაპარაკებების შედეგების მიხედვით. უმრავლეს შემთხვევაში ეს შეთანხმებები ეხება მთელ დარგებს და სხვა საკითხებთან ერთად მასში ზუსტად ფიქსირდება დარგში მინიმალური ხელფასის ყოველთვიური ნორმა.

მინიმალური ხელფასის ნორმის კანონით დადგენის მიმართ განსხვავებული მიდგომა არსებობს. ლიბერტანიანიზმის მიმდევრებისთვის ეს კატეგორიულად მიუღებელია და ხელფასის ნორმის დადგენას მხოლოდ დამსაქმებლის უფლებამოსილებად მიიჩნევენ. მათთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, რომ ამ შემთხვევაში ე.წ. არარენტაბელური მუშაკები ავტომატურად შეავსებენ უმუშევართა რიგებს. დადგენილი მინიმალური ხელფასი ეხმარება ადამიანებს დაძლიონ სიღატაკე, განსაკუთრებით მაშინ როდესაც არ მოქმედებს დარგობრივი კოლექტიური შეთანხმებების ნორმები და ისინი განწირულები არიან იყვნენ ღარიბი დასაქმებულები. აღსანიშნავია, რომ კოლექტიური ხელშეკრულებებით ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში დასაქმებულები არიან სხვადასხვა მოცულობით, საფრანგეთის რესპუბლიკაში 90%, შვედეთის სამეფოში 80%, ნორვეგიის სამეფოში 75%, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში 70%, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში მხოლოდ 30%.

საქართველოშიც არის მინიმალური ხელფასი დადგენილი ედუარდ შევარდნაძის მიერ და იგი 20 ლარს შეადგენს, თუმც მიხეილ სააკაშვილმა საჯარო სამსახურში მინიმალური ხელფასი განსაზღვრა 115 ლარით.

დღეს საქართველოს მთავრობის მხრიდან არაფერი ისმის მინიმალურ ხელფასთან დაკავშირებით.

ევროპის კავშირის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო, ევროკავშირის კომისია კი მიიჩნევს, რომ გარანტირებული მინიმალური ხელფასი არამარტო ხელს შეუწყობს ღარიბი დასაქმებულების რიცხვის შემცირებას, გაზრდის შრომისადმი სტიმულს და ადამიანების მსყიდველობით უნარიანობას, სტიმულს მისცემს დამატებითი ღირსეული სამუშაო ადგილების შექმნას. ევროკავშირის კომისიას დირექტიული წესით არ შეუძლია მოსთხოვოს ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოებს, რათა ყველგან დადგინდგეს გარანტირებული მინიმალური ხელფასი, მაგრამ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის – ფაქტობრივად ევროპის ეკონომიკური ლოკომოტივის მხრიდან გარანტირებული მინიმალური ხელფასის ნორმად დადგენა მისაბაძი მაგალითი გახდება სხვა ევროპული ქვეყნებისათვის.

საქართველოს პირობებში ნამდვილად დროა, რომ მართლაც სასაცილო 20 ლარი და თუნდაც 115 ლარი საარსებო მინიმალური ხელფასი საარსებო მინიმუმთან ახლოს მდგომი, შესაძლებელი რიცხვით შეიცვალოს, თუ რა თქმა უნდა კურსი ევროპისკენ მართლაც გულწრფელია.

პოლიტიკური პასუხისმგებლობის შესახებ

1991 წლის შემოდგომაზე საქართველოში მძაფრი პოლიტიკური ვითარება შეიქმნა. ანტიკონსტიტუციური სახელმწიფო გადატრიალებით ცდილობდნენ ქვეყნის კანონიერი ხელისუფლების დამხობას. მთავარი დაინტერესებული ძალა ამ გადატრიალების განხორციელებისა იყო კორუმპირებული პარტიული და სამეურნეო ფუნქციონერები, პრივილეგირებული ერზაც – ინტელიგენცია და კრიმინალური „ავტორიტეტები“, მაგრამ მათ იმჟამად საკუთარი სახელით არ შეეძლოთ საჯაროდ განეცხადებინათ საკუთარი ეგოისტური პოლიტიკური ზრახვები, რადგან 1988 წლიდან ქართულ ეროვნულ მოძრაობასთან იდეოლოგიურ ბრძოლა წაგებული ჰქონდათ და პირდაპირ მათი სახელით გამოსვლა ვერ გამოიღებდა მათთვის სასურველ პოლიტიკურ შედეგს. აი აქ მათი რუპორი გახდა „ეროვნული მოღვაწე“ ირაკლი წერეთელი. ის როგორც მედიუმი ახმოვანებდა ანტიეროვნული და ანტისაზოგადოებრივი ძალების პოლიტიკურ გზავნილებს ქვეყნის შიგნით და გარეთ. მისი ამ ანტიეროვნული და ანტისაზოგადოებრივი ქმედებების თვალნათელი დასუტრია თუნდაც ის ინტერვიუები რასაც იგი იძლეოდა უცხოური გამოცემებისთვის. თითქოს რა აუცილებლობაა, რომ ამაზე გამახვილდეს ყურადღება, მაგრამ ეს აუცილებელია ახალი თაობისთვის, რათა მან კარგად დაინახოს თუ რა დამანგრეველი შედეგები მოაქვს ირაკლი წერეთლის მსგავს „ეროვნულ მოღვაწეებს“ ერისათვის. მაგალითისთვის მისი ორი ინტერვიუც გამოდგება.

ამერიკული ჟურნალის „ტაიმის“ კორესპონდენტის შეკითხვა: დღეს საქართველოს ხელისუფლებამ გამოსცა კანონი მიტინგების შესახებ.

რას იტყოდით ამის გამო?

ირაკლი წერეთელი: ჩვენ არ დავემორჩილებით ამ კანონს. ჩვენი მიზანია საყოველთაო დაუმორჩილებლობა საქართველოში დესტაბილიზაციის ესკალაციით. ჩვენ იმდენად უნდა გავუმწაროთ ცხოვრება ხალხს, რომ იგი იძულებული გახდეს ძალით დაამხოს გამსახურდიას ხელისუფლება.

... როცა წავა გამსახურდია, მე გამოვალ ინიციატივით, რათა შევარდნაძე საქართველოში დაბრუნდეს.

... ჩემი აზრით, საქართველო შევარდნაძისთვის მთავარი მიზანი არ არის. იგი სერიოზული მასშტაბის პოლიტიკოსია და საქართველო მისთვის პატარა ქვეყანაა. ასე რომ ლაპარაკი თითქოს შევარდნაძე მზადაა ჩამოვიდეს, რათა პრეზიდენტად დადგესო სისულელეა (გაზეთი „გრუზია–სპექტრი“ 23–29 სექტემბერი 1991 წელი).

ინტერვიუ ჟურნალ „ოგონიოკთან“ დეკემბერი 1991 წელი №52

ირაკლი წერეთელი: პრეზიდენტი უნდა გადადგეს.

კორესპონდენტი: უნდა? მაგრამ თუ არ გადადგა?

ირაკლი წერეთელი: გადადგება. ვერსად წავა. ჩვენ მას მოსვენებას არ მივცემთ. გადავკეტავთ გზებს, რკინიგზას, გამოვრთავთ შუქს. უკომპრომისო ბრძოლა წავა“.

ამავე მიზანს ემსახურებოდა იმჟამად ეროვნულ–დემოკრატიული პარტიის პრეზიდიუმის წევრი და დღეს თავისუფალი დემოკრატი ირაკლი ქადაგიშვილი თავისი დეზინფორმაციული ქმედებებით. დასტურად მოგვყავს მასალა (გაზეთი „საშუალო ფენა“, 12 თებერვალი, 1993 წელი, №1) „ედპ“–ს პრეზიდიუმის წევრის ირაკლი ქადაგიშვილის მიერ რუსეთის რადიოსთვის მინოდებული ინფორმაცია, რომელიც შემდგომში ევროპასაც მიაწვდინეს. კერძოდ, ამის მაგალითი გახლავთ „ზიუდ დოიჩე ცაიტუნგში“ გამოქვეყნებული პუბლიკაცია „გამსახურდიამ მოაკვლევინა მინისტრი“, რომელიც ასევე გერმანიის სხვა რამდენიმე საინფორმაციო საშუალებებმაც აიტაცეს. პუბლიკაციაში ნათქვამია, რომ „პრეზიდენტმა გამსახურდიამ ბუნკერში დაახვრეტინა თავდაცვის მინისტრის მოადგილე ნოდარ გიორგაძე და დეპუტატი ჯემალ გოლეთიანი“. ამ „დახვრეტების“ შესახებ გაზეთს თან ახლდა ირაკლი ქადაგიშვილის განმარტებანიც“.

საქართველოში ედუარდ შევარდნაძის 11 წლიანი ტირანია, თავისი დამანგრეველი შედეგებით, როგორც ხალხისთვის, ასევე სახელმწიფოსთვის ირაკლი წერეთლისა და ირაკლი ქადაგიშვილის მსგავსი „ეროვნული მოღვაწეების“ პოლიტიკური პასუხისმგებლობაა. ისინი კიდევ ეჭიდებიან პოლიტიკურ ასპარეზს, პოულობენ ახალ პოლიტიკურ მფარველებს და კვლავ ცდილობენ მოიპოვონ „მზის ქვეშ სასურველი ადგილი“. ეს „ეროვნული მოღვაწეები“ საფრთხეს უქმნიან საქართველოს მომავალს. ჩვენი ეს შეხსენებაც, ქვეყნისათვის ამ საფრთხის არიდებას ემსახურება.

საქართველოს რესპუბლიკის ტრაგედია - სამხედროგადატრიალების „პოლიტიკური კონსულტანტები“

1991–1992 წლების დეკემბერ–იანვრის ანტიკონსტიტუციური შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ ე. წ. სამხედრო საბჭოს მიერ თენგიზ სიგუა დაინიშნა პრემიერ–მინისტრის მოვალეობის შემსრულებლად. ამ უზურპატორებმა ე. წ. დროებითი მთავრობა – მინისტრთა კაბინეტი შეაკოწიწეს და მნიშვნელოვან პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ საკითხებზე მათ კონსულტანტებიც მიიწვიეს.

საზოგადოებამ, განსაკუთრებით კი ახალმა თაობამ უნდა იცოდეს, თუ ვინ შეადგენდნენ თენგიზ სიგუას ხელმოწერილი დადგენილებით (იხილეთ გაზეთი „იმედი“ 1992 წ. 1 თებერვალი №8 (6428), თ. კიტოვანის, ჯ. იოსელიანისა და თ. სიგუას ტეროორისტული დიქტატურის ე. წ. დროებითი პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს. ესენი იყვნენ:

ვაჟა ადამია,
ლევან ალექსიძე,
მერაბ ალექსიძე,
აკაკი ასათიანი,
ირაკლი ბათიაშვილი,
აკაკი ბაქრაძე,
დავით ბერძენიშვილი,
კონსტანტინე გაბაშვილი,
თამაზ გამყრელიძე,
გურამ გეგეშიძე,
არჩილ გოგელია,
რომან გოცირიძე,
გურამ თევზაძე,
ჯაბა იოსელიანი,
ალექსანდრე კავსაძე,
თამაზ კვაჭანტირაძე,
თენგიზ კიტოვანი,
დავით კუპრეიშვილი,
ნოდარ ლომოური,
გიორგი მაისურაძე,
ნოდარ ნათაძე,
მიხეილ ნანეიშვილი,
თედო ნინიძე,
თედო პაატაშვილი,
ზურაბ ჟვანია,
თეიმურაზ ჟორჟოლიანი,
თეიმურაზ ფიფია,
რევაზ შავიშვილი,
თეიმურაზ შაშიაშვილი,
გიორგი შენგელაია,
ელდარ შენგელაია,
ირაკლი შენგელაია,
თამარ ჩხეიძე,
ირაკლი წერეთელი,
გიორგი ჭანტურია,
გიორგი ხაინდრავა,
ივლიანე ხაინდრავა,
თამაზ ჯანელიძე.

გვერდი მოამზადა დავით არაბიძემ

ყოველი მთავრობის საზრუნავი უნდა იყოს ხალხი!

დიდი რყევები განიცადა ჩემმა სამშობლომ 24 წლის მანძილზე. ბევრი შეურაცხყოფა მიაყენა საკუთარ ქვეყანას უღირსმა ხალხმა, რომელთაც არ ეყოთ ჭკუა და შინაგანი ინტელექტი. ისინი ურცხვად ყიდდნენ საკუთარ სინდისს, ან თუ გააჩნდათ კი? ეროვნული მთავრობის შემდეგ არ ეღირსა, არც ერთი ხელმძღვანელი ჩვენს ქვეყანას, რომელიც ოდნავ მაინც წინ წაიყვანდა ქვეყნის ეკონომიკას და სრულად აამოქმედებდა ერის პოტენციალს, სანამ დღევანდელ სიტუაციაზე გადავიდოდე. მინდა ორიოდე სიტყვით შევეხო განვლილს: სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, რასაც მოჰყვა ზვიად გამსახურდიას მთავრობის უზენაესი საბჭოს და თვითმმართველობის დამხობა, დაიკარგა ტერიტორიები, აღარ ვსაუბრობ იმაზე, რომ მთლიანად მიტაცებული იქნა მთელი საქართველოს ქონება ერთი მუჭა ბანდების მიერ, ხოლო ჭეშმარიტი პატრიოტები დევნილნი იქნენ, ზოგი ციხეში, ზოგი ემიგრაციაში და ბევრი მათგანი ფიზიკურად გაანადგურეს.

ისეთი უნიათო, არაფრის გამკეთებელი მმართველი, როგორიც შევარდნაძე იყო, საქართველოს არ ჰყოლია. შემდეგში საქართველოს მოევლინა ვითომ რეფორმატორი სააკაშვილი, რომელსაც დიდი აღზევების პერიოდში მას ვუწოდე ევროპის დონის „გადამგდები“, რადგან არ არსებობს საკითხი ან პირობა, რომელიც მას შეესრულებინოს, რაც მთავარია, მან დაკარგა ტერიტორიები. ყველაზე დიდი დანაშაული ნებისმიერი ერის ისტორიაში არის ტერიტორიების დაკარგვის ფაქტი, რასაც მკაცრი სასჯელი თან ახლავს ნებისმიერ ქვეყანაში. საქართველოში კი პირიქით დამნაშავეთა ამ ფაქტს აღზევებით პასუხობდნენ. ქართველი ხალხი იმსახურებს ნორმალურ მთავრობას, რომელიც ოდნავ მაინც შეუმსუბუქებს 24 წლის მანძილზე მიყენებულ ჭრილობებს.

დღევანდელი ივანიშვილის მთავრობა საერთოდ აზრზე არ არის, თუ როგორ უნდა იმუშაოს და როგორი ქვეყანა უნდა იყოს საქართველო, სადაც უგულველყოფილია ცოდნის, გამოცდილების ფაქტორი. საერთოდ არ არსებობს მეცნიერებასთან ურთიერთობის სურვილი ნებისმიერ საკითხზე და თვითონ არაფრის მცოდნე ხალხი წყვეტენ საკითხებს, რასაც არავითარი შედეგი არ მოაქვს. თვითონ ბიძინა ივანიშვილს არასოდეს ოფიციალური სამსახური არ ჰქონია. სამწუხაროა, რომ არცერთი ენა, თვით მშობლიური ენაც არ იცის სრულყოფილად. ჩემი შვილიშვილი, 5 წლის ნინო, გაცილებით უკეთესად ლაპარაკობს ქართულად, ვიდრე ბიძინა. ერთი დიდი და მთავარი ფაქტორი, რომ ქვეყანა ფეხზე დადგეს და წინ წავიდეს არის ის, რომ მთავრობის წევრებს და ნებისმიერ ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს საკითხის გადაწყვეტის უფლება, მაგრამ სწორედ ეს მთავარი ფაქტორი მოშლილია ქვეყანაში; ყველაფერი თანხმდება ივანიშვილთან. არცერთი საკითხი, წვრილმანიც კი, მის გარეშე არ წყდება. მასთან მიდის ღარიბაშვილი და ათანხმებს ყველაფერს. და ეს გამოუმუშავდა, როგორც რეფლექსი.

მას სახელმწიფოებრივი აზროვნების მართვის უნარები არ გააჩნია და არც ივანიშვილს გააჩნდა იგი და ეს ივანიშვილმა დაამტკიცა „პირველ არხზე“ ინტერვიუს მიცემის დროს. ძალზე რთული ვითარებაა დღეს საქართველოში. საშიშროება არის ახალი აგრესიისა – რუსეთიდან, რაც შეეხება აფხაზეთსა და სამაჩაბლოს ჩემი აზრით, ამ ტერიტორიების დაბრუნების შანსი დღესდღეობით ნულის ტოლია.

საქართველოს ეშველება მაშინ, თუ ქართველი ხალხი ბოლოს და ბოლოს სწორ არჩევანს გააკეთებს და ხელისუფლებაში მოიყვანს ეროვნულ პლატფორმაზე მდგარ პატრიოტებს, რომელთათვის ქვეყანა და ხალხი იქნება უპირველესი საზრუნავი.

თამაზ ვაშაძე

SOS!!! ქართველი დედები, ბებიები, დები ემიგრაციაში!

სწორედ ემიგრაციაში ჩვენი ქალბატონების ცხოვრების ამსახველმა დოკუმენტურმა კადრებმა ფილმიდან : „ქალები საქართველოდან“, ავტორები: იაკობ მიხელსონი და არჩილ გელოვანი (შეგიძლიათ ნახოთ „YouTube“- ს საიტზე აღნიშნული სათაურით) ნახვის შემდეგ შემძრა და გადავწვიტე მოკლედ შეგახსენოთ თუ რა არის მიზეზი 2 მილიონზე მეტი ლეგალური თუ არალეგალური ემიგრაციისა საქართველოდან. როგორც დაახლოებითი სტატისტიკა ამბობს, სწორედ აბსოლუტურმა უმრავლესობამ ჩვენი ქალბატონებისა გადაწყვიტა ქვეყნის დატოვება კატასტროფული ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის გამო, ფილმში ასახულია მათი მძიმე, გაუსაძლისი შრომა, რომლის საფასურსაც უკლებლივ უგზავნიან თავიანთ ოჯახებსა და ახლობლებს. ეს ფილმი ყველამ უნდა ნახოს და გაანალიზოს რამდენიმე ასპექტით: 1. ქვეყანაში ქართული მოსახლეობის ისედაც კატასტროფული კლებაა, მაშინ როცა ქალბატონები ტოვებენ სამშობლოს 2. ამ ფილმიდან კარგად ჩანს როგორ ინგრევა ოჯახები, კერძოდ დედა როცა არ არის ოჯახში კაცები უმუშევრობის გამო ეძალებიან ალკოჰოლს ან ნარკოტიკს 3. ე.წ. მთავრობის ჩინოვნიკები სათავისოდ (აბა რომელიმე ეროვნული პოლიტიკოსი დამისახელეთ ამ ბოლო 23 წელიწადში) იყენებენ ემიგრაციიდან გამოგზავნილ კოლოსალურ თანხებს, კერძოდ მილიარდობით შემოსული ფული ემიგრაციიდან შემოდის ბრუნვაში და ასე ავსებენ ბიუჯეტს, იბრალებენ რაღაც მოჩვენებით ეკონომიკურ ზრდას! 4. და ყველაზე მნიშვნელოვანია რომ ზოგადად, სოციალურად აქტიური, ასევე ინტელექტუალური ფენა გადის ქვეყნიდან მასობრივი უმუშევრობის გამო!

სად ვეძებოთ არსებული რთული მდგომარეობის გამომწვევი მიზეზები ზოგადად და კერძოდ? დღევანდელ ჩვენ ქვეყანაზეა ბრძნული გამოთქმა თარგად მოჭრილი: „მოყვარე მტერი, ყოვლისგან მტრისაგან უფრო მტერია“, ვერცერთ კონტინენტზე, ქვეყანაში, ისე ვერ გამოზარდა ბარბაროსმა დამპყრობლებმა სათავისო ძლიერი აგენტურა, როგორც გურჯისტანში. გადახედეთ ჩვენს ბედკრულ ისტორიას: აბა სადმე გინახავთ, წაგიკითხავთ რომ ჩვენსავით პატარა ქვეყანაში იყო 3 სამეფო, 5 ვითომ დამოუკიდებელი სამთავრო? ეს პრობლემა პრაქტიკულად გადაწყვიტა და საყოველთაო რეფერენდუმის საფუძველზე (საქართველოს მთელი მოსახლეობის 90%-მა მისცა ხმა დამოუკიდებლობას, ე.წ. ავტონომიების ჩათვლით). 1991 წლის 9 აპრილს ზვიად გამსახურდიას მეთაურობით ეროვნულმა ხელისუფლებამ აღადგინა სახელმწიფო დამოუკიდებლობა! „მოყვრის“ ქურქში გადაცმულმა რუსეთის იმპერიის კგბ-ს გენერალმა ბარაბა შევარდნაძემ შეასრულა მათი დავალება, თან საკუთარი ამბიციაც დაიკმაყოფილა, თუ როგორ გაბედა ერმა ამ ე.წ. „დიდი პოლიტიკოსის“ გარეშე და მის დაუკითხავად დამოუკიდელობა მოინდომა! მან შური იძია ეროვნული დამოუკიდებლობის მომხრე ძალებზე, გამოიყენა რა ის მცირე ნაწილი პარტიული ნომენკლატურის, წითელი დირექტორების, უცხო ქვეყნების სპეც-სამსახურების „ქართველი“ აგენტებისა და კრიმინალური დაჯგუფებების (მხედრიონი+ სიგუა-კიტოვანის ბანდები) გაერთიანებით მოამზადა სახელმწიფო გადატრიალება 1991-93 წ.წ. დეკემბერ -იანვარში!

აი, სწორედ აქედან დაიწყო და დღემდე გრძელდება საქართველოს მთელი მოსახლეობის ეკონომიკური და პოლიტიკური კატასტროფა. 2002-03 წ.წ. ბარაბას ხუნტა 10 წლის ბატონობის შემდეგ მთლიანად იყო გაკოტრებული, მათი მიზანი გამოიკვეთა რომ სწორედ დაჩოქილი ქართველი ერი ხვეწნა-მუდარით მიეგვარა რუსეთის კარს, ამ დროს მას დაუპირისპირდნენ ე.წ. პრო-ამერიკული ძალები მ. სააკაშვილის მეთაურობით. ბარაბამ იცოდა რა მისი გაზრდილი უძღები შვილების ხასიათი და ბუნება, იცოდა რა რომ ეს ბანდა უფრო დიდ საშინელებას დამართებდა ქვეყანას, ფაქტიურად მშვიდობიანად გადასცა მათ ძალაუფლება, ხოლო მათ მიერ უარეს დღეში ჩავარდნილ ხალხს ათქმევინებდა; ამათ ისევ შევარდნაძე ჯობდაო! აკი, ზოგიერთები, მისი შემწეობით გამდიდრებული ქურდები, სწორედ ამ მოტივით დაუპირისპირდნენ ნაცებს. გადახედეთ დღევანდელ პარლამენტს: ე.წ. რესპუბლიკელების დიდი უმრავლესობა იმ სახელმწიფო გადატრიალების მონაწილენი იყვნენ, კგბ- ს აგენტი პუტჩისტი გ. ჟორჟოლიანი და მისი პარტია, ასევე ი. ალასანია და მისი პარტიული-დიპლომატები ერთნაირი წარმატებით ემსახურა როგორც ბარაბას ისე მიშა სააკოვს!

მოკლედ, გამოსავალი ერთადერთია: ხალხმა და გაუსვრელმა პოლიტიკურმა ძალებმა უნდა აღვადგინოთ (შეგახსენებთ თითქმის ყველა მამალმა პუტჩისტმა, შევარდნაძის გარდა, აღიარა და ვითომ მოინანია დანაშაული) ეროვნული სამართალი, სწორედ 1991-92წ.წ. -ის მოვლენებიდან დღემდე!

იური ბურკაძე,
უზენაესი საბჭოს
დეპუტატი, ემიგრაცია

ჩუსლან მეცნიერჩუბან პირველად ბლიბრეს, ჩოე ჩუსლები ბრ ბრიბნ ცლბუბები, ბრბ�ედ უბრო-ფინები

დასაწყისი გვ. 14

პოლონეთში გავრცელებულთან - და საერთოდ არა რუსეთში.

250 ყველაზე მაისიური გვარის ბულგარული დაბოლოება მიუთითებს იმაზე, რომ გვარები იძლეოდა კიევის რუსეთის მღვდლების მიერ, მოსკოვიაში ფინთა შორის მართლმადიდებლობის გავრცელებასთან დაკავშირებით, ამიტომ არის ეს გვარები ბულგარული, წმინდა წიგნებიდან, და არა ცოცხალი სლავური ენიდან, რომელიც იმ დროისათვის მოსკოვიის ფინებში საერთოდ არ არსებობდა. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელია იმის გაგება, თუ რატომ აქვთ რუსულ გვარებს არა ბელორუსული (-ი; -ჩ;), არამედ ბულგარული გვარები - თუმც ბულგარები საერთოდ არ ესაზღვრებიან მოსკოვიას, არამედ ათასობით კილომეტრის დაშორებით ცხოვრობენ. ლევ უსპენსკის წიგნში „ტოპონიმიკის გამოცანები“ (M., 1973) აიხსნება მასიურობა გვარებისა ცხოველების სახელებით, იმით რომ შუასაუკუნეებში ადამიანებს ჰქონდათ ორი სახელი - მშობლებისაგან და ნათლობისაგან, „მშობლებისაგან“ კი მაშინ მოდაში იყო ცხოველების სახელების დარქმევა. როგორც ის წერს, მაშინ ოჯახში ბავშვებს ჰქონდათ კურდღლის, მგლის, დათვის და ა. შ. სახელები. ეს წარმართული ტრადიციაა და შეერწყა მასობრივ „ცხოველურ“ გვარებს.

დასკვნები

რუსეთის მეცნიერების კვლევების შედეგები რუსი ხალხის გენოფონდის შესახებ კიდევ დიდხანს იქნება საზოგადოებისათვის გასათავისებელი, რამეთუ ისინი სრულიად უარყოფენ აწინდელ ჩვენეულ წარმოდგენებს, დაჰყავს რა ისინი არამეცნიერული მითების დონეზე. ეს ახალი ცოდნა საჭიროებს არა იმდენად გაგებას, არამედ შეჩვევასაც. აწ ხომ სრულიად არამეცნიერული გახდა კონცეფცია„აღმოსავლურ სალვიანობაზე“, არამეცნიერულია აგრეთვე სლავიანების ყრილობა მინსკში, სადაც იკრიბებიან რუსეთიდან არა სლავიანები, არამედ რუსულენოვანი ფინები რუსეთიდან, რომლებიც არ არიან გენეტიკური სლავიანები და სლავიანებთან არ გააჩნიათ რაიმე შეხებაც კი. თვით სტატუსი ამ „სლავიანთა ყრილობისა“ სრულიად კნინდება რუსი მეცნიერების მიერ. რუსი მეცნიერების კვლევების შედეგებით რუსი ხალხი დასახელებულია არა სლავებად, არამედ ფინებად, ფინებად სახელდებიან აგრეთვე აღმოსავლეთ უკრაინის მოსახლეობა, დასავლეთ უკრაინის მოსახლეობა კი სარმატებად.

„აღმოსავლელ სლავიანებიდან“ ერთადერთი ხალხი - ბელორუსები იწოდებიან სლავებად, მაგრამ ისინი გენეტიკურად პოლონელების იდენტურები არიან - რაც იმას ნიშნავს რომ სრულებითაც არ არიან „აღმოსავლელი სლავიანები“ არამედ გენეტიკური დასავლელები.

ფაქტიურად ეს ნიშნავს სლავიანური გეოპოლიტიკური სამკუთხედის კრახს. რათქმაუნდა, პროპაგანდა შემდეგშიც შეეცდება ამ ფაქტის მოსახლეობისაგან მიჩქმალვას, მაგრამ მახათი ტომარაში არ დაიმალება. ვერ დაუხშობენ პირს მეცნიერებს, ვერც მათ უახლოეს გენეტიკურ კველვებს გადამალავენ. შეუძლებელია მეცნიერული პროგრესის შეფერხება. ამიტომ რუსი მეცნიერების აღმოჩენა - ეს არ არის მარტო სამეცნიერო სენსაცია, არამედ ბომბი, რომელსაც ძალუძს გააცამტვეროს ხალხებში აქამდე არსებული წარმოდგენების საყრდენები.

აი ამიტომაც მისცა რუსულმა ჟურნალმა „ვლასტი“ ამ ფაქტს ასეთი შეფასება: „რუსმა მეცნიერებმა დაასრულეს და გამოსაცემად ამზადებენ რუსი ხალხის გენოფონდის პირველ მასშტაბურ კვლევებს. მოპოვებულ შედეგებს შეიძლება ჰქონდეს რუსეთისათვის და მსოფლიოს წესრიგისათვის გაუთვალისწინებელი შედეგები“, ჟურნალს არ გადაუჭარბებია.

*წყარო: **ВАДИМ РОСТОВ,***
„Аналитическая газета „Секретные исследования”
http://www.gumilev-center.ru/lico-russkojj-nacionalnosti/
მასალა მოგვაწოდა ალ.სანდუხაძემ

სამხედრო–კრიმინალური გადატრიალების შავი ფურცლები და მონაწილენი

(ნაწყვეტები გენერალ–მაიორ თამაზ დუმბაძის წიგნიდან „თქვენ გასაგონად, ბიჭებო!“ გამოცემულია ქ. თბილისში 1999 წელს)

„ერთ დღეს ზურაბ ნაირაშვილმა განზე გამიხმო: საინტერესო ჩანაფიქრი და გეგმა მაქვს, მინდა წამომყვე, რომ ყველაფერი თვალნათლივ გიჩვენო და ზოგი რამ აგიხსნაო. მანქანაში ჩავსხედით და ვაკის მიდამოებში ავედით. ავტომობილი ცოტა გავუყევით ვერის უბნის მხარეს. გავჩერდით ქუჩაში, სადაც გზა გამსახურდიას „კოლხური კოშკისკენ“ მიდის. ნაირაშვილს ზედმიწევნით ჰქონდა შესწავლილი ზვიად გამსახურდიას ყოველდღიური მარშრუტი. ზუსტად, თითქმის წამების გათვლით ჰქონდა დადგენილი დრო. საკმაოდ დაწვრილებით ჰქონდა შედგენილი სქემაც. იგი ქუჩის განაპირას, მინისქვეშა კომუნიკაციების ჭასთან მივიდა, სარქველი ახადა და მანიშნა, მომყევიო. ჩავედით ზვიადის სახლთან მდებარე პატარა ჭაში, საიდანაც ხელისგულივით ჩანდა ყველაფერი, ახლო–მახლო მოძრავი ტრანსპორტი, ცალკეული ადამიანები და საერთოდ, ბრწყინვალე ხედვის არე იყო. ჩვენ ვერავინ გვამჩნევდა, ისე უმნიშვნელოდ და მოფარებულად იყო ეს ჭა.

– წარმოიდგინე, თამაზ, აქედან რომ ერთი რიგიანად გავუშვა, როგორ ავაფრენ იმ შენს პრეზიდენტს, თავისი სისულელეებით. ეს თქვა რუსულად, რადგან დიდხანს მსახურობდა საბჭოთა არმიაში და ამ ენაზე აზროვნებდა, სათქმელსაც ასე უფრო კარგად აყალიბებდა“ (გვ. 125).

„წამოვედით. ყოველ შემთხვევაში, ერთი კონკრეტული ვარიანტი უკვე იყო შემუშავებული, უკიდურესი შემთხვევისათვის“ (გვ. 126).

„ზურაბი, ვიტყვი, ზეპროფესიონალი იყო. აბსოლუტურად ფლობდა თითქმის ყველა სახის საბრძოლო იარაღს, თუმცა, განსაკუთრებული სპეციალიზაცია ჰქონდა გავლილი მესანგრეობაში. დანაღმვა–განნაღმვაში, აფეთქებებსა და ამ სახეობათა ორგანიზაციაში ბადალი არ ჰყავდა“ (გვ. 127).

„ამ დროისთვის ყველაზე პოპულარული პიროვნება იყო მოსკოვში მყოფი ედუარდ შევარდნაძე, თავისი დემოკრატიის ფონდი ჰქონდა შექმნილი, იქ ცხოვრობდა და მოღვაწეობდა“ (გვ. 128).

„მოსკოვის გზაზე ჯგუფები და პიროვნებები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. თენგიზ სიგუასა და თენგიზ კიტოვანს მე და კახა გველესიანი მივყვებოდით ხოლმე. ისინი ესაუბრებოდნენ და ეთათბირებოდნენ ხოლმე ედუარდ შევარდნაძეს“ (გვ. 129).

„სამი ქვეითთა საბრძოლო მანქანით შევარდით მთავრობის სახლის ეზოში და პანიკა დავთესეთ, მანქანებში იყვნენ პაატა დათუაშვილი, მამუკა ჯაჯანიძე და გია გულუა“ (გვ. 133).

„სასწრაფოდ ჩამოვიდნენ გია ყარყარაშვილი და დევი ჭანკვეტაძე. ბრძოლის ხელმძღვანელობა გიას დაევალა. დევიმ ზარბაზანი სასტუმროს წინ დადგა ჯორჯიაშვილის ქუჩაზე“ (გვ. 133).

„მაშინ ძალიან ბევრს ვშრომობდით ჯემალ ჭუმბურიძე, მე, გია ყარყარაშვილი, მამუკა ჯაჯანიძე, აკია ბარბაქაძე, პაატა დათუაშვილი, დევი ჭანკვეტაძე, გელა გიორგაძე, გია გულუა“ (გვ. 134).

„ერთხანს გაკვირვება გამოიწვია იმან, რომ გია უჩავა, თავგამოდებული გვარდიელი, ზვიად გამსახურდიას ბანაკში გადაბარგდა“ (გვ. 134).

„მაშინ არავინ იცოდა და არც უნდა სცოდნოდა, რომ ის ჩემი სპეციალური დავალებით წავიდა. ასე ვთქვათ, თავისებური მზვერავი იყო. შეძლებისამებრ მანვდიდა ინფორმაციას ზვიადის ბანაკში არსებული მდგომარეობის შესახებ“ (გვ. 134).

„ტყვია–წამლით უხვად გვამარაგებდნენ რუსეთის ჯარის წარმომადგენლები“ (გვ. 135).

„ახალი წლის ღამე თენგიზ კიტოვანმა და თენგიზ სიგუამ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის დაჯგუფებაში გაატარეს... ორი–სამი დღე დარჩნენ“ (გვ. 150).

„გენერალ–ლეიტენანტი ლევან შარაშენიძე ძირითადი მეკავშირის როლს ასრულებდა რუსებთან ურთიერთობისას, განსაკუთრებით – იარაღის მოწოდების დროს“ (გვ. 152).

„მე განსაკუთრებით მჯერა ედუარდ შევარდნაძისა, მისი პოლიტიკისა და ალბათ, მისი ერთგული მარად დავრჩები“ (გვ. 170).

„დავით თევზაძე... მეორე დღისთვის დავიბარე (თბილისის ზღვაზე გასვლის შემდეგ). მივეცით იარაღი და მან ჩამოაყალიბა შეიარაღებული რაზმი „გორდა“ (გვ. 195).

„თბილისის სისხლიანი მოვლენების დროს „გორდა“ და მათი თანამებრძოლები სასტუმრო „ივერიაში“ იდგნენ (გვ. 195).

ოიკოფობია, როგორც თანამედროვე ქართული ლიბერალიზმის არსებითი ნიშანი

(წერილის ახალი, გადამუშავებული ვერსია)

დასაწყისი გვ. 9

თუ ვინმე ალმაცერად შეხედავს ნეოლიბერალთა მოღვაწეობას, მაშინვე შეტევაზე გადავლენ: ილია ჭავჭავაძეც ხომ ლიბერალი იყოო?!

ილია ჭავჭავაძემ უმკაცრესად ამხილა ქართველთა მანკიერებანი, მაგრამ ამ მხილებას ეროვნული ფენომენის უდიდესი სიყვარული ედო საფუძვლად. ნეოლიბერალებიც ბევრს წერენ ქართველთა უკეთურებებზე, მაგრამ მათი საქციელი ეროვნული ფენომენისადმი სიძულვილით არის მოტივირებული; ილია ჭავჭავაძე ებრძოდა იმ არაარსებითსა და არაბუნებრივ თვისებებს, რომლებმაც სხვადასხვა მიზეზთა გამო ფესვი გაიდგა ქართველთა სულში; ნეოლიბერალები კი ებრძვიან იმ არსებითსა და ძირეულ ნიშნებს, რომლის გარეშეც ქართველი კაცი აღარ იქნება ქართველი; ილია ჭავჭავაძის მიზანი იყო ქართველებს შეენარჩუნებინათ ისტორიული წარსული, დაბრუნებოდნენ ისტორიულ ძირებს, ამიტომაც ხალხს იდეალად უსახავდა ისტორიულ გმირებსა და სამშობლოსათვის თავდადებულ მამულიშვილებს; ნეოლიბერალებს კი სურთ ქართველების გადაყვანა აზროვნების სხვაგვარ წესზე, თვისებრივად განსხვავებულსა და არაეროვნულ ნიადაგზე, ამიტომ ისტორიულ გმირებს ქონდრისკაცებად წარმოაჩენენ და ხალხს ეტალონად მამათმავლებსა და უზნეო ადამიანებს უსახავენ; ილია ჭავჭავაძე მედგრად იცავდა ეროვნულ კულტურას აბუჩად აგდებისა და დამცირებისაგან, ნეოლიბერალები კი თავად ესხმიან თავს და ცილს სწამებენ ყოველივე ქართულს. ილია ჭავჭავაძემ დააარსა სათავადაზნაურო ბანკი, რათა ქართულ მიწებს უცხოელები არ დაპატრონებოდნენ; ნეოლიბერალები კი უდიდესი სიამოვნებით ასხვისებენ ქართულ მიწებს ნებისმიერზე, ვისაც ფულის გადახდა არ დაეანანება.

აი, რა განსხვავებაა ნეოლიბერალებსა და ილია ჭავჭავაძეს შორის.

დოსტოევსკის პერიფრაზით რომ ვთქვათ, ქართველი ლიბერალების მთავარი პრობლემა ის კი არ არის, რომ ლიბერალები არიან, არამედ ის, რომ ისინი ქართველი ლიბერალები არ არიან. ჩვენს სინამდვილეში უკვე დიდი ხანია, რაც შეიქმნა უნიკალური ფენომენი უეროვნებო კოსმოპოლიტისა, რომელიც მუდამ ოპოზიციაში უდგას საკუთარ ხალხს.

თანამედროვე ლიბერალების სანუკვარი ოცნება ე. წ. „ღია საზოგადოების“ შექმნაა. ამგვარი საზოგადოება ღიაა ყოველგვარი სიბილწისა და ამორალიზმის, მაგრამ ჩაკეტილია და დახშულია კონსერვატიული, ტრადიციული ცნობიერების მიმართ. პრესა და ტელევიზია გამუდმებით იმ ადამიანებს უთმობს ასპარეზს, რომელნიც ნაკურთხნი არიან „ექსპერტებად“ და რეალურად საზოგადოების 0,01%-ის ინტერესებს გამოხატავენ. შამაგიეროდ სატელევიზიო სივრცე მიუწვდომელია მისთვის, ვინც ტრადიციული ცნობიერების მქონეა, შეუძლია რიგიანი მსჯელობა და ვისი მოსმენაც საზოგადოების უდიდეს ნაწილს სურს.

ფაქტი კი ისაა, რომ ლიბერალიზმი და ყბადაღებული „დასავლური ღირებულებები“, რომელიც სანატრელად გვქონდა კომუნისტური მმართველობის ჟამს, დღეს ბევრს უკვე ავადმყოფობად ექცა. იშვიათად თუ ბედავს ვინმე აზრიან და ობიექტურ მსჯელობას დასავლეთზე. დასავლური ღირებულებები ქართველი ლიბერალების მიერ რელიგიური სიწმიდის სფეროშია აყვანილი.

ერთია, გვხიბლავდეს კლასიკური დასავლური კულტურა და მეორეა, თვალი გავუსწოროთ თანამედროვე დასავლურ კულტურასა და ცხოვრების წესს, რომელიც დიდწილად, პირდაპირ ვიტყვით, ანტიქრისტულია. ქრისტიანულ სარწმუნოებას მოწყვეტილი ჰუმანიზმი და აღვირახსნილი ლიბერალიზმი კი ბოლოს აუცილებლად მიგვიყვანს ისეთი სახის მონობამდე, როგორიც ჯერ კიდევ არ ახსოვს კაცობრიობის ისტორიას.

ჩვენი მთავარი პრობლემა ისაა, რომ გვიჭირს თვითმყოფადი აზროვნების დაწყება. ჩვენს მოინტელექტუალო ელიტაში დამკვიდრებული თვალსაზრისით, მოაზროვნედ მაშინ ითვლები, როდესაც ზედმიწევნით, კაჭკაჭივით იმეორებ დასავლეთში გამოთქმულ შეხედულებებს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი „ფაშისტის“ ან „შავრაზმელის“ წოდებას უნდა დასჯერდე. სწორედ ამიტომ, მრავალს დამოუკიდებელ აზროვნებას სხვათა აზრების გამეორება ურჩევნია. არადა, მანამდე არაფერი გვეშველება, ვიდრე არ დავიწყებთ აზროვნებას არა დასავლეთის, არამედ ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე.

ჯერ კიდევ შალვა ნუცუბიძე წერდა 1922 წელს: „დასავლეთისადმი ინტელექტუალურ დამონებას ბოლო უნდა მოეღოს. რა თქმა უნდა ეს შესაძლო გახდება მხოლოდ მაშინ, როდესაც შიგნიდან დავძლევთ დასავლურ აზროვნებას. უნდა დამტკიცდეს, რომ საამისოდ არა მარტო ისტორიული, არამედ ფაქტიური საბუთიც არსებობს“.[1]

ეს რა თქმა უნდა არ გულისხმობს იზოლაციონიზმს. აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ დასავლური გამოცდილება და გავეცნოთ დასავლელ ავტორებს, თუნდაც ისეთებს, როგორიც როჯერ სკრუტონია და ვისაც გამალებით მალავენ ჩვენი ლიბერალები. მაგრამ ჩვენთვის დასავლური ღირებულებები მნიშვნელოვანი უნდა იყოს იმდენად, რამდენადაც შეესაბამება ჩვენს ეროვნულ ღირებულებებს, ჯერ ეროვნული, შემდეგ – დასავლური. ნეოლიბერალები პირიქით ფიქრობენ, მათთვის ეროვნული ღირებულებები მისაღებია იმდენად, რამდენადაც შეესაბამებიან დასავლურ ღირებულებებს. დასავლური მათთვის პირველადია, ეროვნული – მეორეული.

გავითვალისწინებთ, რა იმ გარემოებასაც, რომ მათ ხელშია პრესა, ტელევიზია, ინტერნეტ-საიტები, უცხოური დაფინანსება და სხვ., არცთუ სახარბიელო ვითარება წარმოგვიდგება. როდესაც ეროვნული ღირებულებების შენარჩუნებაზე ვსაუბრობთ, ბევრი რამ, ცხადია, სახელმწიფოს კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. ჩვენს ხელისუფლებას კი ჯერჯერობით გამუდმებით უწევს თავის მართლება დასავლეთთან და საკუთარი ევროპული ორიენტაციის მტკიცება. მოიცლის თუ არა იგი ეროვნულ ფასეულობათა დასაცავად, არავინ იცის.

ამ ვითარებაში ტრადიციული ცნობიერების მქონე საზოგადოებას მხოლოდ ქმედითი ქრისტიანული კონსერვატიზმი გადაარჩენს. ჩვენი ისტორია, ტრადიციები და რელიგია მკვიდრ საფუძველს იძლევა ქრისტიანულ ნიადაგზე ნაციონალური იდეოლოგიის განმტკიცებისათვის.

როდესაც მასმედიისა და ხელოვნების საშუალებით მიდის გამალებული პროპაგანდა ეროვნული ნიჰილიზმისა, რომ ქართველები ჩამორჩენილი, შუასაუკუნეობრივი ცნობიერების ხალხი ვართ, ჩვენი ამოცანა უნდა იყოს, დავაბრუნოთ საზოგადოებაში ეროვნული სრულფასოვნების განცდა, რომელიც დღეს ისე გვჭირდება, როგორც არასდროს. ამის გარეშე შეუძლებელია, ერმა სახელმწიფო ააშენოს, რისი დასტურიც ჩვენი უახლესი ისტორიაა.

ლევან ბეგურიშვილი

დიდი სჯულის კანონი

თარგმნილი

ანსენ იყალთოელის მიერ

კანონი 1

პირველ რიგში განვკვეთეთ და მღვდლობის პატივი ჩამოვართვით ისეთ ეპისკოპოსებს, რომლებიც ღირსეულად ვერ ატარებენ მღვდელმთავრობის პატივს და უღირსნი არიან პირველი მწყემსმთავრის ქრისტესი, რადგან სიწმინდის შეხება არაწმინდისგან არ შეიძლება. ღმრთის ახლოს მყოფი - ცეცხლის ახლოს მყოფია, და აუცილებელია, რომ სუფთა ოქრო იყოს. ასეთნი არ შეგვიკრავს, არც შეგვიჩვენებია, ღმერთმა ნუ ქნას! არამედ უბრალოდ ერისკაცებთან ერთად ზიარების უფლება მივეცით, თუ ამიერიდან სიწმინდეს შეინახავენ. მათ ნაცვლად დავადგინეთ სხვები, ასაკითაც და საქმითაც სარწმუნონი, რომლებმაც კეთილად გამოაწრთეს ხორცი და დაუმორჩილეს სულს.

კანონი 2

ამასთანავე ხელთდასხმის დროს სულმოკლეობა და აჩქარება, როგორც უწესო და უკანონო საქციელი, ავკრძალეთ. ვადგენთ, რომ ამიერიდან აღარავინ გაბედოს არაფრის ქმნა, გარდა იმისა, რასაც კანონი განაწესებს: ეპისკოპოსი ხელთდასხმულ უნდა იქნეს ოცდათხუთმეტი წლისა, მღვდელი - ოცდაათი წლისა, დიაკონი - ოცდახუთი წლისა, წიგნისმკითხველი - რვა წლისა.

კანონი 3

ამასთან ერთად ვკრძალავთ ხელთდასხმის უწესო წესს, როცა ვინმე ერთსა და იმავე დღეს მიიღებს ხელთდასხმას წიგნისმკითხველად, ჰიპოდიაკვნად, დიაკვნად, მღვდლად და ეპისკოპოსადაც. თუ ასეთი რამ კიდევ იქნეს სადმე, ხელთდასხმულიცა და ხელთდამსხმელიც განიკვეთოს მღვდლობისგან, რადგან პირველად ჯეროვანია წიგნის მკითხველად და ჰიპოდიაკვნად ხელთდასხმა. ორივე ამ ხარისხის ერთ დღეს მინიჭება შეიძლება, შემდეგ - დიაკვნად. როცა დიაკვნობაში დაყოფს რამდენიმე ხანს და ემსახურება მღვდლებს დღეების განმავლობაში, შემდეგ აკურთხონ მღვდლად. თუ ეპისკოპოსი უნდა გახდეს, შვიდი დღის ჟამისწირვის შემდეგ მოიყვანონ ეპისკოპოსად ხელთდასხმისათვის. ეს ეხება იმათ, ვისაც რაიმე საჭირო მიზეზი აჩქარებს, ხოლო ვისაც სათანადო მიზეზი არა აქვს ასაჩქარებლად, მათ წელი და წლები უნდა დაყონ თითოეულ ხარისხში და უფრო მეტად - დიაკვნობაში, რადგან დიაკონთა სიმრავლის გარეშე ვერც ერთი საეკლესიო წესი ვერ იქნება სათანადოდ მშვენიერი. ამიტომ ვამცნებთ ყველა ეპისკოპოსს, რომ დიაკონთა უფრო გამრავლებისათვის იღვწოდნენ თავიანთ ეკლესიებში. მონაზონს, რომელიც მღვდელი ან ეპისკოპოსი უნდა გახდეს, ჯერ მონაზონთა დიდი სქემით სრულყოფას ვუბრძანებთ და შემდეგ შეიძლება მისი მღვდლად კურთხევა.

კანონი 4

ხელთდასხმის შესრულების წესი ისე უნდა აღსრულდეს, როგორც ნეტარებით მოხსენიებული გიორგი მთაწმიდლის ახალ "კურთხევანშია" აღწერილი. ეკლესიის კურთხევა, საკურთხევლის დამყარება და ღმერთმყოფელი მირონის განწმენდა ასევე უნდა შესრულდეს, როგორც მასშია მოხსენებული.

კანონი 5

ქრთამის და საფასურის შესახებ, რომელსაც ხელთდამსხმელნი მიიღებენ ხელთდასხმადთაგან, წმინდა მოციქულთა და მამათა მიერ ადრე დადგენილისამებრ ჩვენც განვსაზღვრავთ, რომ ასეთი უნდა ჩამოშორდეს ეკლესიას და მას უნდა აეკრძალოს მღვდლობა თავის მაკურთხეველთან ერთად. ამიერიდან ასეთი რამის ჩადენა არავინ გაბედოს. ვინც გაბედავს, შეჩვენებულ იქნეს ისე, როგორც სვიმონ მოგვი პეტრე მოციქულისგან (შდრ. საქმე მოციქ. 8, 9-20). ნუ მიიღებენ ნურაფერს ნურასოდეს, ნურც ხელთდასხმამდე, ნურც ხელთდასხმის დროს, ნურც ხელთდასხმის შემდეგ, ნურც ქრთამს, ნურც ძღვენს, ნურც ევლოგიას; კათალიკოსი - ეპისკოპოსებისა, დიაკვნებისა, ქორეპისკოპოსებისაგან, ეპისკოპოსები - დიაკვნებისა, მღვდლებისა, ქორეპისკოპოსებისა, სამღვდელო დასის სხვა წარმომადგენელთა და ეკლესიის მნეთაგან.

კანონი 6

სამღვდელო ჭურჭლის და ღმრთისადმი შეწირულ სიწმინდეთა შესახებ, როგორიცაა ბარძიმ-ფეშხუმი, სამწერობელი, ყოველივე ეკლესიისთვის შეწირული და ერთხელ ღმრთისათვის მიცემული ოქრო, ვერცხლი, თვალ-მარგალიტი, მინა, სტავრა, სირმით ნაქსოვი, სპილენძი, რკინა, ხე, თიხა, ქვა, - ვადგენთ წმინდა კანონთა მიხედვით, რომ არავის მიეცეს მათი ხმარების უფლება, ტყვეთა გამოსახსნელადაც კი, გინდ უქმად და უხმარად ეწყოს და ფეხით სათელად ეყაროს ეკლესიის საგანძურში. ხოლო თუ ვინმე გაბედავს მათ ხმარებას ეკლესიის გარეთ, გარდა იმ საჭიროებისა, რისთვისაც ეს ნივთები დაწესებულია და რა სახითაც ეკლესიის სამსახურებლად ან საკურთხევლისთვის შექმნილია, მას მოელოდეს ამქვეყნად ბაბილონელთა მეფის ბალტაზარისა (შდრ. დან. 5, 23-31) და ანანიას და საფირას სასჯელი (შდრ. საქმე მოც. 5, 1-10), ხოლო იმქვეყნად საუკუნო ცეცხლი, გამზადებული ეშმაკებისა და მათი ანგელოზებისთვის.

კანონი 7

ამასთან ერთად ისიც გავიხსენოთ, რომ ეკლესიისა და საკურთხევლის გარეშე არც ნათლისცემა შეიძლება, არც გვირგვინთა კურთხევა. არ შეიძლება არც მონაზონის კურთხევა ეპისტოლითა და სქემით. არც მონაზონ-მღვდელს

აქვს ნება გვირგვინის კურთხევისა. არც მღვდელს აქვს ნება, მონაზონი აკურთხოს.

კანონი 8

პირველი ან მეორე გვირგვინის კურთხევის შემდეგ ცოლქმარს წმინდა საიდუმლოს ზიარება მართებთ იმ დღეს, რომელ დღესაც იკურთხნენ, თუ რაიმე ზომასგადასული სიბილწით შეპყრობილნი არ არიან. თუ უზიარებლობით დასჯილნი არიან, შემდეგ შეასრულონ მათთვის დაკისრებული უზიარებლობის კანონი.

კანონი 9

მეორე გვირგვინის მაკურთხეველი მღვდელი სადილზე ნუ მივა ჯვარდაწერილებთან. მეორედ დაქორწინებულ ცოლ-ქმარს პირველი გვირგვინის მსგავსი კურთხევით ნუ აკურთხებენ. ამ დადგენილების დამრღვევი მღვდელი განიკვეთოს, ხოლო ერისკაცი უზიარებლობით დაისაჯოს.

კანონი 10

ვადგენთ, რომ ამიერიდან ჩვილი ქალ-ვაჟის გვირგვინი არ ეკურთხოს. თუ მათ მშობლებს საჭიროდ მიაჩნდეთ, დაინიშნონ ისინი ერთმანეთზე და შემდეგ, როცა სრულწლოვანებას მიაღწევენ, იქორწინონ. ქალი 12 წელზე უმცროსი ნუ დაქორწინდება. ამ კანონის დამრღვევი, ზემოხსენებული განჩინების თანამდები იყოს.

კანონი 11

ქორეპისკოპოსად კათალიკოსმა და ეპისკოპოსმა აირჩიონ სჯულისა და საღმრთო წიგნთა მცოდნე მღვდელი ან დიაკონი და ღმრთის შიშით ემცნოს მას ყველა ქრისტიანული წესის უბიწოდ დაცვა. მან არაფერი არ უნდა გასცეს ქრთამად, არაფრი გაყიდოს ვერცხლზე, როგორც იუდამ უფალი, რათა მისი ჩამოსახრჩობი თოკი არ მიიღოს მემკვიდრეობით.

კანონი 12

ზემოთქმულის შემდეგ, გვგონია, საჭიროა ამის გახსენებაც: ძალიან ბევრი და აურაცხელია მოძღვრად წოდებული მონაზვნების რიცხვი. ერთ მონასტერში ხუთი, ათი, ხშირად ოცი და ოცდაათიც არის, თუ მონასტერი დიდია. ეს კი მრავალი შფოთისა და განხეთქილების მიზეზი ხდება. ამისთვის ვადგენთ, რომ ამიერიდან შეწყდეს ამგვარი უწესობა. პირველად ამას დავანესებთ: იმას, ვინც სამღვდელო პირი არ არის, არა აქვს უფლება, იყოს სულის განმკითხველი, რადგან მას ჯერ შეკვრისა და გახსნის უფლება უნდა ჰქონდეს და შემდეგ შეუძლია სულთა განკითხვას მიჰყოს ხელი. ამასთანავე, დიდ მონასტრებში ორ-ორო, ხოლო მცირეში საკმარისია, რომ იყოს თითო მოძღვარი. თუ ვინმე ამ დადგენილებას გადავა, უეჭველად გაიგონოს მან, რომ ჭეშმარიტების გარდამავალთ და ურჩებს, სიცრუის მორჩილებს - რისხვა, სულისწყრომა, ჭირი, გაჭირვება და ა.შ.

კანონი 13

ის წესი, რომლითაც შეკრებილებს დასასხდომად მოუწოდებენ, ამიერიდან ნუღარ იქნება. მონასტერში ნუ მოაწყობენ ერის სავაჭრო შეკრებას, მონასტერში ნურც სხვა სამოქალაქო და ამქვეყნიური წესი შესრულდება, რათა სალოცველი ადგილის ავაზაკთა გამოქვაბულად გადაქცევით თქვენი სულების "ფარდულები" საღმრთო სიტყვით არ დაიქცეს, როგორც ფულის დამხურდავებელთა ტაბლები (შდრ. მათე 21, 12-13). ამის ჩამდენნი წმინდა მამებისა და კრებათამიერი განკანონების ღირსნი გახდებიან.

კანონი 14

ერთ საკურთხეველთან ერთი და იმავე შესაწირავის შეწირვით მრავალი სულისთვის მრავალი მღვდლის მიერ ჟამისწირვა წესი არ არის და უკუგდებულია, იგი ნუღარსად შესრულდება. კიდევ უფრო დიდი საეპისკოპოსო ეკლესიის ან მონასტრის საკურთხეველზე არ არის წესი ჟამისწირვის შესრულება ვინმე ერთისთვის, არც ცოცხლისთვის, არც მიცვალებულისთვის, აღაპისა და სულის სახსენებლად დაწესებული დღის გარდა. წესია, რომ ჟამისწირვა აღსრულდეს იმ ეკლესიის მაშენებლებისა, შემომწირველებისა და ერთად ცოცხალი და მიცვალებული ყველა ქრისტიანისთვის. ერთი კაცისათვის ან ერთი სულისათვის პატარა სამლოცველოში ან ეკლესიის შტოში ერთმა მღვდელმა უნდა წიროს ჟამი.

კანონი 15

ვინც ხაჩეკართა, სომეხთა ღმრთისმავნებლობით მწვალებლობიდან მართალ და უზაკველ სარწმუნოებას შეუდგება, წმინდა და კათოლიკე ეკლესიას შეუერთდება და შეაჩვენებს ერთბუნებიანთა ბილწ მწვალებლობას, რომელიც ჩვენი ჭეშმარიტი ღმერთის ქრისტეს შესახებ უვიცად ამბობს, რომ იგი არის ერთი ნებისა და ერთი მოქმედებისა, ღმრთეებისა და კაცობისაგან შეზავებული, არც ღმრთაებრივი და არც კაცობრივი, არამედ რაღაც შერეული და უცხო, მათთვის განვანესებთ ასე: სრულიად ნათელ-სცენ, როგორც წარმართებს, რადგანაც დიდი ეკლესიები, როგორიცაა ანტიოქიის საპატრიარქო საყდარი და სხვა მისი მიმდევარი აღმოსავლეთის ეკლესიები, ასე მოქმედებენ.

კანონი 16

აგრეთვე განვაწესებთ, რომ მართლმადიდებელი მამაკაცი მწვალებელ ან წარმართ დედაკაცს ან დედაკაცი მამაკაცს არ უნდა შეეუღლოს, რადგან ყველა მართლმადიდებელი ღმრთის ტაძარია ჩვენში დამკვიდრებული მისი სულისათვის, ხოლო ყველა ბოროტად მადიდებელი და ყველა არა მადიდებელი - ეშმაკის ტაძარია. არაფერი აქვს საერთო ღმრთის ტაძარს კერპებთან, ბნელს - ნათელთან, მოწმობს საღმრთო მოციქული. ვინც ამიერიდან გაბედავს ამის ქმნას, განკანონებულ უნდა იქნეს ის პირველთქმული კანონით.

კანონი 17

შევიტყვეთ, რომ მრავალი სჩადის ასეთ უწესობას, ეს უფრო ეხება დიდგვაროვან, წარჩინებულ და არა უბრალო კაცებს. ეს უწესობა ხდება კიდით-კიდემდე და არაერთგან: გვირგვინს უკურთხებენ ერთხორცად შესაერთებელ მეუღლეებს და აკურთხევენ დედაკაცის გვირგვინს სხვა უცხო მამაკაცთან და მამაკაცისას - სხვა მამაკაცთანვე. რა უნდა იყოს ამაზე უწესო და უფრო სასაცილო? ეს ხომ სავსებით ჰგავს მარკიონის მოწაფეთა საქციელს, რომლებიც მკვდრის მაგიერ ნათლავენ ცოცხალს. ამგვარად გვირგვინკურთხეულნი, მამაკაციც და დედაკაცის, უნდა ჩაითვალონ მემრუშე ცოლ-ქმრად, რადგან კურთხევისას სხვისი სახელი იხსენიება და სინამდვილეში კი სხვა არის წარმოდგენილი. რაც შეეხება ორ მამაკაცს, რომლებმაც ერთად იკურთხეს გვირგვინი, ვინ და რა სახელი უნდა მოიგონოს მათთვის, გარდა იმისა, რომ დასცინოს მათ და აბუჩად აიგდოს ასეთი, ჩვენი სჯულისა და კეთილწესიერების, კაცობრივი ქცევისა და ჩვეულების-გარეშე უსჯულოება. ამის გამო ვადგენთ: მათ, ვინც აქამდე ასე არიან კურთხეულნი და მოხუცებულობის ასაკს მიღწეულნი, შევუნდოთ არცოდნის მიზეზით, ხოლო თუ მომავალში სადმე აღმოჩნდებიან ასეთნი, ისინი სჯულიერ ცოლ-ქმრად ნუ ჩაითვლებიან. ამიერიდან ნურავინ გაბედავს ამის ქმნას. თუ სადმე მოხდეს ასეთი რამ, ის ოთხი კურთხეული და ორი მათი მაკურთხეველი მღვდელი, - ექვსივე განკანონებულ იქნენ.

რედაქტორი ლეილა ცომაია

დაბეჭდილ წერილებში მოყვანილ ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებლები არიან ავტორები.

გაზეთი გამოდის შემოწირულობებით
საკონტაქტო ტელეფონი: 92 36 55
ვებგვერდი: ***http://ganmatavisuflebeli.webs.com***
ელ.ფოსტა: ***ganmatavisuflebeli@yahoo.com***